

CAUCAJOC

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

მასწავლებლის წიგნი



EUROEAST
CULTURE



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



დაფინანსებულია ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ

CAUCA DOCS

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

მასწავლებლის წიგნი



თბილისი 2013

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“

შ. დადიანის ქ. N8, თბილისი, საქართველო

მ. ბროსეს ქ. N7, ქუთაისი, საქართველო

www.pin.ge

www.caucadoc.com

წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

რედაქტორი:

შორენა კუჭუხიძე - „ადამიანი გაჭირვებაში“, საქართველო

ექსპერტი: ნიკოლოზ სილაგაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ექსპერტი

საგანმანათლებლო მასალების შესავალი: კატერინა მაჟდიაკოვა, „ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამა, „ადამიანი გაჭირვებაში“ ჩეხეთის რესპუბლიკა

აქტივობები: ავტორთა ჯგუფი „ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამა, „ადამიანი გაჭირვებაში“, ჩეხეთის რესპუბლიკა

დამხმარე მასალებზე მუშაობდნენ ექსპერტები:

ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა: სუბანა ვლასატა, ევა მუნდილოვა

მარტინი მოჩვენება: ვაცლავ კრალი, ნატო ასათიანი, ნანა სუმბაძე

სკეიტისტანი: იცხოვრო და ისრიალო ქაბულში: ტომას კოციანი, ეკატერინე ფირცხალავა

ლიბერიელი რკინის ქალბატონები: დანა პლავცოვა, მარცელა ადამუსოვა, ლელა გაფრინდაშვილი

მფრინავი ენი: ივო ტომანი

ბავშვთა უფლებები:

ჰაბიბოლა: ადელა პოსპიხალოვა

ანნა: ბარბორა დუჟი, რობერტ სტოიანოვ

ალექსანდრა: ფილიპ ტესარი

მესბა: ლიბორ დვორაკი

პამელა: ლენკა ვიტკოვა

რომი: მიხალ კოლარი

გამოცემა და დიზაინი – „სი-ჯი-ეს“

გამოცემულია 2013 წელს

© „ადამიანი გაჭირვებაში“

ყველა უფლება დაცულია

პუბლიკაცია დაფინანსებულია ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ



EUROEAST
CULTURE



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

სარჩევი

1. „ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამის შესავალი	1
2. საგანმანათლებლო მასალების შესავალი	2
ა) წიგნის მიზნები და სტრუქტურა	2
ბ) როგორ გამოვიყენოთ დოკუმენტური ფილმები გაკვეთილზე	3
გ) როგორ გამოვიყენოთ სოციალური რეკლამები გაკვეთილზე	4
3. დოკუმენტური ფილმები	5
ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა	5
საბაზისო ინფორმაცია	5
სავარჯიშო 1 - ერთი სიტყვა	9
სავარჯიშო 2 - რა განსხვავებაა	10
სავარჯიშო 3 - ბინგო	12
სავარჯიშო 4 - წარსულში	15
ლიბერიელი რკინის ქალბატონები	19
საბაზისო ინფორმაცია	19
სავარჯიშო 1 - ანონიმური აზრები	28
სავარჯიშო 2 - განსხვავებები	29
სავარჯიშო 3 - პრეზიდენტი	32
სავარჯიშო 4 - ლიბერია	33
მფრინავი ენი	35
საბაზისო ინფორმაცია	35
სავარჯიშო 1 - ოქროს თევზი	38
სავარჯიშო 2 - ჩემი სხეული	39
სავარჯიშო 3 - პირობების გარეშე მიღება	41
სავარჯიშო 4 - ანგარიში	44
მარტინი მოჩვენება	46
საბაზისო ინფორმაცია	46
სავარჯიშო 1 - სიმბოლოები	55
სავარჯიშო 2 - კუბიკი	56
სავარჯიშო 3 - კი თუ არა	58
სავარჯიშო 4 - ჩვენი მეგობრული საზოგადოება	60
სკეიტისტანი: იცხოვრო და ისრიალო ქაბულში	63
საბაზისო ინფორმაცია	63
სავარჯიშო 1 - ერთი სიტყვა	66

სავარჯიშო 2 - პირადი პასუხისმგებლობის წესები	67
სავარჯიშო 3 - ხე	69
სავარჯიშო 4 - ადამიანის სულის სიძლიერე	70
ბავშვთა უფლებები.....	75
ჰაბიბოლა	75
საბაზისო ინფორმაცია	75
სავარჯიშო 1 - არასდროს დამავიწყდება	77
სავარჯიშო 2 - სურვილები და ოცნებები	78
ანნა	80
საბაზისო ინფორმაცია	80
სავარჯიშო 1 - გორგალი	83
სავარჯიშო 2 - ნებადართული - აკრძალული	84
ალექსანდრა.....	86
საბაზისო ინფორმაცია	86
სავარჯიშო 1 - შეტყობინება ალექსანდრასთვის.....	89
სავარჯიშო 2 - საერთო დანაკარგი	91
მესბა	93
საბაზისო ინფორმაცია	93
სავარჯიშო 1 - შენი უდიდესი შიში	96
სავარჯიშო 2 - როგორ ცხოვრობენ ქუჩაში	97
პამელა	100
საბაზისო ინფორმაცია	100
სავარჯიშო 1 - წერილი	103
სავარჯიშო 2 - ფასეულობების სასწორი	104
რომი	105
საბაზისო ინფორმაცია	105
სავარჯიშო 1 - განსაზღვრებები - გრძნობები - კითხვები.....	109
სავარჯიშო 2 - კედლის წარწერები	111
4. სოციალური რეკლამები	112
100	112
იდეალური ქმარი	117
კედლის უკან	119
უარი თქვი პლასტმასზე	122
5. დამატებითი ინფორმაცია	126
სიძნეულები და გადაჭრის გზები	126
მასწავლებლის კომენტარი.....	127

1. „ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამა

„ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტუალური სოციალური საკითხების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება, მოსწავლეების კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება. ამასთან, პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას, იმ გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე.

გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დოკუმენტური ფილმების ჩვენება ეფექტური საშუალებაა საიმისოდ, რათა საზოგადოებას მნიშვნელოვანი საკითხები გავაცნოთ. ფილმები, როგორც აუდიოვიზუალური საშუალება, საინტერესოდ გადმოცემენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე, წარმოადგენენ რეალური ადამიანების ისტორიებს. ისინი შესაძლოა ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის მოტივაციის წყაროდაც იქცნენ.

„ერთი მსოფლიო სკოლებში“ საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ადამიანის უფლებების ყოველწლიურ ფესტივალზე „ერთი მსოფლიო“. ფესტივალი 1999 წლიდან ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) მიერ ტარდება. ფილმების შერჩევისას გათვალისწინებულია მათი თემატიკა, ხანგრძლივობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ა.შ.

პროექტის ისტორია

პროექტი ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ საგანმანათლებლო პროგრამას - „ერთი მსოფლიო სკოლებში“, რომელიც ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ ჩეხეთის რესპუბლიკაში 2003 წლიდან მიმდინარეობს. პროგრამა ითვალისწინებს სკოლის მასწავლებლებისთვის უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე დოკუმენტური ფილმებისა და თემატური სახელმძღვანელოების შეთავაზებას.

საგანმანათლებლო პროგრამა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში (სლოვაკეთი, პოლონეთი, ესტონეთი, რუმინეთი, შვედეთი, გერმანია, ლიბანი, მონღოლეთი, სომხეთი) ხორციელდება. საქართველოში იგი 2011 წლიდან დაიწყო. ამჟამად, ქ. თბილისის, იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონის 80-ზე მეტი სკოლა და 180-ზე მეტი მასწავლებელია პროექტში ჩართული.

2. საგანმანათლებლო მასალების შესავალი

ა) წიგნის მიზნები და სტრუქტურა

2012 წელს ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ გამოცემა მასწავლებლებისთვის დამხმარე წიგნი „გავიგოთ მეტი ადამიანის უფლებებზე“. მოცემული სახელმძღვანელო წინა წიგნის გაგრძელებაა და მასში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სოციალური თემები, ფილმები და აქტივობები.

წიგნის მიზანია დამატებითი, ახალი მასალა მიაწოდოს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებს, დახმარება გაუწიოს მათ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში. სახელმძღვანელოში ინფორმაციის გარკვეული ნაწილი აღარ მეორდება. მკითხველს ვურჩევთ იხილოს პირველი წიგნი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია თუ როგორ გამოიყენონ დოკუმენტური ფილმები სასწავლო პროცესში და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები.

აღნიშნული საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს 6 დოკუმენტურ ფილმს, 4 სოციალურ რეკლამას და მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს მასწავლებლისთვის.

წიგნში და შესაბამისად, ფილმებში წარმოდგენილია შემდეგი თემები: ადამიანის (ბავშვთა) უფლებები, კონფლიქტი, კონფლიქტის არაძალადობრივი მეთოდებით მართვა, სამოქალაქო ჩართულობა, ტოლერანტობა, გარემოს დაცვა, ოჯახური ძალადობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ა.შ. ფილმებმა პილოტირება გაიარა სკოლებში, იმის დასაზუსტებლად, თუ რამდენად საინტერესოა სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის თითოეული მათგანი.

სახელმძღვანელო შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- როგორ გამოვიყენოთ დოკუმენტური ფილმები გაკვეთილზე – ამ ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ფილმები სასწავლო რესურსის სახით.
- როგორ გამოვიყენოთ სოციალური რეკლამები გაკვეთილზე – სოციალური რეკლამები აუდიოვიზუალური მასალის განსაკუთრებული სახეა. ისინი საკმაოდ პოპულარულია მასწავლებლებს შორის მათი ხანგრძლივობისა და ინფორმატიულობის გამო. ამ ნაწილში თქვენ შეგიძლიათ იხილოთ რამდენიმე ძირითადი წესი თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სოციალური რეკლამები სასწავლო პროცესში.

თითოეული ფილმის სექცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- სინოფსისი: ზოგადი ინფორმაცია ფილმის შესახებ (რეჟისორი, ქვეყანა, წელი და ფილმის ხანგრძლივობა).
- ინფორმაციული ნაწილი: ფილმში წარმოდგენილი თემების შესახებ ინფორმაცია. ამ ნაწილში მოცემული კითხვები შედგენილია საბილოტე სკოლებში მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე. პასუხები მომზადებულია შესაბამისი სფეროს ექსპერტების მიერ.
- ასახვა/მსჯელობა: აქტივობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ფილმის დასრულების შემდეგ ეხმარება მოსწავლეს გამოხატონ საკუთარი შთაბეჭდილებები, გრძნობები და აზრები. ფილმის ასახვა/მსჯელობა ყოველი ჩვენების შემდეგ უნდა მოხდეს, რათა დამსწრეთ მიეცეთ ერთმანეთისთვის საკუთარი ემოციების, მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა.
- აქტივობები: თითოეულ აქტივობას თან ახლავს ინფორმაცია აქტივობის სასწავლო მიზნების, ხანგრძლივობის, სამიზნე ასაკობრივი ჯგუფისა და საჭირო რესურსების შესახებ. თითოეულ ფილმს, სპეციალურად ამ თემისთვის შერჩეული რამდენიმე აქტივობა ახლავს, რაც მასწავლებლებს არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემს.

ბ) როგორ გამოვიყენოთ დოკუმენტური ფილმები გაკვეთილზე

გაეცანით ფილმს, ვიდრე მას მოსწავლეებს აჩვენებთ - მნიშვნელოვანია წინასწარ გაეცნოთ ფილმს, რომ უკეთ დაგეგმოთ გაკვეთილი. შეარჩიეთ შესაბამისი აქტივობები, სჭიროების შემთხვევაში დამატებით მოიძიეთ სასურველი ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით ან გადაწყვიტეთ ფილმის რა ნაწილს აჩვენებთ გაკვეთილზე (დროში შეზღუდულობის შემთხვევაში). გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტური ფილმი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოსწავლეების წინარე ცოდნასთან.

მოემზადეთ განხილვისთვის - ფილმში წარმოდგენილი თემების შესახებ საბაზისო ინფორმაციის გაცნობა საშუალებას მოგვცემთ მოსწავლეების შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხები გაცეთ. შეეცადეთ სადისკუსიო თემები დაუკავშიროთ მოსწავლეების ინტერესებს და გამოცდილებას.

მოემზადეთ ფილმის ჩვენებისთვის - სასურველია წინასწარ მოამზადოთ ჩვენების ტექნიკური მხარე, მაგალითად, შესაბამისი აპარატურა, საკლასო ოთახი, გაითვალისწინოთ რამდენად შესაძლებელია ოთახის დაბნელება და ა.შ.

პროექტირების მიზანი - ახალი ცოდნის მიღებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ყურადღება გაამახვილოთ დამსწრეთა შორის საკითხის გლობალურ გააზრებასა და მის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებაზე. დოკუმენტური ფილმი პრობლემის გადაჭრის მზა რჩევებს არ გვთავაზობს. იგი მას განსხვავებული პოზიციებიდან გვაჩვენებს და კითხვების დასმას გვხელს. მნიშვნელოვანია, ფილმის ჩვენების დროს ვიზრუნოთ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, წავახალისოთ მოსწავლეები ჩაერთონ დისკუსიაში; ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი მოსაზრებები თანაბრად სერიოზულად იქნება განხილული.

ფილმის ნაწილის ჩვენება - დროში შეზღუდულობის, ან სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გაკვეთილზე ფილმის მხოლოდ ნაწილი ვაჩვენოთ და სადისკუსიო თემებიც მასთან შესაბამისობაში განვსაზღვროთ. მნიშვნელოვანია, ისე დაგვეგეგმოთ საგაკვეთილო პროცესი, რომ ფილმის (თუ მისი ნაწილის) დასრულების შემდეგ საკმარისი დრო დავუთმოთ დისკუსიას და აქტივობას, რადგან მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ იმსჯელონ წარმოდგენილ თემაზე და დასვან მათთვის საინტერესო კითხვები.

ფილმის ასახვა/მსჯელობა - დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი სწორედ ფილმის ასახვა/მსჯელობაა. ხშირად დოკუმენტური ფილმი წარმოგვიდგენს ფაქტებს, კონკრეტული ადამიანების ისტორიებს და მძიმე რეალობას. მოსწავლეები ამ ყოველივეს მძაფრად აღიქვამენ. ფილმის ჩვენების შემდგომი ასახვა/მსჯელობა დამსწრეებს საშუალებას აძლევს დაუყონებლივ გამოხატონ საკუთარი შთაბეჭდილებები, ემოციები, დამოკიდებულებები, მოუსმინონ და გაიზიარონ სხვების მოსაზრებები.

დამსწრეთა რეაქციები - ხშირად დამსწრეებმა შესაძლებელია საკმაოდ მოულოდნელი რეაქციები გამოავლინონ. მოსწავლეებს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული გამოცდილება და დამოკიდებულება გააჩნიათ. ამდენად, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ერთიდაიგივე ფაქტზე ყოველი ადამიანი მისთვის უნიკალური სახით რეაგირებს. გახსოვდეთ, ფილმები ხშირად გავლენას ახდენენ ადამიანების შეხედულებებზე და დამოკიდებულებებზე, არ აიძულოთ მოსწავლეები პასუხი გაცენ ყველა კითხვას; არ შეაფასოთ მათი პასუხები. განსხვავებული რეაქციების არსებობის ფაქტი მასწავლებლის მხრიდან მეტ სენსიტიურობას მოითხოვს ფასილიტაციის პროცესში.

ექსპერტი - სასურველია, ფილმის ჩვენების შემდგომი განხილვისთვის მოიწვიოთ კომპეტენტური ადამიანები/სტუმრები, ვისაც წარმოდგენილ თემებზე მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ (სოციალური მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.).

რუკა - სასურველია მოსწავლეებს მივუთითოთ იმ კონკრეტული ქვეყნის მდებარეობა რუკაზე, სადაც ფილმის სიუჟეტი ვითარდება.

კინო კლუბი - შესაძლებელია სკოლაში დააარსოთ კინო კლუბი და ახალგაზრდები ჩვენებებზე მოიწვიოთ. კინო კლუბში ფილმის ჩვენების შემდგომ მოსწავლეებს თავად შეუძლიათ ფასილიტაცია გაუწიონ განხილვას.

გ) როგორ გამოვიყენოთ სოციალური რეკლამები გაკვეთილზე

სოციალური რეკლამების სასწავლო პროცესში გამოყენება არსებითად იგივე სახით ხდება, როგორც დოკუმენტური ფილმების. სოციალური რეკლამის ჩვენებამდე, მნიშვნელოვანია გაიაზროთ, რომ ეს არის სწავლების მეთოდი და არა მხოლოდ რეკლამის ჩვენება.

- დოკუმენტური ფილმის მსგავსად, წინასწარ გაეცანით სოციალურ რეკლამას, ვიდრე მას მოსწავლეებს აჩვენებთ.
- სოციალური რეკლამის დასრულების შემდგომ მიეცით მოსწავლეებს საშუალება იმსჯელონ თავიანთ შეხედულებებსა და გრძნობებზე.
- შეეცადეთ კლასში შექმნათ კეთილგანწყობილი გარემო, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.
- არ შეაფასოთ, არ გააკრიტიკოთ მათი პასუხები, მოუსმინეთ და აგრძნობინეთ, რომ პატივს ცემთ თითოეული მოსწავლის მოსაზრებას.

3. დოკუმენტური ფილმები



ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა

ფრედერიკ ბეკი / კანადა / 1987 / 30 წთ.

ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან ჟიონოს მოთხრობის „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“ ეკრანიზაცია. ანიმაციური ფილმი მოგვითხრობს ელზეარდ ბუფიეს, მარტოხელა მწყემსის თავდაუზოგავი და წარმატებული მცდელობის ისტორიას, გაემენებინა ტყე უდაბურ ადგილზე. ერთხელ მასთან შემთხვევით ახალგაზრდა მოგზაური ხვდება. მოგზაური თვალს ადევნებს ელზეარდ ბუფიეს, რომელიც ყოველ დღე 100 მუხის თესლს რგავს უნაყოფო მიწაზე და ცდილობს სიცოცხლე დაუბრუნოს, ამ ერთი შეხედვით, სამუდამოდ მიტოვებულ ადგილს. მწყემსის საქციელით მოხიბლული მოგზაური წლების შემდეგ კვლავ ბურნდება მის სანახავად და მას უწინდელი უკაცური ადგილის ნაცვლად, ახალგაშენებული ტყე ხვდება. თესლი, რომელსაც მწყემსი რგავს ადამიანის ქმედების სიმბოლოა, ცუდის და კარგისაც, რომელსაც შორსმომავალი მიზნები და შედეგები აქვს. ფილმი გვაჩვენებს, რამდენად დიდია ადამიანის გავლენა გარემოზე. გვაფიქრებს, გავუფრთხილდეთ და დავუტოვოთ მომავალ თაობას მსოფლიო იმაზე უფრო ლამაზი და პერსპექტიული, ვიდრე ჩვენ გვერგო მემკვიდრეობად.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემები: გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება

დამატებითი თემები: ადამიანი და გარემო, ტყის გადარჩენა

1. რატომ არის ტყეები ადამიანის სიცოცხლისთვის ასეთი მნიშვნელოვანი?

ნაყოფის და ხის მასალის გარდა, რომელიც მნიშვნელოვანი ნედლეულია, ხეები/ტყეები და ზოგადად ყველა მწვანე მცენარე, საშუალებას აძლევს ადამიანებს, ცხოველებსა თუ ფრინველებს (ყველა ცოცხალ არსებას) იცოცხლონ დედამიწაზე. ეს **ფოტოსინთეზის** პროცესის დამსახურებაა, რომლის დროსაც ნახშირორჟანგისაგან მზის სხივური ენერჯის დახმარებით ჟანგბადი წარმოიქმნება, ეს უკანასკნელი კი სუნთქვისთვის არის აუცილებელი.

ტყეებს კიდევ ერთი, შეუცვლელი დაცვითი ფუნქცია გააჩნიათ, ესაა **წყლის შეკავების ფუნქცია, რაც წყალდიდობებისგან გვიცავს**. ტყეების მასივების გაჩეხვის შედეგად წარმოქმნება ტრიალი მინდვრები, ასეთ ადგილებში წვიმის წყალი არ ჩერდება, არ ხდება ნიადაგში მისი შეწოვა და წყალი ნაკადებად მიედინება. წყლის ნაკადები უერთდება ახლომდებარე ნაკადულებს, მდინარეებს, რაც ზრდის წყალდიდობების

სამიშროებას (ძირითადად დიდი ნიაღვრების დროს). გაჩეხილი ტყის ადგილზე ნიადაგი შრება და იფიტება. ასეთ ადგილებზე საკმაოდ რთულია, როგორც ახალი ხეების დარგვა, ისე ტყეების თავისთავად განახლების პროცესი. ტყეების გაჩეხვა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადგილობრივ კლიმატს. ამასთან, ტყეები საარსებო წყაროს, თავშესაფარის და საკვების მოპოვების მნიშვნელოვანი წყაროა მილიონობით ცოცხალი ორგანიზმისთვის, მათ შორის ადამიანისთვისაც.

2. დედამიწის რა ტერიტორია არის დაფარული ტყის საფარით? სად მდებარეობს ტყის ყველაზე მნიშვნელოვანი ფართობი?

დედამიწის ხმელეთის ზედაპირის დაახლოებით 30% ტყით არის დაფარული. მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ უდიდეს ტყეს **ტაიგა** ეწოდება. ტაიგა ჩრდილოეთის ზომიერი სარტყელის წიწვოვანი ტყეა და **მას დედამიწის ტყის საფარის თითქმის 1/3 უჭირავს**. იგი გადაჭიმულია ჩრდილოეთ ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის უზარმაზარ ტერიტორიაზე, მათ შორის - რუსეთში, ისლანდიაში, პოლონეთში, შვედეთში, ნორვეგიაში, მონღოლეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში. პლანეტის ფუნქციონირებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის **ამაზონის ტროპიკულ (წვიმის) ტყეებს**. ამ ტყეებს ხშირად „დედამიწის ფილტვებს“ უწოდებენ. ისინი შთანთქავენ დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და გამოყოფენ ჟანგბადს და გავლენას ახდენენ გლობალური კლიმატის ჩამოყალიბებაზე.

ამაზონის ტყეებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საკმაოდ დიდი ტერიტორიები უჭირავს, მათ შორის ყველაზე დიდი ბრაზილიაში. ამაზონის ტყის საფარის განადგურება, რომლის ფართობი ბოლო 50 წლის განმავლობაში ისედაც 17 % -ით შემცირდა, ნიშნავს, რომ ატმოსფეროში დაახლოებით ნახევარი მილიარდით გაიზარდა გამონახობლქვი (ემისიები). ამ ტყეების საფარის გაჩეხვა სერიოზულ გლობალურ პრობლემებს წარმოქმნის (მაგალითად, გლობალური დათბობა და ა.შ.).

3. რა მოხდება თუ ლანდშაფტს ხელს არ ვახლებთ? რამდენ ხანში დაუბრუნდება მას სიცოცხლე?

1999 წელს ჩეხმა ბიოლოგმა ირი სადლომ საბუნებისმეტყველო ჟურნალში „სივრცე“ გამოაქვეყნა სტატია „რა მოხდება, როდესაც ის დაეცემა?“. იგი სტატიაში განიხილავს, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, ადამიანის გარეშე, ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, პრაღაში. მისი მიხედვით, „ქალაქი - ადამიანის მიერ შექმნილი და დაცული სისტემაა. უფრო მეტიც, ეს სისტემა საკმაოდ არასტაბილურია და როგორც კი ადამიანის გავლენას თავს დააღწევს, დაიწყება უკუპროცესი, მცენარეები დაიწყებენ ზრდას და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ქალაქი მცენარეული საფარით დაიფარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიწყება თანმიმდევრული პროცესი და მცენარეები თავის ადგილს დაუბრუნდებიან, სანამ არ მიაღწევენ განსაზღვრულ საბოლოო ეტაპს, კულმინაციას - რაც უმეტესად ტყის სახით არის წარმოდგენილი. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი ბუნებრივ გარემოში არ მოხდება, იგი შედარებით ნელა და რთულად წარიმართება და შესაძლებელია საბოლოო სტადიას - ადგილის სრულ გაუდაბურებას ვერც ვერასდროს მიაღწიოს. აქ გარემო პირობებიც განსხვავებული იქნება ვიდრე ნამდვილ ტყეში, შესაბამისად, განსხვავებული ფაუნა ჩამოყალიბდება და განვითარდება. მსგავსი განახლების პროცესი შესამჩნევია ყველა დაუსახლებელ ტერიტორიაზე, სამშენებლო ობიექტსა თუ მიტოვებული შენობების ადგილზე. პროცესი იწყება ერთწლოვანი მცენარეების სახეობების აღმოცენებით და გრძელდება მრავალწლოვანი მცენარეების გაზრდით“.

4. ტყეების გაჩეხვის ძირითადი მიზეზები

ტყეების გაჩეხვა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია **ხის მასალის მოპოვებასთან** (ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში პირველი ადგილზეა ბრაზილია, შემდეგ ინდონეზია). შემდეგი მიზეზი გახლავთ **სამშენებლო ინფრასტრუქტურის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაფართოება**. ამაზონის (წვიმის) ტყეების გაჩეხვას მიწებს ძირითადად იყენებენ სოიოს მონოკულტურის, მარცვლეულისა და ზეთის პალმების მოსაყვანად. ზეთის პალმის წარმოების უკან, რომელსაც ბევრი სახეობის ტკბილეული და კოსმეტიკური

საშუალება შეიცავს, ტყის დიდი მასივების გაჩეხვა დგას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. პალმების პლანტაციების განადგურებამ ამ ადგილებში ცოცხალი ორგანიზმების სხვადასხვა სახეობის დაახლოებით 90%-ის გაქრობა გამოიწვია, მათ შორის ისედაც გადაშენების პირას მყოფი ორანგუტანების. უფრო დრამატული გავლენა აქვს სოიოს იმ ჯიშის მოყვანას, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება ფერმებში ცხოველების საკვებად. მაგალითად, 1996 წელს, ხორცისა და ძვლის ფქვილის ევროპის ბაზარზე აკრძალვის შედეგად, იგი სოიოთი ჩაანაცვლეს. ზუსტად ამ პერიოდში ბრაზილიაში ტყის მასიური გაჩეხვა მოხდა, რათა სოიოს მოყვანისათვის საჭირო ნიადაგის ფართობი გაეზარდათ.

5. რა შედეგები შეიძლება მოყვას ტყეების სისტემატურ გაჩეხვას?

ტყეების გაჩეხვა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მონაცემებით, **ყოველწლიურად დედამიწის ზედაპირიდან დაახლოებით 12-15 ჰექტარი ტყის მასივი ქრება.** მაგალითისთვის წარმოიდგინეთ, რომ ეს იგივეა, რაც ყოველ წუთში დაახლოებით 36 საფეხბურთო მოედნის ზომის ფართობი განადგურდეს.

ტყეების გაჩეხვის ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი შედეგია მცენარეთა და ცხოველეთა სახეობების სწრაფი შემცირება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტროპიკული ტყეები მოიცავენ აღწერილი ცხოველებისა და მცენარეების სახეობების 80% მივხვდებით, რომ ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

სასათბურე გაზების გამონაბოლქვის გაზრდა ასევე დაკავშირებულია ტყის განადგურებასთან. მნიშვნელოვანი ზიანი მოყვება წყლის ციკლის დარღვევას, ნიადაგის ეროზიას და ადამიანსა და გარემოს შორის კავშირის გაწყვეტას. მემცენარეობით (სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, რომლის მიზანია უმთავრესად კულტურული მცენარეების მოყვანა მცენარეული პროდუქციის წარმოების მიზნით) დაკავებული მსხვილი კორპორაციების წყალობით, მილიონობით ადამიანმა, რომლებიც მცირე ფერმერობას ან მონადირეობას ეწეოდნენ, დაკარგა საარსებო წყარო. ტყისგან გაჩეხილ ფართობებზე სოიოს მასობრივ მოყვანასთან დაკავშირებით შეგვიძლია აღვნიშნოთ თანამედროვე მსოფლიოში მონობის საკითხიც. უამრავი ადამიანი სოიოს უზარმაზარ პლანტაციებში იძულებით შრომობს გაუსაძლის პირობებში. მაგალითად, ბრაზილიის მთავრობის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად 8000-ზე მეტი ადამიანი იძულებით მუშაობს სოიოს პლანტაციებში.

ლანდშაფტი დროში

ლანდშაფტი დროის და ადგილმდებარეობის მიხედვით იცვლება. ჰიმალაებში, აფრიკასა თუ საქართველოში ჩვენ განსხვავებულ ლანდშაფტს ვხვდებით. თუმცა, ის ლანდშაფტი, რაც ამჟამად ჩვენთვის ნაცნობია, ყოველთვის ასეთი არ იყო. ასი, ხუთასი თუ ხუთი ათასი წლის წინ ჩვენთვის ნაცნობი ლანდშაფტი განსხვავებულად ეხლანდელისგან. ადამიანი ლანდშაფტზე და მის ცვლილებებზე ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უკვე იმ დროიდან, როდესაც ის სხვა არსებებს აზროვნებით და ქცევით გაემიჯნა. ეს დაახლოებით 5-8 მილიონი წლის წინ მოხდა. ჩვენმა წინაპრებმა თანდათან დაიწყეს ხორცის ჭამა, იარაღის დამზადება, სახლების შენება, ცხოველების მოშინაურობა, მცენარეების მოყვანა და ა.შ. პირველმა ცივილიზაციებმა განვითარება დაახლოებით 10-5 ათასი წლის წინ დაიწყეს, რაც უკავშირდება მათი მომთაბარე ცხოვრების წესის დასრულებას და გარემოში უფრო ხშირ ინტერვენციას. ძირითადად, ეს იყო შეშის ჭრა, რაც იწვევს ნიადაგის ეროზიას, წყლის ციკლის დარღვევას და კლიმატის შეცვლას. კულტურული მცენარეების მოყვანა და მეცხოველეობა ადამიანისთვის იქცა კვების სტაბილურ წყაროდ, რამაც გამოიწვია პოპულაციის ზრდა.

6. არსებობენ თუ არა გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ტყეების გაჩეხვის და ახალი ნარგავების დარგვა-გახარების საკითხებზე?

მრავალი გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე, რომლებიც აქტიურად მუშაობენ გარემოს დაცვის საკითხებზე. თუმცა უპირველეს ყოვლისა,

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი გარემოს დაცვის საკითხებში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ან დაცული ტერიტორიების სააგენტო, წარმოადგენენ სწორედ იმ „ქოლგა“ ორგანიზაციებს, რომლებიც იცავენ ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, ბუნების ძეგლებს და ა.შ. საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლავოდების სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 520 273 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7,46 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75 % ტყით არის დაფარული. დაცული ტერიტორიების უპირველესი დანიშნულება უნიკალური ბიომრავალფეროვნების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დაცვა-შენარჩუნებაა. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში არსებობს 68 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია, მათ შორის:

- 14 სახელმწიფო ნაკრძალი
- 10 ეროვნული პარკი
- 18 აღკვეთილი
- 24 ბუნების ძეგლი
- 2 დაცული ლანდშაფტი

7. იყო თუ არა ელზეარდ ბუფიე რეალური პიროვნება? სინამდვილეში არსებობს თუ არა მის მიერ გაშენებული ტყე?

ელზეარდ ბუფიე ფრანგი მწერლის - ჟან ჟიონიოს ნოველის „ადამიანი რომელიც ხეებს რგავდა“ გამოგონილი პერსონაჟია. ავტორმა 1957 წელს თავის ერთ-ერთ წერილში დაწერა: „ჩემი მიზანი იყო ხეები, ან უფრო სწორედ ხეების დარგვა-გაშენება წარმომედგინა უფრო აქტუალურ და მიმზიდველ თემად.“ მიზანმა გაამართლა. 1953 წელს დაწერილი წიგნი, ჯერ რამდენიმე ენაზე თარგმნეს, ხოლო 1987 წელს კი მის საფუძველზე ანიმაციური ფილმი გადაიღეს, რომელმაც მთელ მსოფლიოში უამრავი თავყვანისმცემელი მოიპოვა.

საპარტიშო 1: ერთი სიტყვა რეფლექსია

ასაკი: 11+

შესაბამისი თემები: გარემოს დაცვა, მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- ავსახოთ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილებები

დრო: 10 წუთი

რესურსები: დაფა ან ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ერთი სიტყვით გამოხატონ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილება, ემოცია. პასუხებს წერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

ასახვა/ მსჯელობა:

მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეების მიერ დასახელებულ შთაბეჭდილებებს და გრძნობებს. თუ ერთიდაიგივე პასუხები რამდენჯერმე განმეორდება, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იმსჯელონ თუ რა არის ამის მიზეზი.

სავარჯიშო 2: რა განსხვავებაა?

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: გარემოს დაცვა, ადამიანი და ბუნება

სასწავლო მიზნები:

- ლანდშაფტის ცალკეული ელემენტების მნიშვნელობის გაცნობიერება
- ლანდშაფტის ცვლილებების შემჩნევა
- მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა
- ურთიერთობის და თანამშრომლობის სწავლა

დრო: 20 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N1 წყვილებში სამუშაოდ (სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გადაღებული ერთიდაიგივე ადგილის ამსახველი ფოტოები ან ბარათები).

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს დაწყვილდნენ და ურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს N1;
- მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და ცდილობენ ფოტოებს / ბარათებს შორის იპოვნონ განსხვავება;
- განსხვავებების პოვნის შემდეგ წყვილები ფიქრობენ მოცემული შედეგების გამომწვევ მიზეზებზე.

ასახვა /მსჯელობა:

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ შეკითხვებს: ლანდშაფტის შემადგენელი რომელი ელემენტებია წარმოდგენილი ფოტოებზე? როგორი იყო ლანდშაფტი წარსულში? როგორია ეხლა? არის თუ არა განსხვავება მათ შორის? რა შეიძლება იყოს გარემოს ცვლილების მიზეზები? რა შედეგები შეიძლება მოყვეს ამ ცვლილებებს?

სავარჯიშო 2: რა განსხვავებაა?

სამუშაო ფურცელი N1

თეთრი ხიდი (ქუთაისი)



წყარო: <http://burusi.wordpress.com/2009/09/27/old-kutaisi/>



წყარო: <http://www.nini-giorgadze.com/geo/mycity.html>

თრდატ მეფის ქანდაკება (ერევანი)



წყარო: <http://www.armeniatree.org/whatwedo/gallery/sites/index.htm>

სავარჯიშო 3: ბინგო

ასაკი: 13+

შესაბამისი თემა: გარემოს დაცვა

სასწავლო მიზნები:

- შევისწავლოთ ლანდშაფტის ეკოლოგიის ძირითადი ტერმინები
- მივიღოთ ლანდშაფტის ეკოლოგიის შესახებ ბაზისური ცოდნა
- ვისწავლოთ ურთიერთობა და თანამშრომლობა

დრო: 20 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N2 ყველა მოსწავლისათვის;

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის (იხილეთ აქტივობის ბოლოს)

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს N2;
- მოსწავლეები თავისუფლად გადაადგილდებიან საკლასო ოთახში, უსვამენ ერთმანეთს სამუშაო ფურცლებზე მოცემულ შეკითხვებს და სწორ პასუხებს ინიშნავენ;
- თითოეულ მოსწავლეს შეუძლია პასუხი გაცეს მხოლოდ ერთ კითხვას;
- სავარჯიშოს მიზანია, პასუხი გაეცეს ყველა კითხვას;
- ბინგოს იგებს ის, ვინც პირველი შეავსებს ყველა ცარიელ უჯრას.
- აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ პასუხები. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კითხვაზე კლასში სწორი პასუხი არავის აქვს, კითხვაზე მასწავლებელი პასუხობს (იხ. დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის).

ასახვა /მსჯელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შემდეგი სახის შეკითხვებს: შეგხვდათ თუ არა თქვენთვის ახალი კითხვები? რომელი კითხვები იყო თქვენთვის ყველაზე რთული? ადვილი? რა ისწავლეთ სავარჯიშოდან?

საპარტიშო 3: ბინგო

სამუშაო ფურცელი N2

რა განსხვავებაა ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტს შორის?	ანთროპოგენული ლანდშაფტი შედგება:	ბუნებრივი ლანდშაფტი შედგება:
რა არის ხეივანი?	რა არის მონოკულტურა?	რა არის მქანდრი?
დაასახელეთ სამი წიწვოვანი მცენარე:	დაასახელეთ სამი ფართოფოთლოვანი მცენარე:	დაასახელეთ სამი ბუჩქოვანი მცენარე:
რა განსხვავებაა ტბასა და ტბორს შორის?	როგორ შეიძლება ხის ასაკის განსაზღვრა?	რას უწოდებენ წიფლისა და მუხის ნაყოფს?

საპარტიშო 3: ბინგო

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის

<p>რა განსხვავებაა ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტს შორის?</p> <p>ბუნებრივი ლანდშაფტი - ადამიანის ჩარევის გარეშე შექმნილი ლანდშაფტია.</p> <p>ანთროპოგენული ლანდშაფტი - ადამიანის ჩარევის შედეგია (გზები, ველები, შენობები).</p>	<p>ანთროპოგენული ლანდშაფტი შედგება:</p> <p>გზებისაგან, შენობებისაგან, ბაღებისაგან, ვენახებისაგან.</p>	<p>ბუნებრივი ლანდშაფტი შედგება:</p> <p>ტყეებისაგან, მდინარეებისაგან, ტბებისაგან, მთებისაგან.</p>
<p>რა არის ხეივანი?</p> <p>სავალი გზა სწორ რიგად გაშენებული ხეებით.</p>	<p>რა არის მონოკულტურა?</p> <p>პროდუქტის სასოფლო სამეურნეო პრაქტიკა, ან ერთი კულტურის/მცენარეთა გარკვეული სახეობების მრავალი წლის განმავლობაში მოყვანა მიწის დიდ ფართობზე.</p>	<p>რა არის მეანდრი?</p> <p>მეანდრი არის ვაკის მდინარის კლაკნილი, რომლის სიმრუდის რადიუსი დამოკიდებულია მდინარის წყლიანობასა და სიჩქარეზე. მეანდრი გეოლოგიურად მდინარის კალაპოტის დეფორმაციაა, რომელიც უმეტესად ვითარდება ვაკის მდინარეების ქვემო დინებებში, იქ სადაც განვითარებულია ნელი დინება. საქართველოში დიდ სიგრძეზე მეანდრებს აჩენს მდინარე იორი.</p>
<p>დაასახელეთ სამი წიწვოვანი მცენარე:</p> <p>სოჭი, ნაძვი, ფიჭვი, წიწვიანა.</p>	<p>დაასახელეთ სამი ფართოფოთლოვანი მცენარე:</p> <p>ალვის ხე, არყის ხე, მუხა, წიფელი.</p>	<p>დაასახელეთ სამი ბუჩქოვანი მცენარე:</p> <p>ველური ვარდი, კუნელი, შავი ანწლი, მოცხარი.</p>
<p>რა განსხვავებაა ტბასა და ტბორს შორის?</p> <p>ტბა - ბუნების ქმნილებაა;</p> <p>ტბორი - ადამიანის მიერ არის შექმნილი.</p>	<p>როგორ შეიძლება ხის ასაკის განსაზღვრა?</p> <p>წლიური რგოლების მიხედვით (ყოველ წელს ხეს ახალი რგოლი ემატება).</p>	<p>რას უწოდებენ წიფლისა და მუხის ნაყოფს?</p> <p>წიწიბო და რკო.</p>

სავარჯიშო 4: წარსულში

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: გარემოს დაცვა, მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- საკუთარი ქალაქის/სოფლის ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ელემენტების ცნობა
- შვეისწავლოთ ლანდშაფტის ფორმირებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ბუნებრივი ელემენტები
- ვისწავლოთ რუკასთან მუშაობა, ინფორმაციის მოძიება და დამუშავება
- ვისწავლოთ პროექტების დაგეგმვა და განხორციელება

დრო: 2 x 45 წუთი

რესურსები: რუკა, სამუშაო ფურცელი N 3 ჯგუფებისთვის

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს 4-5 კაციან ჯგუფებად ყოფს. თითოეულ ჯგუფს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N3 და ქალაქის/სოფლის რუკას.
- ჯგუფები ავსებენ სამუშაო ფურცლებს, წერენ მათი ქალაქისთვის/სოფლისთვის, ან რეგიონისთვის დამახასიათებელ ადგილებს და რუკაზე აღნიშნავენ მათ.
- დავალების დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვებს: რით განსხვავდება ჩვენი ქალაქი/სოფელი სხვა ქალაქებისგან/სოფლებისგან? ლანდშაფტის როგორი ბუნებრივი და ანთროპოგენული ელემენტებია დამახასიათებელი ჩვენი ქალაქისთვის/სოფლისთვის? ყოველთვის ამ სახით არსებობდა თუ არა ეს ელემენტები ამ ადგილას? არის თუ არა მრავალწლოვანი ხეები ქალაქში/სოფელში? თუ კი, როგორ ფიქრობენ დაახლოებით რამდენი წლის იქნება ეს ხეები?
- მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფილმს;
- ფილმის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი კვლავ ყოფს მოსწავლეებს ამჯერად უკვე 5-6 კაციან ჯგუფებად. მათი დავალებაა მოამზადონ ანგარიში/პრეზენტაცია საკუთარი ქალაქის/სოფლის შესახებ. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიძიონ ისტორიული დოკუმენტები, ძველი ფოტოები ან ბარათები, გაესაუბრონ ქალაქის/სოფლის ძველ მაცხოვრებლებს, წაიკითხონ ლიტერატურა რეგიონის შესახებ ან ინტერნეტის საშუალებით მოიძიონ ინფორმაცია.
- მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში. ისინი ამზადებენ პროექტის გეგმას და კითხვებს (როგორ შეიცვალა კონკრეტული ადგილები? როდის დარგეს ხეები? და ა.შ.).
- თითოეული ჯგუფი პოულობს და ხვდება ქალაქის/სოფლის ძველ მაცხოვრებელს; ჯგუფის წევრები ინტერვიუს იღებენ მისგან და ინიშნავენ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ანგარიშის მომზადებისას გამოადგეთ.
- შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებენ ანგარიშს. ანგარიში/პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, წერილობით, პლაკატის სახით, კომიქსი და ა.შ.
- პროექტის დასასრულს ჯგუფები კლასში წარმოადგენენ თავიანთ ანგარიშებს/პრეზენტაციებს.

ასახვა /მსჯელობა:

მასწავლებელი აქტივობის შემაჯამებელი განხილვის დროს მიმართავს ე.წ. „კუთხეების“ მეთოდს. იგი საკლასო ოთახის ოთხივე კუთხეში სათითაოდ კიდებს ფურცლებს შემდეგი შეკითხვებით:

1. რა ვისწავლეთ?
2. რა სირთულეები შეგვხვდა?
3. რა იყო ყველაზე საინტერესო?
4. იდეები სამომავლო მოქმედებისთვის.

ჯგუფები საკუთარ პასუხებს წერენ შესაბამის ფურცლებზე. მასწავლებლისთვის ეს ინფორმაცია უკუკავშირის ინდიკატორია. მოსწავლეების პასუხები, შესაძლოა, საკლასო დისკუსიის თემაც გახდეს.

სავარჯიშო 4: წარსულში

სამუშაო ფურცელი N3

ადგილი, სადაც ვცხოვრობ

ლანდშაფტის ელემენტის დასახელება	აღწერა	ადგილმდებარეობა (რუკაზე)	კომენტარი

სავარჯიშო 4: წარსულში

სამუშაო ფურცელი N 3 – ნიმუში

ადგილი, სადაც ვცხოვრობ

ლანდშაფტის ელემენტის დასახელება	აღწერა	ადგილმდებარეობა (რუკაზე)	კომენტარი
ხეივანი	ხეივანი შექმნილია ძველი ნეკერჩხლის ხეებისგან. მათი ღეროს წლიური რგოლების მიხედვით ნეკერჩხლები 70 წლის იქნებიან.	ადგილმდებარეობა დატანილია რუკაზე.	ბატონი დავითის სიტყვებით, ნეკერჩხლების ხეივანი გაშენდა მეორე მსოფლიო ომამდე.
ქანდაკება	წმინდა გიორგის ქანდაკება დგას ქვის კვარცხლბეკზე.	ადგილმდებარეობა დატანილია რუკაზე.	ქანდაკება მიტოვებულია და დაფარულია ბალახით. ქანდაკება უკეთეს მდგომარეობაში იქნება, თუ ბალახს მოვთიბავთ და მიდამოს გავასუფთავებთ.

ლიბერიელი რკინის ქალბატონები

ჯონათან სტაკი, გაბრიელ ფილმი/ აშშ / 53წთ.



14 წლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ, 2006 წლის 16 იანვარს ელენ ჯონსონ-სირლიფს ლიბერიის პრეზიდენტად ირჩვევენ. ის პირველი ქალბატონია, რომელიც არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდა არა მხოლოდ ლიბერიაში, არამედ მთელ აფრიკის კონტინენტზე. ელექტორატმა (განსაკუთრებით ქალებმა) მასში დაინახა სიმბოლო, რომელსაც ძალუძს მრავალწლიანი სამოქალაქო დაპირისპირებისგან დასუსტებული ქვეყანა ფეხზე დააყენოს. ელენ ჯონსონ-სირლიფს ზედმეტ სახელად „რკინის ლედი“ შეარქვეს. მან განათლება ჰარვარდის უნივერსიტეტში მიიღო, მუშაობდა მსოფლიო ბანკში ეკონომისტად, ასევე, ლიბერიის ფინანსთა მინისტრად. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნა ძლიერი, პროფესიონალი ქალბატონები. შეძლებენ თუ არა ლიბერიელი პოლიტიკოსი ქალბატონები თავი გაართვან ქვეყნის დემოკრატიულ მართვას და გაუმკლავდნენ გამოწვევებს? დოკუმენტურ ფილმში ასახულია ლიბერიელი პოლიტიკოსი ქალბატონების ცხოვრება და მოღვაწეობა.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემები: გენდერი, კონფლიქტი, შერიგება

დამატებითი თემები: სახელმწიფოს დემოკრატიული მართვა, ადამიანის უფლებები

1. კონფლიქტების რა გამოცდილება აქვს აფრიკას? დღეისათვის რა მდგომარეობაა აფრიკაში?

აფრიკის დეკოლონიზაციის შემდეგ, რომელიც 1960-იან წლებში დაიწყო, ათწლეულების განმავლობაში აფრიკის კონტინენტი მრავალი სისხლიანი კონფლიქტის, სასტიკი დიქტატურისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწმე გახდა. შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად ორიენტირებული იყო ბუნებრივი რესურსების და სახელმწიფო ქონების მისაკუთრებაზე (რომლებიც პირადი სარგებელისთვის იხარჯებოდა) და გავლენას ახდენდა ეთნიკური დაძაბულობის წარმოშობაზე. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აფრიკა მრავალი ეთნიკური ჯგუფის თუ ენის სამშობლოა და კოლონიური რეჟიმის დროს შექმნილი საზღვრები ამ გარემოებას არ ითვალისწინებდა. შესაძლებელია ერთი ქვეყანა წარმოადგენდეს რამდენიმე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სამშობლოს, მაშინ როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფი დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანის ტერიტორიაზე. კონფლიქტების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ აფრიკას არ გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის და დემოკრატიული მმართველობის ტრადიცია. შედეგად, ძალაუფლება, ხშირად უზურპირებულია მათ მიერ, ვინც უკეთესად არის შეიარაღებული და მეტი მოკავშირე ყავს. აფრიკის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს ხანგრძლივი დროით სტაბილური, დემოკრატიული

მმართველობის გამოცდილება. ბოლო 25 წლის განმავლობაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა; ამასთან, გაიზარდა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლებების რაოდენობა, შემცირდა შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვი.

2. რა მოხდა ლიბერიაში?

ლიბერია აფრიკის ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც არასდროს ყოფილა კოლონია. ამერიკის შეერთებულ შტატებში მონობის გაუქმების შემდეგ, რამდენიმე განთავისუფლებული მონა ლიბერიაში დაბრუნდა, სადაც მათ გავლენის მოპოვება შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობაზე და მართავდნენ ქვეყნის ეკონომიკას და პოლიტიკას. 1980 წელს ლიბერიაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვა, რომელიც 17 წელს გაგრძელდა და 250 000 სიცოცხლე იმსხვერპლა (დღეისათვის ლიბერიის მოსახლეობა 3,7 მლნ. შეადგენს). ერთ-ერთ მთავარ მეთმარ მხარეს წარმოადგენდა პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი, რომელმაც ომი დაიწყო მებობელ ქვეყანასთან - სიერა ლეონესთან - ბრილიანტების საბადოების გაკონტროლების მიზნით. სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2003 წელს, დასავლეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყნის და გაეროს სამხედრო ჩარევის შედეგად. ორი წლის შემდეგ ლიბერიაში ჩატარდა თავისუფალი არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ელენ ჯონსონ სირლიფმა. 2011 წელს იგი ნობელის პრემიის ლაურიატი გახდა მშვიდობის განმტკიცების დარგში. 2012 წელს ჰააგის სასამართლომ ჩარლზ ტეილორს 50 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო.

3. რა ღონისძიებები უნდა გაატაროს პოსტკონფლიქტური ქვეყნის მთავრობამ სიტუაციის დასარეგულირებლად?

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, ქვეყანაში სამოქალაქო ომის შეწყვეტის შესახებ სამშვიდობო ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე დაიწყოს განიარაღების პროცესი. როგორც წესი, ასეთ ვითარებაში მოსახლეობის ხელში დიდი რაოდენობით იარაღია თავმოყრილი და თუ ეს მდგომარეობა სწრაფად არ შეიცვლება, დიდი ალბათობაა, რომ კონფლიქტი ისევ იფეთქებს. ბევრი ადამიანი ომისგან გარკვეულ სარგებელს იღებს, ამდენად, ისინი დაინტერესებული არიან კონფლიქტის გახანგრძლივებით. ხშირად განიარაღების პროცესის წახალისების მიზნით, მთავრობები გარკვეულ ჯილდოს აწესებენ ყოველ დაბრუნებულ იარაღზე. განიარაღება ხშირად გაეროს მხარდაჭერით ხდება.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, დემობილიზებული ჯარისკაცებისთვის და მემამოხეებისთვის რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავება. ხშირად, ესენი არიან მოზარდები ან ახალგაზრდები, რომლებსაც არ უსწავლიათ სკოლაში. მათ მხოლოდ ის იციან, თუ როგორ მიაღწიონ თავისთვის სასურველს ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით. ისინი შეიძლება იმედგაცრუებულნი იყვნენ პოსტკონფლიქტური პოლიტიკური განვითარებით. მნიშვნელოვანია ამ ჯგუფებთან მუშაობა და მომავალი პერსპექტივების შეთავაზება (მაგალითად, პროფესიული კურსები, სადაც ისინი შეიძენენ ახალ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რისი მეშვეობითაც შეძლებენ დაკარგული წლების კონპენსირებას და ალტერნატიული შემოსავლის წყაროების პოვნას). არანაკლებ მნიშვნელოვანია ამის პარალელურად საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან მუშაობა. მაგალითად, ზოგ ყოფილ მემამოხეს საკუთარი ოჯახი აღარ ღებულობს, მაგრამ სწორედ ოჯახში და “ნორმალურ ცხოვრებაში” დაბრუნებაა წარმატებული დემობილიზაციის მნიშვნელოვანი პირობა. სწორედ ამას ისახავენ მიზნად სხვადასხვა საგანმანათლებლო კამპანიები, დაარწმუნონ საზოგადოება - არ მოახდინონ ყოფილი ჯარისკაცების გარიყვა.

ხშირად, პოსტკონფლიქტური ქვეყნების ეკონომიკა სავალალო დღეშია, ადამიანები ელემენტარული საარსებო წყაროს საშოვნელად იბრძვიან. ამდენად, აუცილებელია ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი განვითარება, ინვესტიციების ჩადება აღმშენებლობის პროცესში, საკანონმდებლო ბაზის შექმნა-განვითარება და კანონის უზენაესობის განმტკიცება (სახელმწიფო უწყებების: პოლიციის, ციხის, სასამართლოს რეფორმა და ა.შ.). ამ ყველაფერს საკმაოდ ბევრი ფული ჭირდება, რასაც ხშირად განვითარებული, ეკონომიკურად მდიდარი ქვეყნები აფინანსებენ (მაგ. ა.შ.შ, ევროკავშირი, დღესდღეობით უკვე ჩინეთი, არაბული ქვეყნების

ლიგა) მაგრამ, როგორც წესი, ეს არ კმარა ყველა არსებული საჭიროების, პრობლემის თუ გამოწვევის დასაძლევად და დასაკმაყოფილებლად.

ფული ასევე აუცილებელია არჩევნების ორგანიზებისთვის. ომის შემდეგ, როგორც წესი განსაკუთრებით რთულია არჩევნების ჩატარება. ამის მიზეზს წარმოადგენს: ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, პირადი საბუთების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, მოსახლეობის გაუნათლებლობის მაღალი დონე და სხვ. არჩევნების ჩატარება უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ამომრჩეველთა განათლებას, რადგან ბევრი ადამიანი ცხოვრებაში პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ხშირად არჩევნებს აკვირდებიან დამოუკიდებელი მეთვალყურეები განვითარებული ქვეყნებიდან, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. გაყალბებული არჩევნები ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რომ სიტუაცია კვლავ არ დაუბრუნდეს ძალადობას და ქაოსს. როგორც წესი, სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ქვეყანას აღმასრულებელი ორგანო მართავს, სანამ ახლად არჩეული მთავრობა არ მოვა ხელისუფლებაში. ქვეყნისთვის ეს გარდამავალი პერიოდია, თუმცა ხშირად აღმასრულებელ ორგანოები ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, განგებ აჭიანურებენ არჩევნების დროულად ჩატარებას.

კონფლიქტის ეფექტური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს ძლიერი და გამაერთიანებელი ლიდერის არსებობა წარმოადგენს. ელენ ჯონსონ-სირლიფი სწორედ ასეთი ლიდერის მაგალითია, თუმცა აფრიკის კონტექსტში ის გამონაკლისს წარმოადგენს.

4. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობა. რა სარგებელი მოაქვს ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში?

უპირველეს ყოვლისა ეს სამართლიანობის საკითხია. მოსახლეობის 50% -ზე მეტი ქალია, მაგრამ საშუალოდ მათი მხოლოდ 20% არის პოლიტიკაში აქტიური ჩართული. ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იღებენ მონაწილეობას, ოჯახიდან დაწყებული შრომითი ბაზრით დამთავრებული. აქედან გამომდინარე, ქალებს უნდა ქონდეთ თავისი წვლილის შეტანის შესაძლებლობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც.

ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული საჭიროებები და გამოცდილება აქვთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი მხარის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მეორის. ქალების და ქალებთან ასოცირებული ჯგუფების ინტერესები (ბავშვები, ხანდაზმულები) პოლიტიკაში არასაკმარისად არის წარმოდგენილი იმის გამო, რომ გადაწყვეტილებების უმრავლესობის მიღება ხდება ძირითადად მამაკაცთა მიერ.

კვლევებზე დაყრდნობით, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: განათლება, სოციალური პრობლემები, მზრუნველობა ბავშვებზე და მოხუცებზე. გამოცდილება აჩვენებს, რომ ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში დიდი სარგებელი მოაქვს სახელმწიფოსთვის. ქალები ახდენენ სოციალური საკითხების პოლიტიკაში ინტეგრირებას და აქედან გამომდინარე უფრო სამართლიანს და ჰუმანურს ხდიან მას. ასეთი საზოგადოების მაგალითია სკანდინავიის ქვეყნები.

სამართლიანობის საკითხის გარდა, პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის არსებობისთვის ბევრი სხვა პრაგმატული მიზეზიც არსებობს. მაგალითად ის, რომ შერეული პარტიები უფრო ინოვაციურები არიან, რადგან ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისგან შემდგარი პარტიები გვთავაზობენ არსებულ პრობლემებთან ან საკითხებთან დაკავშირებულ განსხვავებულ თვალთახედვას და მოგვარების ალტერნატიულ გზებს; ქალების ჯგუფს ნაკლები თავისუფალი დრო აქვს, რაც ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას; საზოგადოება, რომელიც წარმოდგენილია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობით, ნაკლებად კორუმპირებულია. ამასთან, ქალები ზოგადად ნაკლებად მიდრეკილი არიან კრიმინალისკენ.

ევროპულ სახელმწიფოებში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის მაჩვენებელი მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც ქალები დიდი რაოდენობით მონაწილეობენ თვითმმართველობის, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. (იხ. დანართი 1).

დანართი 1

ქალების პოლიტიკური მონაწილეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	საშუალო ქულა		კეთილდღეობის საშუალო მაჩვენებელი
	ქალების პრობლემების მოგვარების მაჩვენებელი	ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელი	
შვედეთი	4.75	5.00	4.88
ბელგია	4.25	2.71	3.48
ნორვეგია	4.25	4.75	4.50
ირლანდია	2.50	2.50	2.50
ფინეთი	4.50	4.40	4.45
საფრანგეთი	4.50	2.29	3.40
დანია	4.25	4.17	4.23
ესპანეთი	2.00	2.17	2.09
ნიდერლანდები	3.25	3.83	3.54
იტალია	2.00	2.00	2.00
ავსტრალია	3.50	3.33	3.42
დიდი ბრიტანეთი	2.25	1.80	2.03
ლუქსემბურგი	3.00	3.20	3.10
საბერძნეთი	2.25	1.40	1.83
გერმანია	3.00	3.14	3.07
პორტუგალია	2.33	1.33	1.83

წყარო: Siaroff A. (1994) "Work, welfare and gender equality: a new tyology"//D. Sainslury (ed.) Lendening Welfare States, London:

5. როგორ შევუწყობთ ხელი ქალების პოლიტიკაში ჩართულობას?

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ მიზეზების გარკვევა, რომელიც ქალებს ხელს უშლით გახდნენ პოლიტიკურად აქტიურები. პოლიტიკა ისტორიულად მამაკაცებმა შექმნეს მამაკაცებისათვის და ეს ვითარება ინერციის ძალით დღემდე გრძელდება. ქალები ხშირად აწყდებიან ბევრ ხილულ თუ უხილავ ბარიერს, მაგალითად, კანდიდატა სიის შერჩევის, ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა "ქალისთვის უმთავრესი ოჯახი და მასზე ზრუნვაა", "ქალებს პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებთ" და სხვა.

პაროდოქსია, მაგრამ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის გამრდის ყველაზე დიდ დაბრკოლებას ხშირად თვით პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ. ამომრჩევლებს კანდიდატებისთვის ხმის მიცემა პარტიების მიერ შეთავაზებული სიების საფუძველზე შეუძლიათ. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულ კანდიდატთა შორის ქალები არ არიან წარმოდგენილი ამომრჩეველი ვერ ირჩევს მათ. სწორედ ამ მიზეზის გამო, მეტი ქალბატონი გვხვდება თვითმმართველობის დონეზე, სადაც პარტული სისტემა ცენტრალურ როლს არ თამაშობს.

პრობლემას წარმოადგენს ასევე ის ფაქტიც, რომ კანდიდატურების შერჩევა ხშირად არა მათი უნარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, არამედ, ნაცნობობით და “კულუარული” ურთიერთობების საფუძველზე ხდება. პარტიულ სივრცეში ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელი, შესაძლებელია ქვეცნობიერად ასახავდეს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკა – მამაკაცების დომინირების ადგილია, სადაც მათ აქვთ უკეთესი კავშირები სხვა მამაკაცებთან და შესაბამისად, ისინი კანდიდატებად ასახელებან ისევე მამაკაცებს. ამ სირთულეების დაძლევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა „ქვოტირების მეთოდი“-ს დაწესება, რომელსაც ბევრმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ მიმართა. „ქვოტირების მეთოდი“ ორ რამეს გულისხმობს: პირველი, პოლიტიკური პარტიები თავიანთ მმართველ სტრუქტურებში ქალებს აწინაურებენ (შიდაპარტიული ქვოტა), ან მეორე, როდესაც პარტიები ხელს უწყობენ საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო სივრცეში ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოდგენას (პარტიული ქვოტა). ეს სადაო გადაწყვეტილებაა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და მოსახერხებელი საშუალება, თანაბარუფლებიანი წარმომადგენლების გარანტირებისათვის. ხშირად „გენდერული ქვოტები“-ს საწინააღმდეგოდ მოაქვთ ისეთი მოსაზრებები, როგორცაა: „ჩვენ ვერ ვაიძულებთ ქალებს პოლიტიკაში ჩართვას“, „პოლიტიკა არ აინტერესებთ ქალებს“ და ა.შ., რაც სიმართლეს არ შეესაბამება: ქალები წარმომადგენელ პოლიტიკურ პარტიების 30-50%! ქვოტები უზრუნველყოფენ უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრას კანდიდატების არჩევისას, უბიძგებენ პოლიტიკურ პარტიებს გამარდონ ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და წამყვან პოზიციებზე დანიშნონ ისინი. პარტიებს ასევე შეუძლიათ ქალების მხარდაჭერა მენტორული პროგრამების (რაც გულისხმობს, გამოცდილი პოლიტიკოსების დახმარებას და რჩევებს დაწყებული პოლიტიკოსებისთვის), ან საგანმანათლებლო კურსების მეშვეობით.

6. ცნობილი პოლიტიკოსი ქალები მსოფლიოს და საქართველოს ისტორიიდან

მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში უამრავი ქალია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და დღემდე ასრულებენ თავიანთ სახელმწიფოებში დემოკრატიის, კეთილდღეობის და ადამიანის უფლებების გასაუმჯობესებლად. მეოცე საუკუნეში ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ინდირა განდი, მარგარეტ ტეტჩერი და ჰილარი კლინტონი. მათი ბიოგრაფიები ამის ნათელი დასტურია.

ინდირა განდი (1917-1984) თერთმეტი წელი იყო ინდოეთის პრემიერმინისტრი. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები საბანკო სისტემაში /მოხდა ბანკების ნაციონალიზაცია/, სოფლის მეურნეობაში, ენერჯეტიკაში, რასაც შედეგად მოყვა იმპორტისაგან დამოუკიდებელი ეკონომიკა. 1971 წელს ინდირა განდომ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, რომელმაც დროებით შეაჩერა რელიგიათშორისი დაპირისპირებები ინდოეთში. თუმცა, 1980-იან წლებში პენჯაბის შტატში მცხოვრებმა სინხებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რასაც ხელისუფლების მხრიდან სამხედრო ოპერაცია „ლურჯი ვარსკვლავი“ მოყვა. კონფლიქტის შედეგად მრავალი ამბოხებული დაიღუპა. სწორედ ამის გამო ინდირა განდი საკუთარი დაცვის წევრებმა მოკლეს, რომლებიც სწორედ სინხების კასტას ეკუთვნოდნენ.

მარგარეტ ტეტჩერის (1925-2013) პოლიტიკური კარიერა იწყება 60-იანი წლებიდან, როცა იგი როგორც კონსერვატიული პარტიის წევრი, ხდება ინგლისის თეთმა პალატის დეპუტატი. მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური მსოფლმხედველობა ლეიბორისტული პარტიის საწინააღმდეგოა და ლიბერალურ ეკონომიკას გულისხმობს: თავისუფალი ბაზარი, დაბალი გადასახადები, მეწარმეთა და მომხმარებელთა თავისუფლება. ტეტჩერი მიიჩნევს, რომ დაბალი გადასახადები მოქალაქეს შრომის სტიმულს აძლევს, ხოლო მოქალაქეთა გადასახადების ხარჯზე სოციალური პრობლემების მოგვარება, ეს იგივე კომუნიზმია.

1979 წლიდან უკვე პრემიერის რანგში, მარგარეტ ტეტჩერი მნიშვნელოვან რეფორმებს ხელმძღვანელობს. განათლების სისტემაში მან შემოიღო სუბსიდირების სისტემა, რომლის მიხედვით სწავლას ნაწილობრივ ან მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. გარდა ამისა, ეგრეთ წოდებულ ტექნოლოგიურ კოლეჯებში სწავლება მთლიანად სახელმწიფომ აიღო ვალდებულებად.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დიდი ყურადღება დაეთმო აივ-ინფექცია/შიდსის თავიდან აცილებას და მასთან ბრძოლას. ამ მიზნით, მოხდა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება.

ჩრდილოეთ ირლანდიასა და ინგლისს შორის მრავალწლიანი დაპირისპირების შემდეგ, 1985 წელს მარგარეტ ტეტჩერმა და ჰარეტ ფიცჯერალდმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ირლანდიის ინგლისთან შეერთება უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამას ირლანდიელთა უმრავლესობა დაეთანხმება.

1990 წელს მარგარეტ ტეტჩერი, ინგლისის ისტორიაში პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი, ჯონ მეიჯორმა შეცვალა. თანამდებობის დატოვების შემდეგაც იგი აქტიურად მონაწილეობდა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჰილარი კლინტონი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი სახელწიფო მდივანი ქალია. 1990-იან წლებში ჰილარი კლინტონი მონაწილეობს ჯანდაცვის რეფორმაში. 1993 წლიდან ჯანდაცვის რეფორმის ხელმძღვანელია. მან წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვითაც, ამერიკის ყველა მოქალაქის ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები ნაწილობრივ სამედიცინო პრეპარატების მწარმოებელ კომპანიებს უნდა დაეფარათ, ნაწილი კი - სახელმწიფოს. კონგრესმა ეს ინიციატივა არ მოიწონა. სწორედ ამიტომ ჰილარიმ თანამდებობა დატოვა.

2000 წლიდან ჰილარი ამერიკის სენატის წევრია ნიუ იორკის შტატიდან, ხოლო 2009 წელს იგი სენატმა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დაამტკიცა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე კონფლიქტების მოწესრიგების და მშვიდობის მშენებლობის საქმეში, რადგან მიაჩნია: „ცივი ომის დროსაც კი, როცა საბჭოთა კავშირი ათასობით რაკეტას გვიმიზნებდა, ჩვენ დიალოგი არ შეგვიწყვეტია. ამიტომ ჩემი ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა ჩვენი ქვეყნისადმი კეთილგანწყობის დაბრუნება“.

ქართულ სინამდვილეში ქალის უფლებების დაცვისა და ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე დაწინაურების საქმეშიც უამრავმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის გამორჩეულები არიან ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი და კატო მიქელაძე.

ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე (1833-1895) სამწერლო ასპარეზზე 19-ე საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა და ამით სხვა ქალებს აქტიურობის ბიძგი მისცა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული პრესა სავსეა ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძისადმი მიძღვნილი ლექსებითა და მის შემოქმედებაზე გამოხმაურებებით. ყველა მათგანი აღფრთოვანებულია დავით ერისთავისა და ნინო ამილახვრის ასულის გამბედაობით - საჯაროდ გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები საქართველოში მიმდინარე პროცესებზე და ჩაერთოს მოდერნიზაციის მოძრაობაში.

„ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“ აი, სად პოულობდა მწერალი ქალი თავშესაფარს და სად ეწაფებოდა იგი შემეცნების სამყაროს. 1874 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბამ გამოსცა „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადი ცნობანი“, სადაც ბარბარე მკითხველს ქართულ-ევროპული კერძების რეცეპტებს და მომზადების წესებს აცნობდა. 90-იან წლებში ქალის უფლებების დაცვას სპეციალური წერილი მიუძღვნა, რომელსაც ჰქვია „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, სადაც მან გააკრიტიკა მამაკაცების ტრადიციული შეხედულებები ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ და მოუწოდა საზოგადო მოღვაწებს ხელი შეეწყობთ ქალების განვითარებისთვის: „პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახობდენ - შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმედილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ,.... სწავლა და სხვა ენებით განათლება რა

შენი საქმეაო? თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტანობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდე, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო... ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: არა არს გარჩევა არცა მამაკაცთა და არც დედაკაცთათ. მაგრამ რა წრესაც პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამავლობად მიაჩნდა. საბრალო ქალებს იმ დაჩაგრვით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა, და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?... ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გავგასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუკი საქმეს არ უშველიან რასმე.“ (1893, ჟურნალი “კვალი”, N16).

1867 წელს ქუთაისის თეატრში გათამაშდა ბარბარე ჯორჯაძის პიესა: „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, რომელიც მრავალი წელი იდგმებოდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე.

1895 წლის 11 აპრილს, როცა მწერალი ქალი ლენქორანიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ცივგომბორთან შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. „ჩვენი მწერლების უიმისოდაც მცირე გუნდს გამოაკვდა კიდევ ერთი მწერალი ქალი - ვენინა ბარბარე ჯორჯაძისა... ოცდაათ წელზე მეტია, რაც ის მოღვაწეობს. ბარბარე თითქმის პირველი ქალი იყო, რომელმაც აიღო კალამი ხელში და გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მან დაიწყო ჟურნალ „ცისკარში“ ლექსებისა და მოთხრობების წერა და თითქმის სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან... („კვალი“, 1895, №17).

ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938) პირველი ქალია, რომელმაც გოგონებისა და ქალების განათლების საკითხს მიაქცია ყურადღება და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მოთხოვა ხარჯის გაღება ამ საქმისათვის. 1868 წლიდან ეკატერინე უკვე პედაგოგია: გახსნა სამრევლო სკოლები და ცდილობდა დროების კვალდაკვალ თვითგანვითარებისკენ სწრაფვაც არ შეენელებინა. თუმცა, 1870 წელს იგი ალექსანდრე გაბაშვილს მისთხოვდა და მალევე დაწვრილშვილდა. საოჯახო ცხოვრებამ საშუალება არ მისცა სწავლა გაეგრძელებინა და მხოლოდ პატარ-პატარა კორესპონდენციებით შემოიფარგლა, რომელსაც დროდადრო აგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებში. 1882 წლიდან ეკატერინე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრია, 1897-1922 წლებში ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, 1872-1905 წლებში კი ქალთა წრის დაარსების და მისი რევიონული ფილიალების შექმნის ინიციატორი. თავისი შემოქმედებით და ცხოვრებით ცდილობდა დაერწმუნებინა მისი თანამედროვენი თანასწორობის იდეის საჭიროებასა და აუცილებლობაში. ამიტომაც იყო, რომ თანამედროვეთაგან უამრავ ქალს აუხილა თვალი და მისცა თვითგამორკვევისა და განვითარების ბიძგი. ეკატერინე გაბაშვილი 1938 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კატო მიქელაძე (1874-1942) 1878 წლის 18 სექტემბერს დაიბადა სოფელ კულაშში. დედის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, მამა სახლიდან წავიდა და პატარა გოგონა მოხუცი ნათლიის იმედად რჩება. დაწყებითი განათლება მან წმინდა ნინოს სასწავლებელში მიიღო. 1900 წელს კატომ დაამთავრა საბებიო ინსტიტუტი და სამუშაოდ ცხინვალში გაემგზავრა. 1903 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (მარიამ დემურის და ნატო გაბუნის რეკომენდაციით) კატოს მოსკოვში აგზავნის პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად, მაგრამ იქიდან 1906 წელს, სოფიო ამირეჯიბისა და ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით, ევროპაში მიემგზავრება. ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კატო პარიზში დასახლდა, სადაც 1915 წლამდე დარჩა და საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას.

1916 წელს სამშობლოში დაბრუნებული კატო მიქელაძე იწყებს თანამოაზრეთა შემოკრებას და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლას.

1917-18 წლებში მან უკვე ჩამოაყალიბა რეგიონული ორგანიზაცია „ქალთა ლიგა“, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში იგი გამოსცემდა და რედაქტობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა.

“... ჩვენ მოვითხოვთ სამართალს და არა შურისძიებას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირია თითოეული პატიოსანი და სამართლიანი მამაკაცის გაგება და თანაგრძნობა და არა იმის ყიჟინი, ვითომ აქტიურ ქალებს მამაკაცები გვძულდეს და მათგან გათიშვას მოვითხოვდეთ. ჩვენ ვიცით, რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება ჩვენი უფლების მტერთა, რომ მათმა ცილის წამებამ შეგვაკრთოს, რასთვისაც დაჟინებით მოვითხოვთ ქალთა კავშირის სიძლიერესა და სიმტკიცეს ქალთა თვით მოქმედებისა და აქტიურობის აღსადგენათ.” (გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა”, 1918, N32).

სამწუხაროდ, პირველი რესპუბლიკის პერიოდში გაზეთი დაიხურა. ბოლშევიკური ტერორის ეპოქამ კი კატო მიქელაძე და თანასწორობის ერთგული სხვა ქალთა იდეები „ისტორიის ნაგავსაყრელზე“ მოისროლა, როგორც „ბურჟუაზიული გარყვნილების“ მაგალითი.

კატო მიქელაძე განსაკუთრებულ პატივს სცემდა ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობას, მის ამავე ქალთა ემანსიპაციისა და მათი განათლების უფლების მოპოვების საქმეში. ამიტომ ხშირად სტუმრობდა მას და ეთათბირობდა 10-იანი წლების საქართველოში ქალთა მოძრაობის გასაფართოებლად.

30-იან წლებში კატო მიქელაძე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა იგი 1942 წელს გადაიკვალა. პროცესიას სულ რამდენიმე ადამიანი მიუყვებოდა: ირინე და ნიკოლო იუშკოვები, პოეტი ანდრო თევზაძე და მარიამ გარიყული. კატოს საფლავი დაკარგულია.

სწორედ ამ სამი ქალის და მათი თანამოაზრეების დამსახურებაა, რომ 1919 წელს, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ჩატარებულ არჩევნებში ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა. პირველ პარლამენტში (დამფუძნებელი კრება) სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 5 ქალი გაიყვანა, რაც 130 დეპუტატის 4%-ს შეადგენდა. ესენი იყვნენ: ელენორა მახვილაძე, ანა სოლოლაშვილი, მინადორა ტოროშელიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშიძე.

6. რამდენად მხარდაჭერილია საქართველოში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა?

ქალთა პოლიტიკური ლიდერობის და ქალთა პოლიტიკური დაწინაურების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს გაეროს „ქალის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა. სწორედ ამ კონვენციის 4-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს „დროებითი სპეციალური ზომების“ შემოღებას, რომელიც გაზრდის პოლიტიკაში ქალების მონაწილეობას: „მონაწილე სახელმწიფოების მიერ მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები, ამ კონვენციის მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ითვლება. თუმცა, ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს მაშინ, როცა მიღწეული იქნება მიზანი, რომელიც ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობაში და ქალების მიმართ თანასწორ მოპყრობაში გამოიხატება“. ამ განმარტების მიხედვით „ქვოტირება“ არის დროებითი ზომა და როგორც კი ქალების პოლიტიკური მონაწილეობა სასურველ დონეს მიაღწევს, ეს ზომა უნდა გაუქმდეს.

ამიტომ 1999 წლიდან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს კონვენციის ერთ-ერთი

ფუნდამენტური საკითხის “ქვოტირების იდეის” ლობირება. 2001-2003 წლებში 4 ასეთი ინიციატივა შევიდა საქართველოს პარლამენტში. ზოგი მათგანი ინტერფრაქციულ ჯგუფშივე ჩავარდა, ზოგი კი — საპარლამენტო მოსმენებისას.

თანამედროვე საქართველოში ქალის პოლიტიკური მონაწილეობის სურათი ზუსტად იმეორებს საერთაშორისო გამოცდილების ლოგიკას: ქალების წარმომადგენლობა ყველაზე მაღალია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში და ბოლოს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში (იხ. დანართი 2).

დანართი 2

საკანონმდებლო ორგანოში ქალების წარმომადგენლობა წლების მიხედვით

წელი	საკანონმდებლო ორგანო	დეპუტატთა საერთო რაოდენობა	დეპუტატ ქალთა რაოდენობა	დეპუტატ ქალთა რაოდენობა %
1919	დამფუძნებელი კრება	130	4	3%
1990	უზენაესი საბჭო	250	18	(7.2%)
1992	პარლამენტი	222	14	6.3 %
1995	პარლამენტი	250	16	6.4 %
1999	პარლამენტი	235	17	7.2 %
2003	პარლამენტი	217	22	9.7 % %
2008	პარლამენტი	150	8	5.3%
2012	პარლამენტი	150	16	10,6%

სავარჯიშო 1: ანონიმური აზრები

რეფლექსია

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: გენდერი, სამოქალაქო ჩართულობა, დემოკრატია

სასწავლო მიზნები:

- გამოვხატოთ ფილმისგან მიღებული შთაბეჭდილებები, ემოციები
- მოვუსმინოთ სხვების გრძნობებს

დრო: 15 წუთი

რესურსები: ფურცელი, საწერი კალამი თითოეულ მოსწავლისთვის, ყუთი.

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს და თხოვს ანონიმურად დაწერონ ფილმის ნახვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები. დავალების შესასრულებლად აძლევს მათ შეზღუდულ დროს (5 წუთი).
- დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები თავიანთ ფურცლებს საერთო ყუთში აგდებენ;
- შემდეგ თითოეული მოსწავლე ყუთიდან იღებს ერთ ფურცელს და ხმამაღლა კითხულობს მასზე დაწერილ შთაბეჭდილებებს, გრძნობებს და ა.შ.
- მასწავლებელი აფრთხილებს მათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე საკუთარ ნაწერს ამოიღებს ყუთიდან, ფურცელი უკან უნდა ჩააგდოს და სხვა აირჩიოს.

ასახვა /მსჯელობა:

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა თითოეული ფურცლის შინაარსთან დაკავშირებით.

სავარჯიშო 2: განსხვავებები

ასაკი: 14+

შესაბამისი თემა: გენდერი

სასწავლო მიზნები:

- გენდერული სტერეოტიპების გაცნობა
- ემპათიის განვითარება

დრო: 45 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N4 “მანუჩარი”, სამუშაო ფურცელი N5 “მანანა”, დაფა ან ფლიპჩარტი.

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ორ ჯგუფად; ჯგუფებს ერთმანეთთან საუბრის უფლება არ აქვთ.
- ერთ ჯგუფს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N4 „მანუჩარი“, მეორეს სამუშაო ფურცლებს N5 „მანანა“. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა არ იცოდნენ, რომ ისინი განსხვავებულ თემებზე მუშაობენ. ამის თავიდან ასაცილებლად, ორივე სამუშაო ფურცლის სათაურის ადგილზე უნდა ეწეროს - „მანჩო“, რაც ხშირად როგორც ქალის სახელის „მანანა“, ასევე კაცის სახელის „მანუჩარი“ შემოკლებული ფორმაა.
- მოსწავლეები ეცნობიან ისტორიებს და პასუხობენ სამუშაო ფურცელზე მოცემულ კითხვებს.
- სავარჯიშოს ბოლოს თითოეული ჯგუფი კითხულობს თავის პასუხებს.

ასახვა/მსჯელობა:

მსჯელობის დროს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს განსხვავებულ პასუხებს. ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟების სხვადასხვა სქესზე. მოსწავლეებს უსვამს შემდეგი სახის შეკითხვებს: როგორ ფიქრობთ რატომ გაქვთ განსხვავებული პასუხები? თქვენი აზრით, ახდენს თუ არა გენდერი გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე? თუ კი, როგორ? შეგიძლიათ მაგალითები დაასახელოთ?

სავარჯიშო 2: განსხვავებები

სამუშაო ფურცელი N4

მანჩო

მანუჩარი თორმეტი წლის ბიჭია. ის ბავშვობიდან ძალიან წყნარია. მანუჩარს რცხვენია, როდესაც კლასის წინაშე უწევს გამოსვლა. მას გუნდური მუშაობა უფრო მოწონს. მანუჩარს ბევრი მეგობარი ყავს. ბავშვებს უყვართ ის მისი ჭკვიანური და საინტერესო იდეების გამო. ის იოლად იგონებს სხვადასხვა ისტორიებს, მაგრამ სუსტია მათემატიკაში. მოწონს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, განსაკუთრებით კი ცდების ჩატარება. ის სიამოვნებით ეხმარება სხვებს გასაჭირში. სკოლის შემდეგ ხშირად უყურებს ტელევიზორს. მანუჩარი ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით მოთხრობებს ცხოველების შესახებ. მას უყვარს მეგობრებთან ერთად პარკში თამაში. ზოგჯერ თავის უმცროს ძმას უვლის. თუ მანუჩარს თხოვთ, ის რეცხვაშიც კი დაგეხმარებათ. მან ჯერ არ იცის რა უნდა აკეთოს სკოლის დამთავრების შემდეგ, მაგრამ უნდა, რომ ქონდეს ბევრი ფული მეგობრებთან ერთად გართობისთვის, ტანსაცმლისა და მუსიკალური დისკებისთვის.

კითხვები:

1. მანუჩარის დაბადების დღეა. რას აჩუქებდით მას?
2. მანუჩარმა უნდა აირჩიოს ჰობი. როგორ ფიქრობთ, რომელს აირჩევდა?
 - საბუნებისმეტყველო ცდების ჩატარება
 - ტანვარჯიში
 - გუნდში სიმღერა
 - ფეხბურთი
 - ჭადრაკი
 - კომპიუტერი
 - თეატრი
 - ლიტერატურა
 - ცურვა
 - კერამიკა
3. მანუჩარს მანქანის ყიდვა სურს, როდესაც 18 წლის გახდება. მან უკვე დაიწყო ფულის შეგროვება. როგორ შეუძლია მას ფულის გამომუშავება მანქანის საყიდლად?
4. თქვენი აზრით, რას გააკეთებს მანუჩარი 30 წლის ასაკში?

სავარჯიშო 2: განსხვავებები

სამუშაო ფურცელი N5

მანჩო

მანანა თორმეტი წლის გოგოა. ის ბავშვობიდან ძალიან წყნარია. მანანას რცხვენია, როდესაც კლასის წინაშე უწევს გამოსვლა. მას გუნდური მუშაობა უფრო მოწონს. მანანას ბევრი მეგობარი ყავს. ბავშვებს უყვართ ის მისი ჭკვიანური და საინტერესო იდეების გამო. ის იოლად იგონებს სხვადასხვა ისტორიებს, მაგრამ სუსტია მათემატიკაში. მოწონს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, განსაკუთრებით კი ცდების ჩატარება. ის სიამოვნებით ეხმარება სხვებს გასაჭირში. სკოლის შემდეგ ხშირად უყურებს ტელევიზორს. მანანა ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით მოთხრობებს ცხოველების შესახებ. მას უყვარს მეგობრებთან ერთად პარკში თამაში. ზოგჯერ თავის უმცროს ძმას უვლის. თუ მანანას თხოვთ, ის რეცხვაშიც კი დაგეხმარებათ. მან ჯერ არ იცის რა უნდა აკეთოს სკოლის დამთავრების შემდეგ, მაგრამ უნდა, რომ ეონდეს ბევრი ფული მეგობრებთან ერთად გართობისთვის, ტანსაცმლისა და მუსიკალური დისკებისთვის.

კითხვები:

1. მანანას დაბადების დღეა. რას აჩუქებდით მას?
2. მანანამ უნდა აირჩიოს ჰობი. როგორ ფიქრობთ, რომელს აირჩევდა?
 - საბუნებისმეტყველო ცდების ჩატარება
 - ტანვარჯიში
 - გუნდში სიმღერა
 - ფეხბურთი
 - ჭადრაკი
 - კომპიუტერი
 - თეატრი
 - ლიტერატურა
 - ცურვა
 - კერამიკა
3. მანანას მანქანის ყიდვა სურს, როდესაც 18 წლის გახდება. მან უკვე დაიწყო ფულის შეგროვება. როგორ შეუძლია მას ფულის გამომუშავება მანქანის საყიდლად?
4. თქვენი აზრით, რას გააკეთებს მანანა 30 წლის ასაკში?

სავარჯიშო 3: პრეზიდენტი

ასაკი: 14+

შესაბამისი თემები: აქტიური მოქალაქეობა, კონფლიქტი, დემოკრატია

სასწავლო მიზნები:

- გავიაზროთ კონფლიქტის შედეგები
- გავიაზროთ რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში
- დაფიქრდეთ პოსტ-კონფლიქტური ქვეყნების პრობლემებზე
- გავიაზროთ კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული, არაძალადობრივი გზები

დრო: 45 წუთი

რესურსები:

დიდი ზომის ფურცელი, ფერადი ფანქრები, მარკერები, წებო, მაკრატელი, დაფა ან ფლიპჩარტი.

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4-5 კაცთან ჯგუფებად და თხოვს წარმოიდგინონ, რომ ჯგუფიდან ერთ-ერთი ბავშვი პოსტ-კონფლიქტურ ქვეყანაში პრეზიდენტობის კანდიდატია. ჯგუფის სხვა წევრები კი მისი მრჩეველთა საბჭო. ჯგუფის ამოცანაა, მოამზადონ საარჩევნო კამპანია, რომელიც მოიცავს საარჩევნო პროგრამას, პლაკატებს, სლოგანებს და ა.შ. საარჩევნო კამპანია ნათლად უნდა წარმოაჩენდეს პრეზიდენტობის კანდიდატის მიზნებს - რას გააკეთებს ის ქვეყნის აღორძინებისათვის.

შენიშვნა: სავარჯიშოს მიზანია მოსწავლეებმა დაასახელონ პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში არსებული პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ. მაგალითად, ინფრასტრუქტურის განახლება, ეკონომიკის აღდგენა, დემოკრატიის განვითარება, კრიზისებისა და კონფლიქტების შესაძლო გადაჭრის გზების მოფიქრება/დაგეგმვა და ა.შ.

- ჯგუფები წარმოადგენენ თავის საარჩევნო კამპანიებს, პროგრამას და ა.შ.

- მასწავლებელი დაფაზე ან ფლიპჩარტზე წერს იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე ხშირად მეორდებოდა პრეზენტაციებში.

ასახვა/მსჯელობა:

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ კლასში გაიმართება დისკუსია ფლიპჩარტზე/დაფაზე წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური პიროვნება, რომელსაც კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლია? რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ კონფლიქტს თავი ავარიდოთ? ყველაზე ხშირად რა პრობლემების და გამოწვევების წინაშე დგას პოსტ-კონფლიქტური ქვეყნები? რა ღონისძიებები უნდა გატარდეს სიტუაციის დასარეგულირებლად? ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში? როგორ ფიქრობთ რა შეუძლია რიგით მოქალაქეს გააკეთოს ამისთვის? ძნელი იყო თუ არა საარჩევნო პროგრამების მოფიქრება? რა იყო ყველაზე უფრო რთული? რამდენად თანამშრომლობით მრჩეველთა საბჭოსთან? თავიდან რომ აკეთებდეთ იგივე დავალებას რამეს თუ შეცვლიდით თქვენს პროგრამაში? თუ კი, რას? და ა.შ.

სავარჯიშო 4: ლიბერია

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: სამოქალაქო ჩართულობა, დემოკრატია, კონფლიქტი

სასწავლო მიზნები:

- გავანალიზოთ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები
- დავფიქრდეთ პოსტ-კონფლიქტური ქვეყნების პრობლემებზე
- გავიზროთ რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში

დრო: 45 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცელი N6 მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით, ფლიპჩარტი, ჟურნალ-გაზეთები, სკოჩი, წებო, მაკრატელი, ფანქრები

აქტივობის აღწერა:

- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს კლასში, რა იცოდნენ მოსწავლეებმა ლიბერიის შესახებ ფილმს ნახვამდე? იყო თუ არა რამე ახალი მათთვის? თუ კი, რა? დაასახელეთ რა იყო თქვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო?
- მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 4-5 კაციან მცირე ჯგუფებად, ურიგებს სამუშაო ფურცლებს N 6 და აძლევს განსაზღვრულ დროს გაეცნონ წარმოდგენილ მასალას.
- შემდეგ თხოვს მოსწავლეებს ფილმზე და სამუშაო ფურცელში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაფიქრდნენ და ჩამოწერონ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების და შედეგების ნუსხა.
- მას შემდეგ რაც ჯგუფები ჩამოაყალიბებენ კონფლიქტების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, მასწავლებელი თხოვს მათ მოამზადონ პოსტერი, რომელიც ასახავს ლიბერიაში არსებულ მდგომარეობას.
- შეჯამებისთვის თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის შედეგს/პოსტერს, რასაც მოყვება ამ შედეგების განხილვა.

ასახვა/მსჯელობა:

დავალების დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა პოსტერებთან დაკავშირებით. პოსტერები შესაძლებელია გამოიფინოს საკლასო ოთახში.

საპარტიზო 4: ლიბერია**სამუშაო ფურცელი N6****აფრიკის ტრაგედიები და იმედები**

სტივენ კოლუბაჰი დამწყები ჟურნალისტი ლიბერიაში. ახლახანს ის პირველად გაემგზავრა სასწავლო ვიზიტით განაში. სტივენს ცხოვრების ნახევარი (იგი 28 წლისაა) ომში აქვს გატარებული. მისი მშობლები ომის დროს დაიღუპნენ. მეუღლე შეიარაღებულ დაპირისპირებას ემსხვერპლა. ეხლა კი, როგორც იქნა, თოთხმეტი წლის ომის შემდეგ მის ქვეყანაში მშვიდობა დაბრუნდა. ხალხმა ქვეყნის სათავეში აირჩია ქალბატონი. აფრიკის ისტორიაში ის პირველი ქალი პრეზიდენტია. სიღარიბისა და უამრავი პრობლემის მიუხედავად, ქვეყანაში იმედი გაჩნდა, უკეთესი და მშვიდობიანი მომავლის იმედი! სტივენს სიტყვებით “განას უწვევს იტეტის პირობები ვერ შეედრება ლიბერიის უნივერსიტეტში არსებულ პირობებს”, თუმცა მიუხედავად ამისა, სწავლის დამთავრების და ხარისხის აღების შემდეგ ის თავის სამშობლოში – ლიბერიაში დაბრუნებას აპირებს. საზღვარგარეთ მიღებული განათლება დამეხმარება მას იპოვოს კარგი სამსახური, ან შექმნას საკუთარი კომპანია. სტივი მიეკუთვნება იმ ახალგაზრდა ლიბერიელთა ჯგუფს, რომელსაც უნდა დარწმუნდეს, როგორც საკუთარი, ისე მათი ქვეყნის უკეთესი მომავლის პერსპექტივაში.

მომავალი – მობილური ტელეფონი

კონფლიქტებს მრავალრიცხოვანი მიზეზები აქვს. მათ მოსაგვარებლად კომპლექსური მიდგომაა საჭირო. უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის, იფრასტრუქტურის განვითარება, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება და ა.შ. აფრიკას დახმარება ჭირდება ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად. უპირველეს ყოვლისა, აფრიკის მაცხოვრებლები თვითონ უნდა დაეხმარონ ერთმანეთს მაგრამ, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების მონაწილეობის გარეშე ეს შეუძლებელია. ერთ-ერთი იმედი მობილური კავშირის განვითარებაა, რაც ამჟამად აფრიკაში საოცარ აღმასვლას განიცდის. მობილური კავშირი აადვილებს კომუნიკაციას, ხელს უწყობს საბაზისო სერვისების უზრუნველყოფას, ამაღლებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხალხის ჩართულობას, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და ა.შ. მაგალითად, ყველაზე შორეული სოფლის მაცხოვრებლისთვისაც კი, თუ მას მობილური ტელეფონი ქსელში ექნება ჩართული, ხელმისაწვდომი გახდება თუნდაც რადიოში დარეკვა და მისთვის აქტუალურ თემებზე საჯაროდ საკუთარი აზრის გამოხატვა.

წინ დიდი გზაა

სტივი მალე დაასრულებს სწავლას განაში და სამშობლოში დაბრუნდება. განათლებული, ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ლიბერიაში ბრუნდებიან იმ განზრახვით, რომ სამშობლოს მოახმარენ მიღებულ ცოდნას, გამოცდილებას და დაეხმარებიან სიძნელეების გადალახვაში, აი სწორედ ესაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გარანტი და იმედი. ყოფილი მებრძოლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, ეკონომიკის აღდგენა, დევნილთა დაბრუნება, მრავალწლიანი ომის დანაშაულებებთან გამკლავება, კორუფციასთან ბრძოლა, ელექტროენერჯის, კანალიზაციის ქსელის კეთილმოწყობა და სხვა მრავალი მსგავსი საკითხი ახალი პრეზიდენტის ელენ ჯონსონ-სირლიფის პროგრამას წარმოადგენს. “ლიბერიის რკინის ლედი“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, დაკავებულია თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავებით თავის თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად, რომლებიც მან მოწინავე სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნა. ლიბერიას, ისევე როგორც აფრიკის ბევრ სხვა ქვეყანას წინ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი!

მფრინავი ენი

კატერინ ვან კამპენი / ნიდერლანდები / 2010 / 20 წთ.



11 წლის ენი ულამაზესი გოგონაა, რომელსაც შეიძლება თვალი ვერ მოწყვიტო, მაგრამ რაც უფრო დიდხანს უყურებ, მით უფრო ამჩნევ მის „ტიკებს“. გოგონა ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომით არის დაავადებული. ეს დაავადება აიძულებს ენის სხეულს აკეთოს ის, რაც მას არ სურს (მაგალითად, ალოკოს საგნები). ენისთვის ძალიან რთულია გაუმკლავდეს თავის დაავადებას, განსაკუთრებით უჭირს სკოლაში. მას ეშინია, რომ თანატოლები დაცინებენ, ამიტომ მეგობრებთან ურთიერთობას მართო ყოფნას და „ფრენას“ ამჯობინებს. ასე ვერავინ შენიშნავს მის ტიკებს...

საბავშვო ინფორმაცია

ძირითადი თემა: განსხვავებულობის მიღება

დამატებითი თემები: თანადგომის (დახმარების) სურვილი, ადამიანის უფლებები

1. რას ნიშნავს ტერმინი „ტურეტის სინდრომი“ ?

„ტურეტის სინდრომი“ ტვინის თანდაყოლილი ნეიროფსიქიატრიული დაავადებაა. დაავადებას ფრანგი ნევროლოგის ჟილ დე ლა ტურეტის სახელი ეწოდა, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს პირველად აღწერა და დაახასიათა იგი (1857-1904წწ.) დაავადების გამოვლენა ძირითადად ბავშვობის (დაახლოებით 6 - 7 წელი) ასაკში ხდება. პირველი ნიშნები შეუმჩნეველია, თანდათან ისინი უფრო ინტენსიურ სახეს იღებენ. უმთავრესად სიმპტომების გაუარესება პუბერტატის (გარდატეხის) ასაკში ხდება, შემდეგ დაავადება ნელ-ნელა ავლენს დამორჩილების ტენდენციას. პაციენტების დაახლოებით ერთ მესამედში სიმპტომები მთლიანად ქრება, მეორე მესამედში სიმპტომები სუსტი ფორმით ვლინდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში და პაციენტების მხოლოდ დარჩენილ მესამედს აქვს მძიმე ფორმით გამოხატული სიმპტომები ზრდასრულ ასაკშიც კი.

2. უფრო ხშირად ვისთან ვლინდება ტურეტის სინდრომი?

დაახლოებით 50 ადამიანს 100 000-დან უვლინდება ტურეტის სინდრომი. ბავშვებში დაავადების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, დაახლოებით 1%. სინდრომი გვხვდება ყველა კულტურაში. ქალებთან შედარებით, მამაკაცებში ის 3-4-ჯერ უფრო ხშირად ვლინდება. დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის ალბათობა დაახლოებით 14 % შეადგენს.

3. როგორ ვლინდება ტურეტის სინდრომი?

დაავადება ვლინდება კინეტიკური და ვოკალური ტიკებით, რომელსაც თან ახლავს ქცევითი აშლილობები. ტიკების გამოვლენას ადგილი აქვს მთელი დღის განმავლობაში, გაურესება ხდება ნერვიულობის დროს.

ტიკების სახე, ინტენსიურობა და სიძლიერე შესაძლოა დროსთან ერთად იცვლებოდეს. კინეტიკური ტიკები მოიცავს: სახის მანჭვას, ქუთუთოების ხამხამს, ენის დაბმას, მხრების აჩეჩვას, თავის მკვეთრ მოძრაობებს და სხვა კომპლექსურ კინეტიკურ პატერნებს, რომლებსაც კომპლექსურ ტიკებს უწოდებენ. მაგალითად, რთული ტიკების მაგალითია, როდესაც ადამიანს უჩნდება სურვილი ჩაიკუმოს, იხტუნაოს და ა.შ. ვოკალური ტიკები მოიცავს ისეთ ხმებს, როგორიცაა მაგალითად ჩახველება, სრუტუნი, ფრუტუნი, სისინი, ყვირილი და სხვა. მაგალითად, კომპლექსური ვოკალური ტიკებია, როდესაც პაციენტი ყვირის რაღაც სიტყვებს. ცნობილი, მაგრამ არც ისე გავრცელებული სიმპტომია ვულგარული სიტყვების ყვირილი, რომელიც სოციალურად საკმაოდ მიუღებელია. პაციენტების დაახლოებით 20% ავლენს ამ სიმპტომს. ტიკები ტურეტის სინდრომის უმთავრესი გამოვლინებაა. სინდრომს შეიძლება თან ახლდეს ჰიპერაქტივობა, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობები, ასევე შეიძლება შევხვდეთ თვითდაზიანებელი ქცევის შემთხვევებს, დეპრესიას და შფოთვას.

4. რა იწვევს დაავადებას?

დაავადების წარმოშობა უცნობია. ითვლება, რომ ეს არის ტვინის ფუნქციონალური დარღვევა. უკეთ გასაგებად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ტვინიში არსებობს უჯრედების გარკვეული ჯგუფი რომლებიც ჯანმრთელი ადამიანის ტვინთან შედარებით განსხვავებულად ფუნქციონირებენ. რატომ? ამ კითხვას პასუხი არ აქვს... დაავადება თანდაყოლილია, შესაბამისად, გენეტიკურად რთული. დაავადებამე გავლენა შეიძლება მოახდინოს გარეგანმა ფაქტორებმაც, მაგ. დედის მიერ გადატანილი სტრესი, ალკოჰოლის მოხმარება ორსულობის პერიოდში და ა.შ. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, დაავადება შესაძლებელია ინფექციის შედაგად აღმოცენდეს.

5. შესაძლებელია თუ არა ტურეტის სინდრომის მკურნალობა?

ტურეტის სინდრომის განკურნება შეუძლებელია. მნიშვნელოვანია დაავადების სწორი დიაგნოსტიკა. სამწუხაროდ, არსებობს შემთხვევები, როდესაც ექიმები ბავშვობის ასაკში ვერ ცნობენ ამ დაავადებას და შესაბამისად ვერ ახერხებენ დიაგნოზის დასმას. რაც შეეხება დაავადების მკურნალობას, ტურეტის სინდრომის მედიკამენტოზური მკურნალობა არ არსებობს. პაციენტები ხშირად წამლებს მხოლოდ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური პრობლემების შესამცირებლად იღებენ. მედიკამენტების მიღების პერიოდში აუცილებელია დავიცვათ გარკვეული წესები (მაგალითად, მოვერიდოთ ალკოჰოლს). ასევე უმნიშვნელოვანესია გავითვა-ლისწინოთ გვერდითი ეფექტების გამოვლენის ალბათობაც.

6. როგორ მოქმედებს ტურეტის სინდრომი ადამიანის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე?

დაავადება ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის კინეტიკურ შესაძლებლობებზე. ტურეტის სინდრომი მოქმედებს სწავლის უნარზე, უმთავრესად მაშინ, თუ დაავადებას თან ახლავს დამატებით ქცევითი აშლილობა. მაგალითად, ყურადღების დეფიციტის აშლილობა. გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ამ სინდრომის მქონე ადამიანები ნაკლებად ინტელექტუალები, ან გონებრივად ჩამორჩენილები არიან. მაგრამ, ტურეტის სინდრომი გავლენას არ ახდენს ინტელექტზე. პირიქით, ამ სინდრომის მქონე ადამიანების ნაწილი საკმაოდ ინტელექტუალური და კრეატიულია ზოგ სფეროში. არსებობს ვარაუდები, რომ ბევრ ცნობილ ადამიანს ქონდა ტურეტის სინდრომი. მაგალითად, ვ. ა. მოცარტს, ჩ. დიკენსს, ჰ. კ. ანდერსენს, ე. ზოლას.

7. შესაძლებელია თუ არა ტიკების კონტროლი?

ტიკების დამორჩილება გარკვეულწილად შესაძლებელია. ტიკებს წინ უძღვის არასასიამოვნო შეგრძნებები, რომელიც აიძულებს ადამიანს ესა თუ ის ტიკი შეასრულოს. მაგალითად, წვის შეგრძნება თვალბეჭში ქუთუთოების დახამხამებამდე, კისრის დაჭიმულობა, რომელსაც ამსუბუქებს თავის მოძრაობა და ა.შ. ტიკის შესრულების შემდეგ უსიამოვნო შეგრძნებები ქრება და ადამიანი დროებით შეუბას განიცდის.

8. შესაძლებელია თუ არა ტურეტის სინდრომის მქონე ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში ინტეგრაცია?

ტურეტის სინდრომის მქონე ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ იცხოვრონ სრულყოფილი ცხოვრებით ყოველგვარი მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე. პრობლემა საზოგადოების მხრიდან მათი იგნორირებაა, რომელიც მათ უცნაურ, არაჩვეულებრივ ადამიანებად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ტურეტის სინდრომი გავლენას არ ახდენს ინტელექტზე, ამ დაავადების მქონე ბავშვები სწავლობენ სპეციალიზირებულ სკოლებში. ისინი ასევე ხშირად ხდებიან თანატოლების მხრიდან დაცინვის და შეურაცხყოფის ობიექტები. მოზარდებს შესაძლოა პრობლემები გაუჩნდეთ პარტნიორის პოვნასთან დაკავშირებით. ამ დაავადების ყველაზე უარყოფითი შედეგი სოციალური იზოლაციაა.

9. რა გავლენას ახდენს ტურეტის სინდრომი ოჯახის ცხოვრებაზე?

ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვების აღზრდა ხშირად საკმაოდ რთულია თანმდევი დამატებითი ქცევითი აშლილობის გამო. აუცილებელია ბავშვს შევუქმნათ თბილი, კეთილგანწყობილი ოჯახური გარემო და გამოვიჩინოთ მის მიმართ მოთმინება; არასწორია გავუბრძოდეთ მათ ტიკების ან ქცევითი აშლილობის გამო. შესაძლოა ხშირად გვეჩვენება, რომ ისინი „ურჩინი“ ან „ცელქები“ არიან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სხვანაირად მოქცევა. მასწავლებლის და მშობლის ყველაზე ხშირი შეცდომა ისაა, რომ ისინი დაავადების სიმპტომებს არასწორი აღზრდის ან ცუდი ქცევის შედეგად თვლიან და ცდილობენ, ბავშვები მსგავს ქცევებს გადააჩვიონ, რაც არასწორია. ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვი საკუთარი სიძნელეებისთვის არ უნდა დაისჯოს. დასჯა მხოლოდ გაართულებს დაავადებას. ამასთან, აუცილებელია ბავშვსაც ავუხსნათ, ასაკის გათვალისწინებით, მისი პრობლემების საფუძველი და გამომწვევი მიზეზები.

10. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი სკოლაში ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვს?

ტურეტის სინდრომის მქონე მოსწავლის ყველა მასწავლებელი და თანატოლი ინფორმირებული უნდა იყოს დაავადების შესახებ. ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ეს აუცილებელია რათა აღმოფხვრათ ყოველგვარი არასასურველი სტრესი სკოლაში. ასეთ მოსწავლეებს უნდა ქონდეთ გაკვეთილების და ტესტირების ზუსტი ცხრილი, გაწერილი საშინაო დავალებების ჩამონათვალი. მასწავლებლებმა უნდა განამტკიცონ მათი რუტინული ჩვევები და დაეხმარონ თავი უსაფრთხოდ აგრძნობინონ სკოლაში ყოფნის განმავლობაში. ხშირად ასეთ ბავშვებს ახასიათებთ თვლის, წერა-კითხვის სიძნელეები. შესაბამისად, სასურველია მათ გამოცდები ჩაუტარდეთ ზეპირი ფორმით, რადგან წერითი ტესტები მათთვის არ არის შესაფერისი, მით უმეტეს, თუ დავალების შესრულების დრო შეზღუდულია. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ ბავშვებს ხშირად ახასიათებთ ყურადღების დეფიციტის სინდრომი, ჰიპერაქტივობა და ზედმეტი იმპულსურობა. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს კლასში, სადაც ცოტა რაოდენობის მოსწავლეა. ტურეტის სინდრომის მქონე მოსწავლე საჭიროებს თავისუფალ რეჟიმს და ხშირ შესვენებებს, მას უნდა ქონდეს დასვენების საშუალება უშუალოდ გაკვეთილების მსვლელობის განმავლობაშიც. ტურეტის სინდრომის მქონე ბავშვი ხშირად ხდება დაცინვის და შეურაცხყოფის სამიზნე. აუცილებელია, ეს დაუყონებლივ აღვკვეთოთ. მასწავლებლის მიზანია, გაუღვივოს ბავშვს ადამიანების მიმართ ნდობის გრძობა, პოზიტიური გავლენა მოახდინოს მის თვითშეფასებაზე. წაახალისოს და დაეხმაროს მას სკოლის სიძნელეების დაძლევაში.

საპარაჯიშო 1: ოქროს თევზი

რეფლექსია

ასაკი: 11+

შესაბამისი თემები: შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლერანტობა

სასწავლო მიზნები:

- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 15 წუთი

რესურსები: დაფა ან ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

- ფილმის ჩვენებამდე მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს ისტორიას ოქროს თევზის შესახებ, რომელსაც სამი სურვილის ასრულება შეეძლო. თხოვს წარმოიდგინონ, ვითომ ოქროს თევზი მათაც ყავთ და დაასახელონ სამი სურვილი. სურვილები იწერება დაფაზე ან ფლიპჩარტზე.
- ფილმის ჩვენება;
- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს: რას ფიქრობთ რის დანაკლისს განიცდის ენი? რაა მისთვის ყველაზე რთული? შემდეგ კი თხოვს მათ ენის სამი სურვილის ფორმულირება მოახდინონ. დასახელებულ სურვილებს წერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის დასრულებისას მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ერთმანეთს შეადარონ საკუთარი და ენის სურვილები. ეკითხება მათ: რა განსხვავება ან მსგავსებაა მათსა და ენის სურვილებს შორის? რა არის ამ განსხვავების ან მსგავსების მიზეზები? ცდილობს დისკუსიას მიცეს მიმართულება და მოსწავლეებს უბიძგოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათი და ენის სურვილები საკმაოდ მსგავსია.

შენიშვნა: ხშირად მოსწავლეები ასახელებენ, რომ ენის სურს, იყოს „ნორმალური“ ან „ჩვეულებრივი“. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი ახსენებს მათ ფილმის დასასრულს, როდესაც გოგონა ამბობს: „რომ შემეძლოს ტურეტის სინდრომისაგან გათავისუფლება ამას არ გავაკეთებდი, რადგან მაშინ მე - მე აღარ ვიქნებოდი. ეს ჩემი ნაწილია“.

სავარჯიშო 2: ჩემი სხეული

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები

სასწავლო მიზნები:

- გავაანალიზოთ კავშირი საკუთარ სხეულთან
- გავიზნოთ, რომ სხეული გავლენას ახდენს ადამიანის პიროვნების ფორმირებაზე

დრო: 25 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცლები N7, საწერი კალამი თითოეული მოსწავლისთვის

აქტივობის აღწერა:

- აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას. სვამს შემდეგ კითხვებს: რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს საკუთარ სხეულთან? კმაყოფილი არიან თუ არა საკუთარი სხეულით? თუ ზრუნავენ საკუთარ სხეულზე? თუ კი, როგორ? და ა.შ.
- ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფიზიკური სხეული და ფსიქოლოგიური მახასიათებლები გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე. ფიზიკური მდგომარეობა მოქმედებს სულიერ ჯან-მრთელობაზე, ემოციებზე და აზრებზე.
- შემდეგ მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცელს N7; უხსნის, რომ მათი ამოცანაა პასუხი გაცენ მოცემულ კითხვებს, ამასთან, ყურადღება მიაქციონ არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებსაც.
- დავალების დასრულებისას მოსწავლეები წყვილებში ადარებენ პასუხებს.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა მოსწავლეების პასუხებთან დაკავშირებით.

სამარჯიშო 2: ჩემი სხეული

სამუშაო ფურცელი N7

ჩემი სხეული არის:

მე ყველაზე მეტად მომწონს ჩემი:

ჩემს სხეულს რაც შეეხება ყველაზე მეტად შემიძლია დავეცადნო:

ჩემს მეგობრებს მოწონთ ჩემი

ჩემს ხელებს მოწონთ:

ჩემს ფეხებს მოწონთ:

ჩემს თვალებს მოწონთ, როცა უყურებენ:

ჩემს სხეულს რომ შეეძლოს უკმაყოფილების გამოთქმა, დაჩივლებდა რომ:

მე ვცდილობ შევინარჩუნო ჩემი სხეულს ჯანმრთელობა:

ჩემს სხეულს ზიანს ვაყენებ იმით რომ...

ჩემი ყველაზე მძიმე დაავადება იყო...

ჩემი ყველაზე მძიმე დაზიანება იყო...

სავარჯიშო 3: პირობების გარეშე მიღება

ასაკი: 14+

შესაბამისი თემები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლერანტობა

სასწავლო მიზნები:

- ვისწავლოთ ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან
- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 45 წუთი (ფილმის ჩვენების ჩათვლით)

რესურსები:

სამუშაო ფურცლები N8 „სიტყვები“ და N9 „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის წესები“ თითოეული მოსწავლისთვის, ფურცლები, კალმები, ყუთი.

აქტივობის აღწერა:

- აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს ოდესმე თუ უფიქრიათ, რა გავლენას ახდენს მათზე უნარშეზღუდულ ადამიანებთან შეხვედრა? რა უფიქრიათ ასეთი შეხვედრის დროს? რითი მიუპყრიათ მათი ყურადღება ასეთ ადამიანებს? თუ უგრძვნიათ სინანული/წუხილი? გამოუჩენიათ თუ არა ცნობისმოყვარეობა მათ მიმართ? უფიქრიათ თუ არა საკუთარ ჯანმრთელობაზე?
- მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მაგალითად, ადამიანების უმრავლესობა თავს აქნევს და გაოცებული ვერც კი ხვდება როგორ ისაუბროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთან, მაგრამ შესაძლოა ეს არც ისეთი რთულია, როგორც ჩანს. ზოგჯერ საკმარისია სწორად შევარჩიოთ სიტყვები, უფრო მგრძობიარე და მიმღებლები ვიყოთ მათ მიმართ.
- მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N8 „სიტყვები“. თხოვს გადახაზონ ის სიტყვები, რომლებიც მათი აზრით, არ შეიძლება გამოიყენონ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ურთიერთობისას და დატოვონ მხოლოდ ის ტერმინები, რომლებსაც მისაღებად და სათანადოდ თვლიან.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეარჩივეს ტერმინებს მასწავლებელი ეკითხება მათ: რომელი სიტყვები დატოვეს ან გადახაზეს? რატომ აირჩიეს ეს სიტყვები? თხოვს, დაფიქრდნენ და დაასახელონ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ურთიერთობის რამდენიმე წესი.
- სავარჯიშოს ბოლოს მასწავლებელი ურიგებს სამუშაო ფურცლებს N9 „შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ურთიერთობის წესები“. მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ და შეადარონ მათ მიერ დასახელებული და სამუშაო ფურცელზე წარმოდგენილი წესები.

ასახვა/მსჯელობა:

მსჯელობას ადგილი აქვს სავარჯიშოს შესრულების განმავლობაში.

საპარტიზო 3: პირობების გარეშე მიღება

სამუშაო ფურცელი N 8

სიტყვები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები	ეტლს მიჯაჭვული	ახერხებს რეგულარული (ყოველდღიური) საქმიანობის შესრულებას
შეფერხებული/ჩამორჩენილი	ადაპტაციის უნარს მოკლებული	უცნაური
ყრუ და ბრმა	ეტლით მოსარგებლე ადამიანი	ქმედითუნარო
ინვალიდი	ყავარჯნებით მოსარგებლე ადამიანი	აქვს განსაკუთრებული მოთხოვნილებები
უბედური	ნორმალური ადამიანები	განსხვავებული ადამიანები
თანაგრძნობის ღირსი	განუკურნებელი სენით დაავადებული	ადამიანების უმეტესობაზე უკეთ შეუძლია რაღაცეების შესრულება

სავარჯიშო 3: პირობების გარეშე მიღება

სამუშაო ფურცელი N9

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის წესები:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ არ იხმაროთ ისეთი ზოგადი სახის განსაზღვრებები, როგორცაა „უნარო“, „შეფერხებული“ ან „სმენა დაქვეითებული“. ხაზი გაუსვით თავად ადამიანებს და არა იმ განსაზღვრებებს, რომლის მიხედვითაც, ისინი სხვადასხვა ჯგუფებად იყოფიან და ამტკიცებენ ძველ ცრურწმენებსა და დამოკიდებულებებს.

ძირითადი წესები:

მიმართეთ ადამიანებს მათთვის სასიამოვნო სახელებით;

ხაზი გაუსვით უნარებს და არა შეზღუდვებს. მაგალითად, „ის სარგებლობს ინვალიდის ეტლით ან დადის ყავარჯნების დახმარებით“ უკეთესია, ვიდრე „ის არის ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული“ ან „ის ინვალიდია“.

ნუ წარმოაჩინებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების წარმატებებს ისე, თითქოს ეს აღემატება სხვა ადამიანების შესაძლებლობებს. ნუ წარმოადგენთ შშმპ-ებს გმირებად. ეს ქმნის არასწორ მოლოდინს იმის შესახებ, რომ ყველა შშმპ-ს შეუძლია მიაღწიოს ასეთ დონეს.

თუ საუბრობთ ადამიანებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები, უმჯობესია თქვათ „ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობები“, ვიდრე „ჯანმრთელი“ ან „ნორმალური“ ადამიანები.

უნარშეზღუდულობა არ არის ინვალიდობის სინონიმი. ის წარმოადგენს სიძნელეებს, რომლებიც შექმნილია საზოგადოების, გარემოს ან ცალკეული ინდივიდების მიერ. ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს მისი ფიზიკური ნაკლი ისეთ შენობაში, სადაც არის პანდუსები, თუმცა კიბეები დაბრკოლებაა.

სავარჯიშო 4: ანგარიში

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლერანტობა**სასწავლო მიზნები:**

- ვისწავლოთ ანგარიშის წერა / პროექტის მომზადება
- გავაანალიზოთ ის მიზეზები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებები
- გავაცნობიეროთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემები

დრო: დამოკიდებულია მასწავლებელზე**რესურსები:**

სამუშაო ფურცლები N10, ფურცლები, კალმები, თუ შესაძლებელია ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა ან დიქტაფონი.

აქტივობის აღწერა:

- სავარჯიშოს დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს უნარშეზღუდულობის თემას. რა ნიშნავს უნარშეზღუდულობა? რა სახის უნარშეზღუდულობა იცინა? ქონიათ თუ არა ოდესმე ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან? და ა.შ.
- შემდეგ მოსწავლეებს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად და უხსნის, რომ მათი დავალებაა მონახონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი და მოამზადონ მის შესახებ პატარა ანგარიში. თუ მოსწავლეები არ იცნობენ ასეთ ადამიანს, სასურველია, მასწავლებელმა უზრუნველყოფს ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საკონტაქტო ინფორმაციით. ანგარიშის მოსამზადებლად საუკეთესო საშუალებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან, მისი ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ინტერვიუ. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ინფორმაცია მოიძიონ ინტერნეტიდან, წიგნებიდან ან გაზეთებიდან.
- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს N10, სადაც წარმოდგენილია რეკომენდაციები ანგარიშის მოსამზადებლად.
- აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. ანგარიშების პრეზენტაცია შესაძლებელია მოხდეს უფრო ფართე აუდიტორიასთან - გამოქვეყნდეს სკოლის გაზეთში, სკოლის საინფორმაციო დაფაზე ან მათი პრეზენტაცია მოხდეს სხვა კლასებთან.

ასახვა/მსჯელობა:

ანგარიშების პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: განსხვავდება თუ არა მათი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ცხოვრება? რამ მიიპყრო მათი ყურადღება ინტერვიუს მომზადების დროს? იყო თუ არა მათთვის რამე ახალი? თუ კი, რა? როგორ გრძნობდნენ თავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების გარემოცვაში? რა გამოცდილება მიიღეს პროექტზე მუშაობისას? და ა.შ.

სავარჯიშო 4: ანგარიში

სამუშაო ფურცელი N10

როგორ დავწერთ ანგარიში?

განსაზღვრეთ ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქცია:

- რეპორტიორი
- ფოტოგრაფი
- ოპერატორი
- მოადგილე
- რედაქტორი
- ასისტენტი
- პრეზენტატორი

შეარჩიეთ ანგარიშის პერსონაჟი (ვის შესახებ დაწერთ):

- სახელი
- მისამართი
- საკონტაქტო ინფორმაცია

გადაწყვიტეთ როგორ შეაგროვებთ მასალას:

- პერსონალური ვიზიტები
- კორესპონდენცია
- ელექტრონული კომუნიკაცია

შეადგინეთ სამუშაო გეგმა:

- მოამზადეთ ინტერვიუს თემები, კითხვები;
- გადაწყვიტეთ ვის მიმართავთ - შშმპ-ის მშობლებს, მეგობრებს, კოლეგებს;
- დაუკავშირდით შერჩეულ პიროვნებას და შეუთანხმდით ინტერვიუს პირობებზე (თუ სურათების ან ვიდეოს გადაღება გსურთ, აუცილებელია ამის თაობაზე წინასწარი შეთანხმება).
- შეუთანხმდით შერჩეულ პიროვნებას შეხვედრაზე ან გაუგზავნეთ კითხვების ჩამონათვალი. უმჯობესია პირისპირ შეხვედრა (თუ ეს შესაძლებელია). დაგეგმეთ შეხვედრის თარიღი ან პასუხების მომზადების საბოლოო ვადა.
- შეხვდით შერჩეულ პიროვნებას და შეაგროვეთ ინფორმაცია;
- დაამუშავეთ მოპოვებული ინფორმაცია - ტექსტის კორექტირება, სურათების ან ვიდეოს დამუშავება;
- მოამზადეთ საბოლოო პრეზენტაცია.

მარტინი მორჩენება



ასლავ დანბოლტი / ნორვეგია / 2009/ 28 წთ.

მარტინ ჰასლი (28 წლის) 9 წლის წინ მომხდარი ავტოავარიის გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანი გახდა. თავის ტვინის უმძიმესი დაზიანების შედეგად მან დაკარგა მოძრაობის და მეტყველების უნარი. თუმცა, კონტაქტს გარემოსთან კომპიუტერის საშუალებით ამყარებს, რომელსაც გადაემყვამის მას ხელის ცერზე აქვს დამაგრებული. ის სამედიცინო პანსიონში ცხოვრობს და მისი სიცოცხლე მთლიანად სხვებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, მარტინი ყოველთვის ვერ იღებს სათანადო მზრუნველობას და თანადგომას. ის დროის უმეტეს ნაწილს მშობლების და მზრუნველის მოლოდინში ატარებს.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვა

დამატებითი თემები: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თანადგომის (დახმარების) სურვილი

1. რას ნიშნავს უნარშეზღუდულობა? უნარშეზღუდულობის რა სახეები არსებობს?

უნარშეზღუდულობა არის პიროვნების ქმედითუნარიანობის არსებითი შეზღუდვა, ან ქმედების იმ სახით განხორციელება, რომელიც ნორმად არ არის მიჩნეული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას, ან ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას.

შეზღუდული შესაძლებლობების ზუსტი ტიპოლოგია არ არსებობს. ბევრ ადამიანს მრავლობითი უნარ-შეზღუდულობა აქვს. შეზღუდვების სახეებს შორის ყველაზე ხშირად გხვდება ფიზიკური და გონებრივი შეზღუდულობა, ან სმენის და მხედველობის დაქვეითება. სხვა გავრცელებული შეზღუდულობის სახეები მოიცავს მეტყველების დარღვევებს ან აუტიზმს (მიჩნეული იყო, რომ ეს უკანანკნელი დაავადებას წარმოადგენდა, თუმცა დღესდღეობით გამომდინარე იქიდან, რომ იგი განუკურნებელია მისი კლასიფიცირება მოხდა როგორც შეზღუდულობა).

- ფიზიკური დარღვევები ზღუდავს ადამიანის მოძრაობის უნარს. იგი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან ტრავმის შედეგად შეძენილი. ფიზიკური უნარშეზღუდულობა მრავალი სახის და ხარისხისაა. განასხვავებენ ცენტრალურ და პერიფერიულ დამბლას, დეფორმაციებს, თანდაყოლილ დეფექტებს და ანომალიებს.

- გონებრივი - ჩამორჩენა გონებრივ განვითარებაში. გონებრივი ჩამორჩენილობა ხასიათდება ინტელექტუალური უნარების დაქვეითებით, ადაპტაციური ქცევის დეფიციტით. ის შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან ადრეულ ასაკში შექმნილი.
- სენსორული (მხედველობის, სმენის და ა.შ.) დარღვევები - მხედველობის დაქვეითება აერთიანებს მხედველობის დარღვევების და დაავადებების ფართო სპექტრს. მხედველობის დარღვევებს შორის განასხვავებენ მხედველობის სიმახვილის დარღვევებს (ახლომხედველობა, შორსმხედველობა), მხედველობის ველის დეფექტებს (ნაწილობრივი მხედველობა), სიბრმავეს ფერებისადმი (ადამიანი ნაწილობრივ ან სავსებით ვერ არჩევს ფერებს ერთმანეთისგან).
- სმენის დაქვეითებას სხვადასხვა ხარისხი აქვს. განასხვავებენ დარღვევის 2 ძირითად ხარისხს: „სიყრუე“ - სმენის სრული დარღვევა (ადამიანი ვერ არჩევს და იგებს ბგერებს) და „სმენის ნაწილობრივი დაქვეითება“ (ადამიანი ნაწილობრივ არჩევს ბგერებს).

შეზღუდული შესაძლებლობები სხვადასხვა სახის და სიმძიმისაა. ისინი ან თანდაყოლილია და ადრეულ ასაკში, დაბადებისთანავე ვლინდება, ან შექმნილია და ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს. რაც უფრო ადრეულ ასაკში ვლინდება ან ვითარდება შეზღუდვა, მით უფრო მძიმეა მისი შედეგები. მაგალითად, ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებულ სიყრუეს უფრო მძიმე ზეგავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე სიყრუეს, რომელიც შუა ხნის ასაკში განვითარდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმპ) მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 15% შეადგენენ. ასეთ ადამიანებს ხშირად, განსაკუთრებით კი წლების წინ, ინვალიდებს უწოდებდნენ. ამ ტერმინის ხმარების წინააღმდეგ თვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა გაილაშქრეს, რადგან ტერმინი “ინვალიდი”, რაც ქართულად უვარგისს, ღირებულების არმქონეს ნიშნავს, დამამცირებლად მიაჩნიათ.

ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების რიცხვი მთელ მსოფლიოში მატულობს. მატება გამოწვეულია სიცოცხლის ხანგრძლიობის გაზრდით, მედიცინის მიღწევებით, იმ ადამიანების რიცხვის გაზრდით, ვინც ინვალიდობის სტიგმის ნაწილობრივ მოხსნის გამო ღიად აღიარებს ინვალიდობას.

საქართველოში ინვალიდობის პენსიას 138,614 ადამიანი იღებს, თუმცა რეალურად შშმ პირთა რიცხვი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობილი გათვლების მიხედვით, სამჯერ უფრო დიდი უნდა იყოს. პენსიის მიღებისათვის განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობების ორი კატეგორია: მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული სიმძიმის. მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირთა პენსია 100-150 ლარის ფარგლებში განისაზღვრება.

2. საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ

ისტორიულად საზოგადოების რეაქციამ ინვალიდობაზე ძლიერი ცვლილებები განიცადა. პრიმიტიული საზოგადოება არ გამოირჩეოდა ტოლერანტობით ფიზიკურად სუსტი პირების მიმართ. ინდივიდის კეთილდღეობა ნაკლებად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული და ძირითად მიზანს, გადარჩენის საჭიროებიდან გამომდინარე ჯგუფის კეთილდღეობა წარმოადგენდა. ინვალიდები ეკონომიკურ, სამხედრო და სოციალურ ტვირთს წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის. არატოლერანტული დამოკიდებულება ცრურწმენებით იყო განმტკიცებული. ფსიქიკური აშლილობა და ფიზიკური ინვალიდობა აღქმული იყო, როგორც ბოროტი ძალის, ან ბოროტი სულის მიერ ადამიანის დასასჯელად მოვლენილი შედეგი. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ამ უბედურების გავრცელება ადამიანები ან გაუბოდიხდნენ ინვალიდებთან კონტაქტს, ან კლავდნენ მათ.

შემდგომ ისტორიულ პერიოდში დამოკიდებულება ოდნავ შერბილდა. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი მიღებული იყვნენ და მათ კარგადაც ექცეოდნენ. თუმცა ძირითადად, დამოკიდებულება ინვალიდების მიმართ მაინც უარყოფითი იყო. ბევრ ქვეყანაში ახალშობილ ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებს ტოვებდნენ ტყეში (შორეული აღმოსავლეთი), ახრჩობდნენ მდინარეში (ინდოეთი), ან კლავდნენ (რომი). მაგალითად, ძველ რომში ბაბრებში იყიდებოდა კალათები, რომლებშიც ათავსებდნენ ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილებს და ამ კალათით მდინარეს ატანდნენ. ისინი, ვინც სიკვდილს გადაურჩებოდნენ თავს მათხოვრობით

ირჩენდნენ ან მონები ხდებოდნენ. დაახლოებით VIII საუკუნიდან მოყოლებული ევგვიტელებმა დაიწყეს სპეციალური თავშესაფარების შექმნა ფსიქურად დაავადებულებისთვის. ასეთი იყო არაბების მიერ შექმნილი თავშესაფრები ბაღდადში, ქაიროსა და ფეზში (მაროკო). არაბების მიერ ევროპის კონტინენტის დაპყრობის შედეგად ეს ტრადიცია ჩამოყალიბდა საფრანგეთსა და ესპანეთში. ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებდა არაბების რწმენა ფსიქიური აშლილობის ღვთიური და არა დემონური წარმომავლობის შესახებ.

XIX საუკუნეში ინვალიდებს გართობისთვის იყენებდნენ. ამ დროს ცირკებში გამოდიოდნენ ლილიპუტები და სხვა ფიზიკური ნაკლის მქონე პირები. ინვალიდებისადმი საზოგადოების ტოლერანტობის გაზრდა გამოიხატა იმაში, რომ მათთვის იშვიათად გამოქონდათ სიკვდილის განაჩენი. გავრცელებულ პოლიტიკად იქცა ინვალიდების იზოლაცია, მათი სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსება.

თუმცა, XX საუკუნის პირველი ნახევარი აღინიშნა გარკვეულწილად პრიმიტიული საზოგადოების იდეოლოგიისადმი დაბრუნებით. ინგლისელი ფილოსოფოსის ჰერბერტ სპენსერის სოციალური დარვინიზმის თეორიაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებისათვის სუსტი და მორგებული ადამიანებისთვის საზოგადოებრივი დახმარების გაწევას ჯობდა მათი სიკვდილი. “სოციალური წმენდის” იდეამ ევგენიკის მოძრაობაში ნახა ასახვა. „ევგენიკა“ წარმოშობით ბერძნული სიტყვაა და “კარგ დაბადებას” ნიშნავს. ევგენიკის მხარდაჭერამ მრავალი გამოჩენილი მეცნიერისა თუ მწერლის მხრიდან, შედეგად მოიტანა ის, რომ 20- 30-იან წლებში მრავალი ერის გაჯანსაღების საბაბით, მიღებულ იქნა კანონი ფსიქიკურ ავადმყოფთა იძულებითი სტერილიზაციის თაობაზე. ევგენიკის პრინციპები გამოყენებულ იყო ნაცისტური მთავრობის მიერ. გერმანიაში მოქმედებდა ეუთანაზის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა გონებრივი ჩამორჩენის, ან სხვა თანდაყოლილი დეფექტის მქონე ბავშვების ლიკვიდაცია.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, პირიქით, ინვალიდობისადმი ყურადღების და ქველმოქმედების გააქტიურების პროცესი დაიწყო. 70-ანი წლებიდან ინვალიდობასთან მიმართებაში წინ წამოიწია ნორმალიზაციის დამოკიდებულებამ, რომელიც ინვალიდობას განიხილავს, როგორც უფრო სოციალურ, ვიდრე სამედიცინო პრობლემას. შშმ პირები განიხილებიან, როგორც გარკვეული ნიშნით განსხვავებული ადამიანები, რომლებსაც როგორც ნებისმიერ სხვას შესწევთ ცხოვრებით ტკბობის, დარდის, სიხარულის, თუ სასოწარკვეთის უნარი. ნორმალიზაციის მიდგომის შედეგს წარმოადგენს დეინსტიტუციონალიზაციის და ინკლუზიის პოლიტიკის პროპაგანდირება და განხორციელება.

ამგვარად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი წარსულში გამეფებული დამოკიდებულება დასჯიდან, უგულველყოფიდან და პატერნალისტური ზრუნვიდან იცვლება უფრო სამართლიანი, თანასწორი მიდგომით. თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სეგრეგაცია და იზოლაცია ჯერ კიდევ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია

2006 წლის 13 დეკემბერს გაეროს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ მიღებული კონვენცია, რომლის ხელმომწერი საქართველოც არის, მოითხოვს შშმ პირთა ინტეგრაციის უზრუნველყოფას. ინტეგრაციას კი უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულება შშმ პირთა მიმართ, მათი განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა.

დამოკიდებულება

ჩვენი საზოგადოება შშმ პირებს ხშირად სიბრალოლით უყურებს, რაც ხელს უწყობს მათ, როგორც არათანასწორ, დაჩაგრულ ადამიანებად აღქმას. თავის არიდება, სეგრეგაცია გადაჭარბებული დაცვა ან სიბრალოლი ასეთი ადამიანების მიმართ ყველაზე გავრცელებულ რეაქციებს წარმოადგენს. ამგვარი დამოკიდებულება აწუხებთ, როგორც შშმ პირებს, ისე მათ მომვლელებს. მათ სურთ, რომ საზოგადოებამ ისინი თანასწორ ადამიანებად აღიქვას, ყოველგვარი სიბრალოლის გარეშე. სამწუხაროდ, გმებზე, შენობებში ეტლით გადაადგილების სირთულის და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სტიგმის გამო ბევრი

თავს არიდებს ქუჩაში გამოსვლას და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ადამიანების სტიგმატიზაციას. ხშირად, ადამიანები ცდილობენ დისტანცირებას შშმ პირებისაგან. კვლევების თანახმად, ურთიერთობაში დისტანცის დაჭერის თვალსაზრისით, ყველაზე მცირე დისტანცია ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირების, ხოლო ყველაზე დიდი, ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ აღინიშნება. კონტაქტი ამცირებს სტიგმას. გონებრივი და ფიზიკური შეზღუდულობის მქონე პირები, სხვა ადამიანების მსგავსად, ნორმალური და დამოუკიდებელი ინდივიდები არიან, თავისი პოზიტიური და ნეგატიური პიროვნული თვისებებით. მათ შორის შეიძლება შევხვდეთ გამორჩეულად ინტელექტუალურ, ისევე როგორც, ნაკლებად ნიჭიერ, კონფლიქტურ ან მოსიყვარულე ადამიანებს.

კარგი იქნება თუ შშმ პირებთან ურთიერთობისას გავითვალისწინებთ მათთან კომუნიკაციის სპეციფიკას და შემდეგ პრინციპებს:

- თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის რამის თქმა გსურთ, უთხარით პირადად მას და არა მის მომვლელს;
- სანამ გადაწყვეტთ დახმარების გაწევას, დაეკითხეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ჭირდება თუ არა მას თქვენი დახმარება;
- ნუ აჩქარდებით კომუნიკაციისას. ზოგიერთი სახის შეზღუდულობის მქონე პირს ცოტა მეტი დრო ჭირდება ნათქვამის გასააზრებლად და სიტუაციაში გასარკვევად;
- შეეცადეთ არ გამოიყენოთ თანაგრძნობის ან სიბრაღის გამომხატველი გამონათქვამები;
- არ მიიღოთ გადაწყვეტილებები მათ ნაცვლად - უმრავლეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ რა სურთ, ან არ სურთ;
- მოუსმინეთ მათ, იყავით ბუნებრივი, ღია და კეთილგანწყობილი მათ მიმართ.

განათლება

2013 წელს 3,090 შშმ ბავშვი არის რეგისტრირებული ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებში. საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, რომელშიც არის დანერგილი ინკლუზიური განათლება, ასევე სპეცსკოლაში. ინკლუზიური განათლება გულისხმობს შშმ ბავშვების სკოლაში არა შშმ ბავშვებთან ერთად სწავლას და მისი ძირითადი მიზანია, სოციალური ინტეგრაცია, თანატოლებთან ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბება და ურთიერთობების ფორმირება. ცხადია, შშმ ბავშვთა უმრავლესობა ვერ ახერხებს კლასის შესაბამისი სასწავლო პროგრამის დაძლევას, მაგრამ ეს არც წარმოადგენს ინკლუზიური განათლების ძირითად ამოცანას. მთავარია, ბავშვებმა იურთიერთონ თანატოლებთან და შეიძინონ სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარები. ინკლუზიური განათლება გულისხმობს სკოლაში სპეციალურად შშმ ბავშვებისთვის რესურს ოთახის არსებობას, სადაც ისინი შეძლებენ დასვენებას და დამხმარე მასწავლებელთან ერთად მათ შესაძლებლობებზე მორგებულ სასწავლო პროგრამით ინდივიდუალურ მეცადინეობას. ინკლუზიური განათლება თანაბრად მნიშვნელოვანია შშმ ბავშვებისა და მათი არა შშმ თანატოლებისთვის, რადგან ხელს უწყობს არა შშმ პირებს გაიგონ გარკვეული ნიშნით განსხვავებული სხვების მდგომარეობა, მათი მოთხოვნილებები და შესაძლებლობები. ეს კი ხელს უწყობს სხვებისადმი ტოლერანტობის და გაგების გაზრდას. ინკლუზიური კლასები არის თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში და ასევე საქართველოს 9 რეგიონში.

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს 8 სპეციალიზირებული სკოლა, რომელშიც 621 ბავშვი სწავლობს. ესენია ყრუთა და მხედველობა დაქვეითებულთა სკოლები თბილისში, პანსიონების ტიპის სკოლები თბილისსა და რეგიონებში.

2013 წელს 22 შშმ პირი სწავლობდა პროფესიულ სასწავლებლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილია პროფსასწავლებლებში ინფრასტრუქტურის ადაპტაცია და შშმ პირთა რაოდენობის მკვეთრი გაზრდა.

დასაქმება

ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს მათი შრომით პროცესში ჩართვა წარმოადგენს. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალ ფონზე დასაქმება შშმ პირებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს. მათთვის დასაქმება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ფინანსური უზრუნველყოფა. იგი სტატუსის მაჩვენებელია და ზეგავლენას ახდენს თვითშეფასებაზე, ცხოვრებით კმაყოფილებაზე და თვითეფექტურობაზე, ასევე სოციალურ ურთიერთობებზე და ოჯახურ ცხოვრებაზე.

შშმ პირთა დასაქმება ეფუძნება რწმენას იმის შესახებ, რომ ყველა ადმიანს აქვს ძლიერი მხარეები, ინტერესები და თანდაყოლილი უნარები კომპეტენტურად შეასრულოს დავალება, როდესაც მას ეძლევა საშუალება გააკეთოს არჩევანი და როდესაც მის მიმართ გამოხატავენ პატივისცემას, მხარდაჭერას, უნერგავენ იმედს და უზრუნველყოფენ მუშაობის შესაძლებლობებს.

დასაქმების განსხვავებული ტიპები ინტეგრაციის განსხვავებულ შესაძლებლობებს იძლევიან. ამ შესაძლებლობების ერთ ბოლოში შინ შრომა, ხოლო მეორეში კონკურენტული დასაქმება დგას. თუმცა დასაქმების ფორმის განურჩევლად, ნებისმიერი სახის დასაქმება სჯობს უმუშევრობას. დასაქმების ტიპის ეფექტურობას ყოველი კონკრეტული ინდივიდისთვის განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის ინვალიდობის ტიპი და სიმძიმე, ცოდნა და შრომის უნარი, გადაადგილების შესაძლებლობა, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი.

შინ შრომა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შრომის ყველაზე მარტივ ფორმას შინ შრომა წარმოადგენს. იგი გულისხმობს ინდივიდის მიერ სამუშაოს სახლის პირობებში შესრულებას.

თვითდასაქმება

შინ შრომის მსგავსად, თვითდასაქმებაც დასაქმების ყველასათვის გამოსადეგი ფორმაა. მცირე ბიზნესისა და თვითდასაქმების მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში იზრდება. თვითდასაქმების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს ინდივიდის ფინანსური მდგომარეობა, მხარდაჭერის ქონა და რაც მთავარია, ბიზნეს იდეის სიცოცხლიუნარიანობა. თვითდასაქმება შშმ პირს შესაძლებლობას აძლევს სამუშაო საკუთარ შესაძლებლობებს მოარგოს მობილობის ხარისხის, პროდუქციის ტემპის, ენერჯის, ჯანმრთელობის და გარემოსთან დაკავშირებული საჭიროებების გათვალისწინებით.

დაცული დასაქმება

დაცული დასაქმება მოიცავს, როგორც შშმ პირთა კონკურენტული სამუშაოსთვის მომზადებას, ასევე თავად დასაქმებას. მაგალითად, არსებობს საწარმოები, სადაც მუშახელი ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობების პირებისგან შედგება და შესასრულებელი სამუშაო მათ შესაძლებლობებზეა მორგებული.

მხარდაჭერილი დასაქმება

მხარდაჭერილი დასაქმების მიზანს წარმოადგენს შშმ პირის დასაქმების ალბათობის გაზრდა. იგი უფრო ხშირად ხორციელდება მწვრთნელის მეშვეობით. მხარდაჭერილი დასაქმების დროს შეზღუდულობის მქონე პირი მუშაობის პერიოდში იღებს ინტენსიურ მხარდაჭერას, შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა გარემოში, მხარდაჭერილი დასაქმების დროს ხორციელდება შშმ პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ზედამხედველობა, მისი ტრენინგი და ტრანსპორტირება. მწვრთნელი მხარდაჭერილი დასაქმების ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. იგი მუშაობს ყოველ შშმ პირთან ინდივიდუალურად, საჭიროებებიდან გამომდინარე განაპირობებს შშმ პირის მიერ სამუშაო დავალების შესრულებას.

კონკურენტული დასაქმება

ამ შემთხვევაში შეზღუდულობის მქონე პირი მუშაობს შეზღუდვის არ მქონე პირთა გარემოში მწვრთნელისა და ზედამხედველობის გარეშე. დასაქმების ეს ფორმა შშმ პირს ყველაზე მეტად აძლევს საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას.

არსებული სერვისები

დღის ცენტრები

2005 წლიდან საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის დღის ცენტრები მოქმედებენ. დღის ცენტრები შესაძლებლობას აძლევენ შშმ პირებს გაცდნენ ოჯახის გარემოს და დღე სხვა, თავის მსგავს ადამიანებთან ერთად გაატარონ. დღის ცენტრები ასევე ოჯახის წევრებს და მომვლელებს მუშაობის ან დასვენების შესაძლებლობას აძლევს. დღესდღეობით საქართველოში 42 ცენტრი მოქმედებს, მაგრამ სამწუხაროდ, მათ მიერ შშმ პირთა მოცვა საკმაოდ დაბალია და 758 პირით განისაზღვრება. ცენტრებს სახელმწიფო აფინანსებს და მათ არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ. ცენტრები ემსახურებიან, როგორც ბავშვებს, ასევე ზრდასრულ ადამიანებს. ბავშვთა დღის ცენტრების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი სკოლისათვის მომზადება და ბავშვებში სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ზრდასრულთა ცენტრების მიზანს კი ბენეფიციარების მუშაობისათვის მომზადება და მათში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

4. ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ცხოვრება გაუმჯობესდეს?

ყველა ადამიანს შეუძლია თუნდაც მცირედის გაკეთება იმისთვის, რომ შშმ პირების ცხოვრება გაუმჯობესდეს. ამას შეიძლება ქონდეს ფინანსური მხარდაჭერის ფორმა, მაგალითად, როდესაც ადამიანები, ორგანიზაციები ან სკოლები ფულს გადასცემენ ორგანიზაციებს, რომლებიც შშმ პირებთან მუშაობენ. შესაძლებელია ფონდების მოძიების ორგანიზება მსგავსი ორგანიზაციების ან შშმ ადამიანებისთვის. კარგია, თუ ასეთი მხარდაჭერა მიზანმიმართული და კარგად გააზრებულია. მაგალითად, შესაძლებელია სკოლაში სწავლობს გარკვეული სახის შშმ მოსწავლე, რომელიც სწავლისთვის სპეციალურ დახმარებას/სახელმძღვანელოს საჭიროებს, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც მის ოჯახს არ გააჩნია. სხვა მოსწავლეებს შეუძლიათ იფიქრონ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე. შესაძლებელია ეს საკუთარი ძალებით მოახერხონ, ან დახმარებისთვის მიმართონ ორგანიზაციებს, რომლებიც შშმ პირებთან მუშაობენ.

5. რა უნარები აქვს შეზღუდული მარტინს? შეზღუდული შესაძლებლობების ქონა რა გავლენას ახდენს მისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე?

მარტინი იტანჯება თავის ტვინის დაზიანებით, რომელიც მან 19 წლის ასაკში ავტოავარიის შედეგად მიიღო (ამ დრომდე ის ჯანმრთელი იყო). ტრავმამ მისი ქვედა და ზედა კიდურების დამბლა გამოიწვია. მას ესმის სხვების საუბარი, მაგრამ თავად ვერ მეტყველებს. ავტოავარიამ მარტინის ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა - ის ვერასდროს შეძლებს იყოს დამოუკიდებელი, ვერასდროს შეძლებს მუშაობას და მუდმივად სხვისი დახმარება დაჭირდება. თუმცა, მისი გონებრივი შესაძლებლობები არ დაზიანებულა; მას შეუძლია კომუნიკაცია.

6. აქვს თუ არა მარტინს განკურნების ან მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების შანსი?

მარტინის მდგომარეობა უკვე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თავდაპირველად, ექიმების ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ მარტინისთვის შეენარჩუნებინათ ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები. ტვინის პოსტ-ტრავმატული დაზიანების მკურნალობა საკმაოდ რთული და გრძელვადიანი პროცესია. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მარტინმა ტრავმა მიიღო, მას ტვინის მასიური დაზიანება ქონდა, ამიტომ ის

მოლიანად არასდროს განიკურნება. თუმცა, რეგულარული ფიზიო და ოკუპაციური თერაპიის საშუალებით, რეაბილიტაციის საშუალებით (სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების მქონე ადამიანები მუშაობენ იმაზე, რომ შეინარჩუნონ და გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები) მარტინს შეუძლია აიმაღლოს საკუთარი თავის რწმენა და ნაწილობრივ მაინც გაიუმჯობესოს მდგომარეობა.

7. რა არის უკეთესი – მოვათავსოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სპეციალიზირებულ დაწესებულებაში თუ ვიზრუნოთ მასზე სახლის პირობებში?

ზოგადად, სახლის გარემო, მშობლების ზრუნვა უკეთესია ყველა ბავშვისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვისაც, რადგან ვერც ერთი დაწესებულება, ვერასდროს ვერ შეცვლის ოჯახის ზრუნვას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი მშობლების სიყვარულს ღებულობს, რომელსაც ვერც ერთი, თუნდაც საუკეთესო დაწესებულებაც ვერ მისცემს მას. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის დაბადება ძალიან მძიმეა ყოველი ოჯახის ცხოვრებაში. მშობლებს ყოველთვის არ შეუძლიათ, ან არ სურთ, აიღონ მზრუნველობა ასეთ ბავშვზე, ამდენად სპეციალიზირებული დაწესებულებების არსებობა მნიშვნელოვანია და არჩევანის საშუალებას იძლევა მსგავს სიტუაციებში.

მითები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შესახებ

ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები ვერასდროს იცხოვრებენ სრულფასოვანი ცხოვრებით.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე ადამიანები ისეთივე სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც ის ადამიანები, ვისაც არ აქვს მსგავსი შეზღუდვა, თუმცა ხშირად გადაადგილება მათთვის სირთულეს წარმოადგენს, რადგან ზოგიერთი ადგილი არ არის ადაპტირებული და ისინი დახმარებას საჭიროებენ. ბევრი მათგანი დასაქმებულია, აქვს თავისი ჰობი და ყავს საკუთარი ოჯახი.

ეტლით მოსარგებლე ადამიანებს არასდროს ექნებათ საკუთარი ოჯახი

მაშინაც კი, როდესაც ადამიანებს აქვთ გარკვეული სახის ფიზიკური შეზღუდულობა და ეტლით სარგებლობენ, მათ შეუძლიათ ქონდეთ საკუთარი ოჯახი და ყავდეთ შვილები, თუ მათი ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა. ასეთი ადამიანების რიცხვი ცოტა არაა და მათი ისტორიები გვაჩვენებს, რომ მათ შეუძლიათ იცხოვრონ სრულფასოვანი ცხოვრებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილი არაა.

8. რას იწვევს ადამიანის მიერ ალკოჰოლის მოხმარება?

სპირტიანი სასმელების ერთჯერადი მოხმარება იწვევს ალკოჰოლური თრობის განვითარებას. ამ უკანასკნელის განვითარების სიღრმე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, ესენია: მიღებული ალკოჰოლის სახეობა, დოზა, ალკოჰოლის მეტაბოლიზმის თავისებურებები, ადამიანის ინდივიდუალური თვისებები და ა.შ. ალკოჰოლური თრობის სიღრმის განსაზღვრა ხდება ორგანიზმის 1 კგ. წონაზე მიღებული ალკოჰოლის რაოდენობისა და სისხლში მისი კონცენტრაციის მიხედვით.

პირობითად განასხვავებენ ალკოჰოლური თრობის სამ ხარისხს: მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

მსუბუქი ალკოჰოლური თრობის დროს სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,3-1,5 ‰-ია. ამ დროს ვითარდება: გუნება-განწყობის აწევა, ემოციური სფეროს მერყეობა, ყურადღების კონცენტრაციის გაძნელება, გაფანტულობა, უზუსტობანი ნატიფი მოძრაობების შესრულებისას, ბარბაცი სიარულის დროს.

საშუალო ალკოჰოლური თრობის დროს სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 1,2-2,5 ‰-ია. ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელია: საზოგადოებრივი ქცევის ნორმების უგულველყოფა, სიტუაციის არასწორი შეფასება, აგზნება, ყურადღების გადართვის გაძნელება, მოძრაობის გამოხატული მოშლა.

მძიმე ალკოჰოლური თრობის დროს სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 3-5 ‰-ია. ამ შემთხვევაში ვითარდება: მკვეთრად გამოხატული შეკავებითი პროცესები, ძლიანობა, უაზრო, წყვეტილი გამონათქვამები.

9. როგორ მოქმედებს ალკოჰოლი მანქანის მართვაზე?

ალკოჰოლის ზეგავლენით "საკონტროლო პუნქტი" სათანადოდ ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მნიშვნელოვნად ქვეითდება სიტუაციაში ოპერატიულად გარკვევისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, ქვეითდება მხედველობის სიმახვილე, ვითარდება "გვირაბის ეფექტი", რაც იმას ნიშნავს, რომ მძღოლი მკაფიოდ ვერ აღიქვამს, თუ რა ხდება მარჯვნივ და მარცხნივ, ფერები კარგავს სიმკვეთრეს (ძნელდება შუქნიშნის ფერების აღქმა), იფანტება ყურადღება და ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია. ამავე დროს ალკოჰოლის აღმგზნები მოქმედების გამო ადამიანს ექმნება ილუზია, რომ მანქანას მშვენივრად მართავს, უკეთესად ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში, კარგავს სიფრთხილეს და შეიძლება გაუმართლებელ რისკზე წავიდეს. თუ ადამიანი აპირებს არაფხიზელ მდგომარეობაში საჭის მართვას, ეს იმით აიხსნება, რომ ალკოჰოლის ზემოქმედებით მცირდება სიტუაციის კრიტიკულად შეფასების უნარი. ზემოთაღნიშნულს ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები საქართველოში, რომელიც ნამდვილად სავალალოა.

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით, საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ავტოავარიების მიზეზებს შორის მესამე ადგილზეა, ხოლო პირველ ორ მიზეზს წარმოადგენს: 1. სიჩქარის გადაჭარბება, დგომა-გაჩერების წესების დარღვევა, საავარიო ვითარების შექმნა; 2. უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა, მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა, მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა. ამავე სამსახურის მონაცემებით 2011 წელს საქართველოში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო დაიღუპა 278 ადამიანი. ზოგადად ავტოსაგზაო შემთხვევებით (ერთ-ერთ მიზეზს სწორედ ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა წარმოადგენდა) 2010 წელს საქართველოში დაიღუპა 685 ადამიანი, მათგან როდესაც ლატვიაში დაიღუპა 218, ლიტვაში 300, სომხეთში 293.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა. ამავე დროს მნიშვნელობა არ აქვს ალკოჰოლური თრობის ხარისხს და ავტომობილის მართვის ზედმიწევნით ცოდნას.

10. რას იწვევს ადამიანის მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების განმეორებითი მოხმარება?

ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ფსიქიკურ პროცესებზე) განმეორებითი მოხმარებისას ადამიანს უვითარდება მათზე დამოკიდებულების სინდრომი. დამოკიდებულების სინდრომი არის ქცევითი, შემეცნებითი და ფიზიოლოგიური სიმპტომების კომპლექსი, მოიცავს ორ ასპექტს: ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გულისხმობს ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებაზე კონტროლის დაქვეითებას. ფიზიკური დამოკიდებულება კი გულისხმობს ამა თუ იმ ნივთიერებაზე ალკვეთის მდგომარეობის ანუ „ლომკის“ ჩამოყალიბებას.

დამოკიდებულების სინდრომის დიაგნოზი დგინდება იმ შემთხვევაში თუ პიროვნებას ერთი წლის მანძილზე ქვემოთ ჩამოთვლილი ექვსიდან აღენიშნება სამი ან მეტი სიმპტომი:

- ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღების ძლიერი სურვილი;
- ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებაზე კონტროლის დაკარგვა;
- ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების გაგრძელება, მიუხედავად დამლუპველი შედეგებისა;
- ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღების უპირატესობა აქტივობის სხვა სახეებთან შედარებით;
- ფსიქოაქტიური ნივთიერების ამტანიანობის მომატება;
- ალკვეთის მდგომარეობა - „ლომკა“

11. რა არის ალკოჰოლიზმი?

ალკოჰოლიზმი ქრონიკული პროგრესული დაავადებაა, განისაზღვრება ალკოჰოლური სასმელების მიმართ პათოლოგიური ლტოლვით, ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულებით, რის შედეგადაც ვითარდება ორგანიზმის დისფუნქციური მდგომარეობა და პიროვნული დეგრადაცია.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში შეიმჩნევა ტენდენცია ალკოჰოლიზმის გაახალგაზრდავებისკენ. ადრე თუ ამ დაავადების განვითარება საშუალოდ 40- 45 წლიდან იწყებოდა, ამჟამად ვხვდებით 20- 25 წლის ახალგაზრდებს ჩამოყალიბებული ალკოჰოლიზმით. ზემოთაღნიშნული მიზეზებია: 1. შეიცვალა ალკოჰოლის მიღების ფორმა, წარსულში თუ ალკოჰოლის მიღება ხდებოდა ძირითადად სუფრებზე და ალკოჰოლი ამ დროს იყო არა დათრობის არამედ საკუთარი თავის გამოხატვის საუკეთესო საშუალება, ამჟამად ახალგაზრდები ალკოჰოლს იღებენ უშუალოდ თრობის მდგომარეობის მისაღწევად; 2. შეიცვალა თვითონ ალკოჰოლი, მოხდა ღვინის მძიმე სასმელებით (არაყი, კონიაკი) ჩანაცვლება, 3. ალკოჰოლი გახდა უფრო მეტად ტოქსიური და რაც უფრო ტოქსიურია ფსიქოაქტიური ნივთიერება მით უფრო სწრაფად ხდება ადამიანი მასზე დამოკიდებული.

12. რა არის ნარკომანია?

ნარკომანია ანუ წამალდამოკიდებულება ქრონიკული პროგრესული დაავადებაა, ხასიათდება ნარკოტიკულ საშუალებებზე ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებით.

საქართველოში ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ტენდენცია სახლის პირობებში, საყოფაცხოვრებო ქიმიის გამოყენებით, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკებისა და ე.წ სააფთიაქო ნარკოტიკების მოხმარებისკენ. ეს უკანასკნელნი იწვევენ დამოკიდებულების სწრაფ ჩამოყალიბებას, მძიმე ორგანული, ნევროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების განვითარებას, ადამიანის სწრაფ მორალურ-ეთიკურ დაცემას და დეგრადაციის განვითარებას.

სავარჯიშო 1: სიმბოლოები

რეფლექსია

ასაკი: 15+

შესაბამისი თემა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები

სასწავლ მიზნები:

- ავსახოთ ფილმიდან მიღებული გამოცდილება
- ვისწავლოთ მასალის კლასიფიცირება
- ვისწავლოთ საკუთარი მოსაზრებების ფორმულირება

დრო: 20 წუთი

რესურსები:

ფურცელი და საწერი კალამი ყველა მოსწავლისთვის, დაფა ან ფლიპჩარტი.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ურიგებს ფურცლებს და უხსნის ნიშნების/სიმბოლოების მნიშვნელობას:

პლიუსი (+) – რა იყო ფილმში პოზიტიური;

მინუსი (-) – რა იყო ფილმში ნეგატიური;

კითხვის ნიშანი (?) – გაუგებარი/აუცილებელია დამატებითი ინფორმაცია;

ძახილის ნიშანი (!) – ფილმის მთავარი აზრი.

შენიშვნა: კარგია თუ ნიშნებს თავისი ახსნა-განმარტებებით მასწავლებელი დაფაზე დაწერს. მოსწავლეები სიმბოლოების გამოყენებით აყალიბებენ საკუთარ მოსაზრებებს და სავარჯიშოს დასრულების შემდეგ წარმოადგენენ ნამუშევრებს. მასწავლებელს მათი პასუხები დაფაზე გადააქვს. დაფაზე ყველა მოსაზრება უნდა დაიწეროს.

ასახვა/მსჯელობა:

დისკუსია გაიმართება წარმოდგენილი მოსაზრებების თაობაზე.

საპარტიშო 2: კუბიკი

ასაკი: 15+

შესაბამისი თემები: შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ემპათია**სასწავლო მიზნები:**

- დავანახოთ მოსწავლეებს, რომ ნებისმიერი საკითხი შეიძლება განსხვავებული თვალსაზრისიდან განვიხილოთ
- ემპათიის და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება
- კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარების განვითარება

დრო: 25 წუთი**რესურსები:** ფურცლები, კალმები, სათამაშო კუბიკი**აქტივობის აღწერა:**

- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი საკლასო ოთახის შუაში დგება, მოსწავლეებს აჩვენებს სათამაშო კუბიკს (კუბიკს ყველა გვერდზე სხვადასხვა რიცხვი უნდა ეწეროს, ან ყველა გვერდი სხვადასხვა ფერი უნდა ქონდეს) და თხოვს მათ დაასახელონ რას ხედავენ. სავარაუდოდ, პასუხი იქნება „სათამაშო კუბიკი“. შემდეგ სათითაოდ მიმართავს მათ დაასახელონ კონკრეტულად ვინ რას ხედავს მოცემულ მომენტში. ამჯერად, მოსწავლეების პასუხები განსხვავებული იქნება, იმის მიხედვით, თუ ვინ რა რაკურსით ხედავს კუბიკს.
- ამის შემდეგ მასწავლებელი უხსნს მოსწავლეებს, რომ დავალების შესრულების დროს მსგავს მეთოდს გამოიყენებენ და ფილმის ანალიზს განსხვავებული პოზიციებიდან გააკეთებენ. ყოფს კლასს 6 ჯგუფად, უხსნის, რომ ერთი ჯგუფი ფილმიდან ერთ რომელიმე პერსონაჟს განასახიერებს და ანაწილებს როლებს.

პერსონაჟები:

- მარტინი
- მარტინის მშობლები
- მარტინის მეგობრები
- მარტინის მომვლელი მედდა
- სოციალური მუშაკი (ნარკომანიის პრევენციული პროგრამის სპეციალისტი)
- მოსწავლე, რომელიც დაესწრო აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სესიას და შეხვედა მარტინს

მოსწავლეების ამოცანა:

- აღწერონ: ფილმში ნანახი;
- შეადარონ: ნაცნობი და ფილმში ნაჩვენები სიტუაციები;
- დააკავშირონ: დაწერონ ყველაფერი, რაც სიტყვა უნარშებლუდობაზე აფიქრდებათ;
- გაანალიზონ: შეეცადონ კონკრეტული პერსონაჟის ადგილზე წარმოიდგინონ საკუთარი თავი;
- განსაზღვრონ: რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება;
- დაასაბუთონ: შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საკითხი/პრობლემა კონკრეტული პერსონაჟის პოზიციიდან განიხილონ.

აქტივობის დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე შეაჯამებს და წარმოადგენს მუშაობის შედეგებს.

ასახვა/მსჯელობა:

მსჯელობა გაიმართება ჯგუფური მუშაობის შედეგებზე. მასწავლებელი სვამს კითხვებს: რამდენად განსხვავებულია სხვადასხვა თვალსაზრისი? რა ახდენს ამაზე ზეგავლენას? და ა.შ.

საპარჯიშო 3: კი თუ არა

ასაკი: 15+

შესაბამისი თემები: ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულება, ასერტიული ქცევა**სასწავლო მიზნები:**

- გავანალიზოთ ის მიზეზები, რასაც შეიძლება ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებები მოყვეს და შედეგად უნარშემზღუდულობა გამოიწვიოს
- გავიგოთ, რომ სარისკო სიტუაციაში არჩევანი არსებობს
- ვისწავლოთ ასერტიული ქცევის ძირითადი ტექნიკები

დრო: 45 წუთი (ფილმის ჩვენების ჩათვლით)**რესურსები:**

სამუშაო ფურცელი N11 თითოეული ჯგუფისთვის, ფურცლები, კალმები

აქტივობის აღწერა:

- ფილმის დასულების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს რა იციან მოსწავლეებმა ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების შესახებ; იცინ თუ არა ვინმე, ვისაც არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის შედეგად ავტოავარია მოუხდა? თუ იმგზავრებდნენ მანქანით, რომელსაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი მართავს? იციან თუ არა რომელიმე ცნობილი ადამიანი, რომელიც ავტოკატასტორფის შედეგად უნარშემზღუდული გახდა? რა იყო ავარიის მიზეზი?
- მოსწავლეებს 4-5 კაციან ჯგუფებად ყოფს და აძლევს დავალებას: ჯგუფებმა უნდა გაითამაშონ პატარა სცენა თემაზე: „როგორ მოვიქცეთ, როდესაც მეგობრები გვარწმუნებენ ვიმგზავროთ მანქანით, რომელსაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი მართავს“;
- ჯგუფები გაითამაშებენ თავის სცენებს;
- შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ და გამოავლინონ საუკეთესო სცენარი (შესაძლებელია გაიმართოს კენჭისყრა, ან უბრალოდ გამოკითხვა);
- აქტივობის ბოლოს მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ყოველთვის არსებობს არჩევანი და გარკვეული ტექნიკები, თუ როგორ შეიძლება უარი თქვას ადამიანმა მისთვის არასასურველ შეთავაზებაზე/წინადადებაზე. შემდეგ მოსავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N11, სადაც მოცემულია ასერტიული ქცევის მაგალითები.

ასახვა/მსჯელობა:

დისკუსია გაიმართება აქტივობის დროს წამოჭრილ საკითხებზე. დასასრულს, მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სარისკო სიტუაციაში არსებობს არჩევანი და უარის თქმა იმაზე, რაც ადამიანის სიცოცხლისთვის, მისი ჯანმრთელობისთვის საშიშია არასდროს და არავისთან მიმართებაში უხერხული არაა. ამისთვის მათ შეიძლება გამოიყენონ წარმოდგენილი ტექნიკები.

სავარჯიშო 3: კი თუ არა

სამუშაო ფურცელი N11

როგორ ვთქვათ არა

მე ვერ ვხედავ, მე არ მესმის

ყურადღებას არ ვაქცევთ შემოთავაზებას, იგნორირებას ვუკეთებთ მას.

უარი სიტყვების გარეშე

თავს ვაქცევთ უარის ნიშნად, გვაქვს სახის შესაბამისი გამომეტყველება.

უბრალოდ თქვი არა!

შემოთავაზების შემდეგ მტკიცედ ვბასუხობთ „არა“-ს ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე.

უარის თქმა უკეთესი არჩევანის შეთავაზების საშუალებით

უარს ვაცხადებთ წინადადებაზე და ვთავაზობთ უკეთესს ვარიანტს.

გაფუჭებული/ჩახვეული კასეტის ტექნიკა

გამუდმებით ვიმეორებთ ერთიდაიგივე სიტყვებს. არაფერს ვუხსნით და არ განვიხილავთ. მაგალითად ვიმეორებთ: “მე არ მინდა”, “არა, არა” და სხვა.

უარის თქმა კონტრიერიშის საშუალებით

შეგვიძლია ეს ტექნიკა გამოვიყენოთ ბოდიშის და ახსნა-განმარტების ნაცვლად. უარს ვამბობთ და ვაკრიტიკებთ ადამიანის ქცევას, რომელიც გვთავაზობს მისი წინადადება მივიღოთ.

საპარჯიშო 4: ჩვენი მეგობრული საზოგადოება

ასაკი: 15+

შესაბამისი თემები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლერანტობა**სასწავლო მიზნები:**

- გავაცნობიეროთ განსხვავება ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებებს შორის
- ვისწავლოთ ურთიერთობა საზოგადოებასთან, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებთან

დრო:

გრძელვადიანი პროექტი (2-3 გაკვეთილი)

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N12, ფურცლები, კალმები, ფანქრები, ქალაქის ან რეგიონის რუკა, ინტერნეტი.

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები 4-5 კაციან ჯგუფებად იყოფიან. თითოეული ჯგუფის დავალებაა დაწერონ რა პირობები ესაჭიროებათ ფიზიკური შეზღუდულობის მქონე ადამიანებს, იმისთვის რომ კარგად იცხოვრონ; მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები.
- ჯგუფები წარმომადგენენ თავის პასუხებს. მასწავლებელი ცდილობს უკეთ განმარტოს ეს საჭიროებები. იგი არ აფასებს მოსწავლეების მოსაზრებებს.
- ფილმის ჩვენება.

ანგარიშის მომზადება

- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ნორმალური საზოგადოება ბრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამოქალაქეებზე.
- მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი დავალება იქნება გაარკვიონ და მოამზადონ ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა (სერვისები, პრობლემები და ა.შ.) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის მათ ქალაქში/რეგიონში.
- გამომდინარე იქიდან, რომ ყველა მოქალაქეს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება, მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმით მოიძიონ თემასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია (შესაბამის უწყებებთან ინფორმაციის წერილობითი ან ელექტრონული მოთხოვნა, ვიზიტი, ინტერნეტი და ა.შ.). მასწავლებელი არიგებს სამუშაო ფურცელს N12, სადაც მოცემულია ოფიციალური წერილის ნიმუში, რომელიც შეიძლება გამოადგეთ ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ორგანიზაციებისგან თუ სახელწიფო უწყებებისგან.
- მოსწავლეები იყოფიან 5-6 კაციან ჯგუფებად; თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ კონკრეტულ სფეროს (მაგ. კულტურა, სპორტი, კვების ობიექტები, დასაქმება და ა.შ.).
- მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფები ამზადებენ ანგარიშს და აკეთებენ პრეზენტაციას
- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ქალაქის/რეგიონის რუკაზე, დაიტანონ მოძიებული ინფორმაცია. მაგალითად, აღნიშნონ ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ მომსახურებას თავაზობს, ან ქველმოქმედებას ეწევა ამ ადამიანებისთვის. ყველა ის ადგილი, რომლებიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და ა.შ. რუკა შეიძლება თვალსაჩინოებისთვის დაიკიდოს საკლასო ოთახში.

შენიშვნა: მოსწავლეებს შეუძლიათ ითხოვონ და მიიღონ თანხმობა დაესწრონ საკრებულოს სხდომას და

წარმოადგინონ საკუთარი მუშაობის შედეგები. რუკა შესაძლებელია გადაეცეს ქალაქის მერიას.

ასახვა/მსჯელობა:

მსჯელობის დროს კლასში განიხილავენ მუშაობის შედეგებს. დისკუსია წარიმართება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემების, საჭიროებების და ზოგადად, ამ თვალსაზრისით თავის ქალაქში არსებული სიტუაციის შესახებ; რა იყო მათთვის ახალი? რა სირთულეებს შეხვდნენ მუშაობის პერიოდში? როგორ დაძლიეს ისინი? რა ისწავლეს? თვითონ რა შეუძლიათ გააკეთონ სიტუაციის გასაუმჯობესებლად? და ა.შ.

საპარჯიშო 4: ჩვენი მეგობრული საზოგადოება

სამუშაო ფურცელი N12

ორგანიზაციების ან სახელმწიფო უწყებებისთვის წერილის ნიმუში

..... (ორგანიზაციის / ფიზიკური პირის სახელი)

ჩვენ წარმოვადგენთ საჯარო სკოლის კლასის მოსწავლეებს.

ამჟამად ვმუშაობთ პროექტზე „რამდენად მეგობრულად არის განწყობილი ჩვენი საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ“. პროექტის მიზანია, დავადგინოთ თემში (ქალაქში) არსებული მდგომარეობა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა საქმიანობას ეწევა თქვენი (ორგანიზაცია) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით. გვანტერესებს, გაქვთ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თავისუფლად გადაადგილების უზრუნველსაყოფად პანდუსები, საჭირო პირობები სმენადაქვეითებულ ადამიანებთან კომუნიკაციისთვის, ან უსინათლო ადამიანებისთვის და ა. შ.

წინასწარ გიხდით მადლობას ინფორმაციისთვის.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შეზღუდულ ვადებში.

პატივისცემით,

მოსწავლეების წარმომადგენელი

ადგილი:

თარიღი:

საქეიტისტანი: იცხოვრო და ისრიალო ქაბულში ორლანდო ვან ეინსიდელი / ინგლისი /2010 / 9 წთ.



ფილმი მოგვითხრობს სკეიტბორდით გატაცებულ ახალგაზრდებზე ავღანეთიდან და მათ მცდელობაზე გაექცნენ ხანგრძლივი ომის შედეგად შექმნილ მძიმე მდგომარეობას. სკეიტისტანი საქველმოქმედო საგანმანათლებლო პროექტია, სადაც მოხალისეები მთელი მსოფლიოდან ავღანელ ახალგაზრდებს სკეიტბორდით სრიალს ასწავლიან.

„სკეიტის ქვეყანა“ ბევრს აძლევს ახალგაზრდებს; აყალიბებს ურთიერთობებს მათ შორის, ასწავლის, თუ როგორ შეიძლება იყვნენ აქტიურები, როგორ უნდა გამოხატონ საკუთარი თავი, განსაკუთრებით გოგოებმა.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემები: კონფლიქტი, პოსტკონფლიქტური სიტუაცია

დამატებითი თემები: მშვიდობის მშენებლობა, სამოქალაქო ჩართულობა

1. ავღანეთის მნიშვნელოვანი გამოწვევები დღეს

ავღანეთი დღეისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის უმთავრესია უსაფრთხოების საკითხი. ავღანური საზოგადოება დაყოფილია არა მხოლოდ ეთნიკურ და ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ჯგუფებად. „თალიბანი“-ს სახელით ცნობილი, შეიარაღებული ოპოზიცია, ცდილობს დაიბრუნოს 2001 წელს დაკარგული პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა. ამის შედეგად, ქვეყანაში მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგრამ პრობლემები, რომლებსაც უკავშირებენ უცხოური ჯარების დაგეგმილ გაყვანას 2014 წელს, სავარაუდოდ, უსაფუძვლოა. სიტუაციის ნებისმიერი ხედვა, რომელიც დააბრუნებს ქვეყანას იმ პერიოდში, რომელიც 2001 წლამდე სუფევდა, არარეალურია. ოპოზიციური შეიარაღებული დაჯგუფებების უმრავლესობა ხდება, რომ ქვეყანა ვეღარ იქნება იზოლირებული გარე სამყაროსგან. ბოლო წლებში დაწყებულ სოციალურ განვითარებას უკან ვეღარ დააბრუნებ. ამის ნათელი მაგალითია ქალების განათლება. თალიბანის წარმომადგენლებიც მიხვდნენ მის აუცილებლობას და შეწყვიტეს მის წინააღმდეგ ოფიციალური გამოსვლები.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე მოსახლეობის ზრდა. ქვეყნის შეზღუდულმა რესურსებმა და ნაკლებად განვითარებულმა შრომის ბაზარმა, შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს მომავალში. ტრადიციულად, სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული ეკონომიკა ვერ ქმნის ბევრ სამუშაო ადგილს, აქედან გამომდინარე, უმუშევრობა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. ბუნებრივი რესურსების სიმწირე (წყალი, სამეურნეო დანიშნულების მიწები და ა.შ.) ხშირი კონფლიქტების

საფუძველს წარმოადგენს.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თითქმის არ გააჩნია მთავრობის მიმართ ნდობა. ამის გამო არსებული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელება რთულდება. ხშირ შემთხვევაში ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობის ნაწილი შარიათზე დაფუძნებულ თალიბანის კანონებს უფრო სამართლიანად მიიჩნევს. შედეგად, ოჯახური და კლანური ურთიერთობები, ნებოტიზმი და კორუფცია, დიდ როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღებაში. მრავალწლიანმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა გამოწვია ქვეყნის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის მოშლა: დანგრეული შენობები, საცხოვრებელი სახლებიდან აყრილი ადამიანები, მოშლილი მომსახურების სფერო და ა.შ.

ამჟამად, ავღანეთი ყველა ამ გამოწვევის წინაშე დგას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაიწყოს ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ამასთან, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ახალგაზრდობა, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება არ უნახავს. მომავლის ავღანეთი მათი ასაშენებელია. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლება და მათი ენერჯის სწორი მიმართულებით წარმართვა.

2. რა არის თალიბანი? რა როლს თამაშობს თალიბანი დღევანდელ ავღანურ საზოგადოებაში?

სიტყვა „თალიბანი“ ნიშნავს „მოსწავლეს“. ეს არის რადიკალური რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 1996-2001 წლებში მართავდა ავღანეთს. დიპლომატიური აღიარება მან მხოლოდ სამი ქვეყნისგან მიიღო: საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და პაკისტანი. მოძრაობის ფორმირება მოხდა იმ ანარქიისა და ძალადობის საპასუხოდ, რომელიც 90-ანი წლების პირველ ნახევარში სუფევდა. მისი იდეოლოგია წარმოადგენს რადიკალური ისლამის და პუშტუნების² ნაციონალიზმის შერწყმას. თალიბანის თვალსაჩინო წევრთა უმრავლესობას ისლამური რელიგიური სკოლების პატივსაცემი მასწავლებლები წარმოადგენდნენ, მათი (ყოფილი და ამჟამინდელი) სტუდენტები კი, „დამხმარე“ ჯგუფების და შეიარაღებული ძალების სათავეში იდგნენ. მოძრაობა თალიბანის შეიარაღებულ ნაწილებს შეუერთნენ მოჯაჰედები³ სხვადასხვა არაბული ქვეყნებიდან. თალიბანი დიდ დაფინანსებას იღებდა შეძლებული არაბებისაგან და ტერორისტული ორგანიზაციისგან „ალ-ქაიდა“.

თავიდან ავღანელები თალიბანისადმი კეთილგანწყობილები იყვნენ, რადგან 1996 წელს მათი ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად შეწყდა სამოქალაქო ომი. იმ დროს, თალიბანმა შეძლო ხალხის დარწმუნება, რომ მის მიზანს მშვიდობა, უსაფრთხოება და ტრადიციების აღორძინება წარმოადგენდა. თუმცა, შარიათის რეპრესიული კანონების ლეგიტიმაციამ, რომელიც კრძალავდა განათლებას, მუსიკას და ზღუდავდა ქალთა უფლებებს, ვერ შეძლო ავღანური საზოგადოების მოლოდინის დაკმაყოფილება. ყველაფერი „დასავლურის“

1. „თალიბანი“ შუა აღმოსავლეთის „რინდათა ორდენი“: უახლოესი ისტორიის ერთ-ერთი ავღანური ლეგენდის თანახმად, სავაჭრო ქარავანი, რომელიც ასრულებდა ჰუმანიტარულ მისიას, პაკისტანის ქ. კვეტადან თურქმენული კუშკისაკენ მიემართებოდა. ქ. ყანდაგართან ისინი სამხრეთ პუშტუნური ტომის ერთ-ერთმა ბელადმა დააყაჩაღა, რაც მას ძალზე ძვირად დაუჯდა. სამხრეთ აღმოსავლეთში არსებული ისლამური სკოლების (მედრესების) სტუდენტებმა სულ მალე აღკვეთეს ეს ყაჩაღობა და „ღირსეულად“ დასაჯეს მომხდურნი. ასე შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობა „თალიბანი“ (სტუდენტი), რომლის სათავეში პაკისტანში არსებული მედრესების სტუდენტობა აღმოჩნდა (უფრო სწორად, ავღანელ ლტოლვილთა შვილები, რომლებიც საბჭოთა ექსპანსიის ამ ქვეყანაში გაექცნენ).

2. პუშტუნები წარმოადგენენ ავღანეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებში და პაკისტანში (განსაკუთრებით ჩრდილოეთ-დასავლეთით მესაზღვრე პროვინციები) მდებარე ეთნიკურ ჯგუფს. ისტორიულად ეს ტერიტორია პუშტუნისტანს წარმოადგენდა.

3. მოჯაჰედები (არაბ. مجاهد mujāhid, mujahiddin - (არაბულად „ის ვინც იბრძვის/მიისწრაფვის რაღაცისკენ“) - არიან არარეგულარული შეიარაღებული ფორმირებების წევრები, რომლებიც მოტივირებულნი არიან და მოქმედებენ რადიკალური ისლამური იდეოლოგიით. ეს ფორმირება 1979-1992 წლებში შეიქმნა ავღანეთში სამოქალაქო ომის დროს საბჭოეთის ჯარების წინააღმდეგობის გასაწყევად. მის შემადგენლობაში იყო ადგილობრივი მოსახლეობა. ნაწილი ავღანელი მოჯაჰედები ომის შემდეგ 1990 იან წლებში შეუერთდნენ რადიკალური მოძრაობის თალიბანის რიგებს, ხოლო მეორე ნაწილმა შეავსო ჩრდილოეთის ალიანსის ჯგუფების რიგები.

აკრძალვას განათლებული ავლანელები არ ეთანხმებოდნენ. საზოგადოების დიდი ნაწილი პატივს სცემდა ტრადიციულ ავლანურ ღირებულებებს, მაგრამ ამავდროულად ისწრაფვოდა მეტი თავისუფლებისკენ. თალიბანმა ვერ შეძლო საზოგადოების „რადიკალიზება“.

4. შესაძლებელია თუ არა წინასწარ განვჭვრიტოთ მოვლენების განვითარება ავლანეთში მომდევნო 5 წლის მანძილზე?

კოალიციური ძალების სურვილია ავლანეთში 2014 წლის ბოლომდე დარჩნენ. ამ დროისათვის ისინი დაიწყებენ ცალკეული პროვინციების ავლანელი ძალოვნებისთვის გადაცემას. არსებობს ვერსიები როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები: ძალაუფლების მშვიდობიანი გადანაწილება, სამოქალაქო ომის დაწყება, თალიბების ხელისუფლებაში დაბრუნება და ა.შ. დამკვირვებლების და ანალიტიკოსების აზრით, მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია, მმართველი პოლიტიკური გუნდის, სამოკავშიერო ძალების და თალიბანის წარმომადგენლების მოლაპარაკებების გზით. ბოლო წლებში პროცესები ამის იმედს იძლევა. დგება საკითხი, თუ რა იქნება მოლაპარაკებების საგანი, რა მოთხოვნებს წამოაყენებენ და რა კომპრომისებზე წავლენ პოლიტიკური მხარეები.

5. რა წვლილი შეუძლია შეიტანოს ადგილობრივმა მოსახლეობამ პოსტკონფლიქტური სიტუაციის ტრანსფორმაციაში?

პოსტკონფლიქტური სიტუაციის ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობას. აუცილებელია ხელი შეეწყოს მშვიდობის და სამართლიანობის აღდგენას ქვეყანაში, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ფორმალური და არაფორმალური განათლების წახალისებას. ამ პროცესში განსაკუთრებული წვლილი ახალგაზრდებმა უნდა შეიტანონ.

სავარჯიშო 1: ერთი სიტყვა

რეფლექსია

ასაკი: 13+

შესაბამისი თემა: მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- ავსახოთ ფილმიდან მიღებული გამოცდილება

დრო: 5 წუთი

რესურსები: დაფა ან ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ერთი სიტყვით აღწერონ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ფილმის ნახვის შემდეგ დაეუფლათ. მათი მოსაზრებები იწერება დაფაზე/ფლიპჩარტზე.

ასახვა /მსჯელობა:

მოსწავლეების მიერ დასახელებულ მოსაზრებებს მოყვება მსჯელობა. თუ ერთიდაიგივე მოსაზრებები მეორდება, მასწავლებელი თხოვს მათ ახსნან რა არის ამის მიზეზი.

სავარჯიშო 2: პირადი პასუხისმგებლობის წესები

ასაკი: 15+

შესაბამისი თემები: პიროვნული პასუხისმგებლობა, მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- გავიზრდეთ რას ნიშნავს „პიროვნული პასუხისმგებლობა“
- მოლაპარაკებებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება
- ანალიტიკური მსჯელობის უნარის განვითარება

დრო: 15 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N13 თითოეულ მოსწავლეს, ფლიპჩარტები, მარკერები

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები N13, სადაც ჩამოწერილია 10 წესი (შეიძლება ეს წესები დაფაზე დაიწეროს და მოსწავლეები თვითონ გადაიწერონ მათ), რომელიც ეხება პიროვნულ პასუხისმგებლობას. ისინი უნდა გაცნონ და გაიაზრონ ეს წესები.
- მოსწავლეები იყოფიან 3-4 კაციან ჯგუფებად და მსჯელობენ მოცემულ წესებზე. შემდეგ მასწავლებელი თხოვს მათ დააღაგონ წესები პრიორიტეტების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებად მნიშვნელოვანამდე. ჯგუფის ყველა წევრი უნდა ეთანხმებოდეს ამა თუ იმ სახით წესების დალაგებას.
- ჯგუფები წარმოადგენენ მუშაობის შედეგებს და ასახულებენ, თუ რატომ თვლიან მოცემულ წესებს მნიშვნელოვნად.

ასახვა /მსჯელობა:

სავარჯიშოს დასრულებისას მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს: როგორ მიხვედით დასკვნამდე? რა იყო თქვენი არჩევნის მიზეზი? რამდენად რთული იყო ურთიერთშეთანხმების მიღწევა? თქვენი გამოცდილებით, რომელი წესი არის ყველაზე გავრცელებული და მიღებული ყოველდღიურ ცხოვრებაში? შეგიძლიათ თუ არა თითოეულ წესთან დაკავშირებით მოიყვანოთ ცხოვრებისეული მაგალითი?

საპარჯიშო 2: პირადი პასუხისმგებლობის წესები

სამუშაო ფურცელი N13

პირადი პასუხისმგებლობის ათი წესი

- ჩემი მთავარი წესია: „როდესაც მე ვარგად ვარ – შენც ვარგად ხარ“**
(თუ ჩვენ ვარგად ვგრძნობთ თავს, ეს გავლენას ახდენს ჩვენს გარშემომყოფებზე).
- ადამიანები, რომლებიც საკუთარ პრინციპებს არ დალატობენ ბევრს მიაღწევენ**
(თუ დარწმუნებულები ვართ საკუთარ სიმართლეში, ბევრს მიაღწევთ).
- რასაც დათესავ, იმას მოიმკი**
(თუ სხვას ცუდად მოვექცევით, შესაბამისად სხვებიც ცუდად მოგვექცევიან და პირიქით).
- ჩემს მოქმედებებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მე შეკისრება**
(მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი ჩემს ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე და საკუთარ მოქმედებებზე).
- თავისუფლება ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. არავის არ უნდა ვაიძულოთ მისი ნების საწინააღმდეგოდ რამის გაკეთება**
(არ უნდა ვაიძულებთ ადამიანები ის გააკეთონ, რაც არ სურთ, ყველას აქვს არჩევანის თავისუფლება).
- მე იმისთვის არ ვცხოვრობ, რომ სხვების მოლოდინები გავამართლო**
(მე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ ჩემს ქმედებებზე და ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც ჩემი აზრით მისაღებია).
- სიმართლე ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც თავისუფლება**
(ჭეშმარიტება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავისუფლება).
- შეუძლებელია პასუხისმგებლობის სხვაზე დავისრება**
(ჩვენ თვითონ ვართ პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე).
- ადვილია იმოქმედო, როდესაც საკმარისად ინფორმირებული ხარ**
(ბევრად იოლია გადაწყვეტილების მიღება, როდესაც საკმარისად ინფორმირებული ხარ).
- საკუთარი თავის პატივისცემა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სხვებსაც სცე პატივი**
(თუ საკუთარ თავს სცემ პატივს, მაშინ სხვების პატივისცემაც უფრო ადვილია).

სავარჯიშო 3: ხე

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- გავიცნოთ საკუთარი თავი და ჩვენი ღირებულებები
- გავაცნობიეროთ ინდივიდუალურობის ფასი
- ვისწავლოთ ტოლერანტობა

დრო: 30 წუთი

რესურსები:

ფლიპჩარტი, ფერადი ფანქრები, მარკერები, ფერადი ფურცლები, წებო, მაკრატელი, დაფა

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები წრეზე სხდებიან.
- მასწავლებელი წერს დაფაზე ან ფლიპჩარტზე ციტატას: „ყველანი ჩვენ ფოთლები ვართ ხეზე. არცერთი ჩვენგანი სხვას არ გავს, ერთი მოწყენილია, მეორე არა. მაგრამ ყველანი ჩვენ თანაბრად მნიშვნელოვანი ვართ საზოგადოებისთვის.“ გ.კ. ლიხტენბერგი
- შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილავს რამდენად სწორედ გაიგეს ციტატის შინაარსი (ყველა ადამიანი განსხვავებულია, განსხვავებული უნარები და თვისებები აქვთ, მაგრამ თითოეული მათგანი საზოგადოების ნაწილია, ფოთოლია ხეზე. თუ რომელიმე ფოთოლი ჩამოვარდება - ხე არ იქნება სრულყოფილი, რალაც დააკლდება) და თხოვს მოსწავლეებს ფილპჩარტზე დახატონ ერთი დიდი ხე.
- მოსწავლეების დავალებაა შექმნან ფოთლები, რომლებიც მათ პიროვნულად ასახავს. ფოთლები, ისევე როგორც ადამიანები, შეიძლება იყოს განსხვავებული ფორმის, ფერის, თუ ზომის. თითოეული მოსწავლე ფოთოლზე საკუთარ პიროვნულ თვისებებს წერს.
- შემდეგ მოსწავლეები თვითონ ირჩევენ საკუთარი ფოთლისთვის საუკეთესო ადგილს ხეზე და აკრავენ.

ასახვა /მსჯელობა:

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე საუბრობს თავისი ფოთლის შესახებ, თუ რატომ აირჩია ასეთი ფორმის, ზომის ფოთოლი, რატომ დააკრა კონკრეტულ ადგილზე. მასწავლებელი სვამს შემდეგი სახის შეკითხვებს: მათი აზრით, როგორ ფოთლებს აირჩევდნენ ფილმის გმირები? სად დააკრავდნენ საკუთარ ფოთლებს? რა სურვილები და ოცნებები აქვთ მათ? და ა.შ.

შენიშვნა: ამ სავარჯიშოს საფუძველზე შესაძლებელია კლასში არსებული გარემო და ურთიერთობები დავინახოთ. დააკვირდით როგორი ფოთლები გააკეთეს მოსწავლეებმა, ხის რა ადგილი აირჩიეს საკუთარი ფოთლებისთვის. მაგალითად, თუ რომელიმე მოსწავლე ფოთოლს ხის კიდეზე დააკრავს, ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ იგი თავს ჯგუფის წევრად არ თვლის. შეეცადეთ გაარკვიოთ ამის მიზეზები, გააუმჯობესოთ კლასში გარემო.

სავარჯიშო 4: ადამიანის სულის სიძლიერე

ასაკი: 14+

შესაბამისი თემა: მოქალაქეობრივი მიდგომა

სასწავლო მიზნები:

- გავაცნობიეროთ რომ „რიგით“ პიროვნებასაც შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაღაცის შეცვლა
- ვისწავლოთ წერილობით წყაროზე მუშაობა

დრო: 45 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N14 (ა-ბ-გ-დ ვარიანტი), ფურცლები, კალმები

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 5-6 კაციან ჯგუფებად ე.წ. „ძირითად ჯგუფებად“. ჯგუფები ირჩევენ თავისთვის სასურველ სახელებს ან ნომრებს.
- შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს უფრო დიდ 4 ჯგუფად ყოფს - ე.წ. ა, ბ, გ, დ ჯგუფებად; ეს ჯგუფები წარმოადგენენ „ექსპერტთა ჯგუფებს“, სადაც წარმოდგენილი იქნებიან „ძირითადი ჯგუფის“ წევრები.
- „ექსპერტთა ჯგუფებს“ ურიგდებათ სამუშაო ფურცელის N14 - ა,ბ, გ, დ ვარიანტები. ექსპერტთა ჯგუფი „ა“ იღებს სამუშაო ფურცლის „ა“ ვარიანტს, ჯგუფი „ბ“ — „ბ“-ს და ა.შ. სახელის მიხედვით.
- მოსწავლეებს 10 წუთი აქვთ მასალის გასაცნობად და შენიშვნების ჩასანიშნად.
- შემდეგ მოსწავლეები ბრუნდებიან თავის „ძირითად ჯგუფებში“ და ერთმანეთს უზიარებან მიღებულ ინფორმაციას.

შენიშვნა: სავარჯიშოს დაწყებამდე მასწავლებელი აფრთხილებს კლასს, რომ უმნიშვნელოვანესია, მოსწავლეები ყურდღებით გაეცნონ მოცემულ მასალას, დაიმახსოვრონ და მაქსიმალურად ზუსტად გადასცენ ინფორმაცია თავიანთი ჯგუფის წევრებს.

ასახვა /მსჯელობა:

დისკუსიის დროს მასწავლებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სავარჯიშოში წარმოდგენილი ადამიანები რეალური პიროვნებები არიან. სვამს შემდეგ კითხვებს: არის თუ არა მსგავსება ამ ადამიანების ისტორიებს შორის? თუ კი, რა მსგავსებაა/განსხვავებაა? რა იყო ყველაზე საინტერესო? თუ სმენიათ მსგავსი ისტორიები თავისი გარემომცოფებისგან? და ა.შ.

სავარჯიშო 4: ადამიანის სულის სიძლიერე

სამუშაო ფურცელი „ა“

დაიან ფოსი



დაიან ფოსი იყო ქალი, რომელმაც ცხოვრება გორილების შესწავლას მიუძღვნა და მათი გადარჩენისთვის ბრძოლაში დაიღუპა. იგი 1932 წელს დაიბადა სან-ფრანცისკოში.

ოჯახის სურვილის წინააღმდეგ, 19 წლის ასაკში კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწორედ ამ დროს მიიღო მან მტკიცე გადაწყვეტილება თავისი პროფესიონალური მოღვაწეობა ცხოველებთან მუშაობისთვის მიეძღვნა.

შედევად, მისმა მშობლებმა უარი თქვეს მის ფინანსურ დახმარებაზე და სტუდენტი დაიანა თავს კლერკად მუშაობით ირჩენდა. 1963 წელს ფოსიმ აფრიკაში მოგზაურობა გადაწყვიტა. ამ 7 კვირიანმა მოგზაურობამ

მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ტანზანიაში ყოფნისას იგი შეხვდა ბრიტანელ ანთროპოლოგებს, მარი და ლუსი ლიკებს. მათ სჯეროდათ, რომ გორილების შესწავლა ადამიანის მოდგმის შესწავლისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. მათ დაიწყეს კვლევების ჩატარება, მაგრამ სამწუხაროდ, ფოსიმ ფეხის ტრავმა მიიღო და ექვდიცია ვეღარ გააგრძელა. მას აშშ-ში დაბრუნება მოუხდა.

1966 წელს დაიანა National Geography - ის დახმარებით კვლავ დაბრუნდა აფრიკაში და და გორილების შესწავლა ამჯერად აქტიურად დაიწყო. იგი ქმნის კვლევით ცენტრს ვირუნგის მთებში, ზღვის დონიდან 3000 მეტრის სიმაღლეზე. იმ დროისათვის, ამ მიდამოებში ბინადრობდა მთელ მსოფლიოში დარჩენილი 700 უკანასკნელი გორილა. ის არა მხოლოდ სწავლობდა გორილების ცხოვრებას, არამედ თვითონ ცხოვრობდა მათთან ერთად. ეს საკმაოდ საშიში იყო, რადგან ნებისმიერ ზრდასრულ გორილას შეეძლო მისი მოკვლა. თანდათან გორილებმა მიიღეს და შეეჩვივნ მას. დაიანი გორილების საუკეთესო მეგობარი გახდა. მან 18 წელი გაატარა ვირუნგის მთების კვლევით ცენტრში.

1977 წლის ახალი წლის ღამეს, ფოსის საყვარელი გორილა „დიჯიტი“ ბრაკონიერებმა მოკლეს. მოგვიანებით დაიანამ „დიჯიტი“-ს ფონდი შექმნა, სადაც ფულს აგროვებდა ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დაიანა თავის კოლეგებთან აქტიურად იბრძოდა გორილების დასაცავად; ისინი ანადგურებდნენ ბრაკონიერების მიერ დაგებული მახეებს, წვავდნენ მათ სამონადირეო ბანაკებს. ამან გარკვეული დროით შეაჩერა მიდამოებში ბრაკონიერობა. ფოსი ასევე დაუღალავად თხოვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კანონის გამკაცრებას და მხარდაჭერას. ფოსის თავისი სიმამაცისა და შეუპოვრობის გამო უამრავი მტერი ყავდა. იგი 1985 წლის 27 დეკემბერს მოკლეს. მკვლელის ვინაობა დღემდე უცნობია.

ეს მისი დღიურიდან უკანასკნელი ჩანაწერია: „როდესაც სიცოცხლის მნიშვნელობას ხვდები, აღარ ჩერდები წარსულზე და კონცენტრირებას მომავლის დაცვაზე აკეთებ.“ დაიანა დაკრძალულია სასაფლაოზე, სადაც მის გვერდით მისი საყვარელი გორილა „დიჯიტი“ და სხვა ბევრი გორილაა დასაფლავებული.

დაიანას მოღვაწეობის წყალობით გახდა შესაძლებელი მთის გორილების ჯიშის გადაშენებისგან გადარჩენა. მისი ყოფილი თანამშრომლების სიტყვებით: „რომ არა დაიან ფოსი, მთის გორილები დღეს აღარ იარსებებდნენ“.

წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Dian_Fossey

საპარტიზო 4: ადამიანის სულის სიძლიერე

სამუშაო ფურცელი „ბ“

ფრანცისკო პინედა



ფრანცისკო პინედა ფერმერია; ამასთან, კაბანას გარემოს დაცვის კომიტეტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მან თავის თანასოფლელებთან ერთად ბევრი იბრძოლა ნაგავსაყრელის არსებობის წინააღმდეგ, რომელიც აბინძურებდა ადგილობრივ წყლებს. ელ-სალვადორის სოფლების მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ფერმერებისთვის წყალი, ოქროზე ძვირად ფასობს. ქვეყანაში სარწყავი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, შესაბამისად, მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებულია ახლომდებარე წყლის ობიექტებზე, რათა შეინარჩუნონ საკუთარი ნახნავ-ნათესები მიუხედავად ამისა, ქვეყანაში წყლის ობიექტების 90% დაბინძურებულია.

სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ხშირად ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში. ქვეყნის ბუნებრივი წყლის რესურსების მხოლოდ 3% არის სუფთა. ელ-სალვადორის ყველაზე გრძელი მდინარე, რიო-ლემპა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მიედინება, დაახლოებით 4 მილიონი მოსახლეობისთვის წყლის უმნიშვნელოვანესი რესურსია. წყალმომარაგების ყველაზე დიდ საფრთხეს ოქროს მოპოვება წარმოადგენს.

მაღაროებში ოქროსა და ვერცხლის მოპოვება აბინძურებს ახლომდებარე მდინარეებს და გრუნტის წყლებს. კანადის უმსხვილესმა სამთო მომპოვებელმა კომპანიამ „Pacific Rim“, 2002 წელს დაიწყო ვერცხლისა და ოქროს მოპოვება კაბანას საბადოებში. იმ ეტაპზე რეგიონის ტყეების და რიო-ლემპასთვის მიყენებული ზიანის შედეგებთან დაკავშირებულ შემფოთებას ქვეყნის მთავრობამ იგნორირება გაუკეთა. თანამდებობის პირები აცხადებდნენ, რომ დასაქმების და განვითარების შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გარემოსთვის მიყენებული პოტენციური ზიანი. პინედამ და მისმა თანამოაზრეებმა აღმოაჩინეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო სათანადოდ ინფორმირებული შესაძლო შედეგების თაობაზე. მათ დააარსეს სახალხო მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა საბადოს მუშაობის შეჩერებას.

პინედას თაოსნობით ჩამოყალიბებული მოძრაობა სულ უფრო ფართოვდებოდა და მოიცავდა 450-ზე მეტ წევრს; ისინი აწყობდნენ დემონსტრაციებს, საჯაროდ გამოდიოდნენ კომპანიის მუშაობის წინააღმდეგ. სწორედ პინედას ძალისხმევით შედეგად მთავრობამ საბოლოოდ არ დაართო ნება „Pacific Rim“-ის საბადოს მუშაობას. თუმცა ეს გამარჯვება შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს, რადგან „Pacific Rim“-მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვს 100 მილიონი დოლარის ანაზღაურებას იმის გამო, რომ ელ-სალვადორმა კომპანიის გაკოტრების მიზნით ხელშეკრულება დაარღვია.

2009 წელს პინედას ოთხი თანამებრძოლი მოკლეს. დღეისათვის პინედა პოლიციის 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მან პირობა დადო, რომ განაგრძობს ბრძოლას, რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს.

წყარო: <http://www.goldmanprize.org/2011/southcentralamerica>

სავარჯიშო 4: ადამიანის სულის სიძლიერე სამუშაო ფურცელი „გ“

უანგარი მათაი



უანგარი მათაი კენიელი საზოგადო მოღვაწე. უანგარი მათაი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მფლობელი პირველი აფრიკელი ქალბატონია. ნობელის პრემია მან გარემოს დაცვისა და სოციალური აქტივიზმისთვის 2004 წელს მიიღო. იგი 1940 წელს დაიბადა კენიაში. ამერიკაში, პიტსბურგის უნივერსიტეტში განათლების მიღების შემდეგ, დაბრუნდა კენიაში, სადაც, ნაირობის უნივერსიტეტში დანიშნეს სამეცნიერო მკვლევარის პოზიციაზე. 1971 წელს, ის გახლდათ პირველი ქალი აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, რომელმაც დოქტორის ხარისხი მიიღო. სამეცნიერო მოღვა-

წეობასთან ერთად მათაი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ და სამოქალაქო საქმიანობაში. 1973 წელს ის კენიის წითელ ჯვარს ხელმძღვანელობდა; გარდა ამისა, იყო კენიის პარლამენტის წევრიც. კენიის ყველაზე ცნობილი აქტივისტმა გარემოს შენარჩუნებისა და მმართველობის გაუმჯობესებისთვის მასშტაბური კამპანია 1977 წლიდან დაიწყო - მას შემდეგ, რაც მოძრაობა "მწვანე სარტყელი" დააარსა. შექმნის დღიდან, ორგანიზაციამ აქტივისტების მობილიზება და აფრიკის ტერიტორიაზე 30 მილიონი ხის დარგვა მოახერხა. მათაი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში ცენტრალური აფრიკის მსოფლიოში სიდიდით მეორე ტროპიკული ტყის გადასარჩენად. იგი ასევე იბრძოდა კენიაში დემოკრატიის დამყარებისათვის. აქტივისტობის წლებში სამჯერ თავდასხმის მსხვერპლიც გახდა. მათაიმ ჩამოაყალიბა „მოძრაობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის“. 2003 წელს, იგი კენიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მინისტრის თანამშემწედ დაინიშნა, სადაც მსახურობდა 2005 წლის ნოემბრამდე. 2004 წელს მან ნობელის პრემია გარემოს დაცვისა და სოციალური აქტივიზმისთვის მიიღო. უანგარი მათაი დაიღუპა 2011 წლის 25 სექტემბერს.

წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Wangari_Maathai

საპარტიო 4: ადამიანის სულის სიძლიერე

სამუშაო ფურცელი „დ“

ნიკოლას ვინტონი



ნიკოლას ვინტონი ადამიანი, რომელმაც ნაცისტების მიერ ოკუპირებული ყოფილი ჩეხოსლოვაკიიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, 669 ბავშვი გამოიყვანა. მათი უმრავლესობა ებრაელები იყვნენ. ვინტონი 1909 წელს ლონდონში, გერმანელი ებრაელების ოჯახში დაიბადა. იგი 1923 წელს სტოუს სკოლაში შევიდა სასწავლებლად. თუმცა სწავლა მალე მიატოვა და მოხალისედ დაიწყო მუშაობა მიდლენდის ბანკში; პარალელურად ღამის სკოლაში დადიოდა. რამდენიმე წლის შემდეგ ის ჰამბურგში, გერმანიაში გაემგზავრა, სადაც სხვადასხვა ბანკებში მუშაობდა.

1931 წელს ის საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. ვინტონმა აიმაღლა კვალიფიკაცია პარიზის ერთ-ერთ ცნობილ ბანკში მუშაობის შედეგად და რამდენიმე წლის შემდეგ ლონდონში დაბრუნდა, სადაც ბროკერად მუშაობდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. 1938 წლის ზამთარში ვინტონი დასასვენებლად შვეიცარიაში აპირებდა წასვლას, მაგრამ ამის ნაცვლად გადაწყვიტა პრაღაში, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში წასულიყო თავისი მეგობრის დასახმარებლად, რომელიც ამ დროს ებრაელ დევნილებთან მუშაობდა. იქ ჩასვლისას ვინტონი თვითონ აცალიბებს ორგანიზაციას, რომელიც ებრაელ ბავშვებს ნაცისტებისგან დაცავდა.

1938 წლის ნოემბერში, „ბროლის ღამის“ შემდეგ (1938 წლის 9-10 ნოემბრის ღამეს, გერმანია, ანტისემიტურმა ისტერიამ მოიცვა. დაიწყო ებრაელთა სინაგოგებისა და მაღაზიების მასობრივი გაჩანაგება. ეს ღამე, გერმანიის ქალაქებში მოფენილი მინის ნამსხვრევების გამო, ისტორიაში, შევიდა სახელწოდებით - “ბროლის ღამე”) ინგლისის ლორდთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელის მიხედვით, ნებისმიერ 17 წლამდე ასაკის ადამიანს ქონდა დიდ ბრიტანეთში გამგზავრების უფლება, იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი ექნებოდა საცხოვრებელი ადგილი და 50 ფუნტი სტერლინგი მშობლიურ ქვეყანაში დასაბრუნებელი ხარჯების დასაფარად. ვინტონმა შეძლო 669 ბავშვის საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა. მათი უმრავლესობის მშობლები ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპნენ.

ვინტონი მრავალი წლის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა ამბავს თავისი გმირობის შესახებ, ვიდრე 1988 წელს მისმა მეუღლემ, შემთხვევით სახლის სხვენში არ აღმოაჩინა მისი ჩანაწერები. ჩანაწერები მოიცავდა ბავშვების სიას, მათი მშობლების სახელებს, იმ ოჯახების მისამართებს და გვარებს, რომლებმაც ისინი შეიკედლეს. ამ მისამართებზე გაგზავნილი წერილების მეშვეობით 80-მდე „ვინტონის ბავშვი“-ს მოძებნა გახდა შესაძლებელი ბრიტანეთში. მსოფლიოსთვის მისი გმირობის შესახებ 1988 წელს გახდა ცნობილი, როდესაც იგი BBC-ს სატელევიზიო გადაცემაში მიიწვიეს. გადაცემაში აჩვენეს ვინტონის ჩანაწერები. შემდეგ, გადაცემის წამყვანმა აუდიტორიას მიმართა, იყვნენ თუ არა დარბაზში ადამიანები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს ვინტონს უნდა უმადლოდნენ და თხოვა მათ ფეხზე წამოდგარიყვნენ. დარბაზში 20-ზე მეტი ადამიანი წამოდგა ფეხზე და ყვავილებითა და აპლოდისმენტებით ვინტონის გარშემო მოგროვდა. ვინტონი დაჯილდოებულია არაერთი მნიშვნელოვანი ორდენით, მათ შორის რაინდის წოდებით და ბრიტანეთის სიამაყის ჯილდოთი ცხოვრებაში გაწეული დიდი ღვაწლისთვის. 2008 წელს ჩეხეთის მთავრობის ინიციატივით ვინტონი ნომინირებული იყო ნობელის მშვიდობის პრემიაზე. ვინტონი დღეს 104 წლისაა და ლონდონში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Nicholas_Winton

ბავშვთა უფლებები

ჰაბიბოლა

კრისტელ ვორნი / ნიდრელანდები / 2010 / 3წთ.



15 წლის ჰაბიბოლა წარმოშობით ავღანეთიდანაა. იგი წელიწადზე მეტია, რაც ჰოლანდიაში, ლტოლვილთა თავშესაფარში ცხოვრობს. მისი ოცნებაა ისწავლოს და მზადაა ყველა გამოწვევის დასაძლევად. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მან ლტოლვილის სტატუსი უნდა მიიღოს. ჰაბიბოლას ენატრება თავისი სამშობლო, მაგრამ იცის, რომ სახლში დაბრუნება არ შეუძლია... ავღანეთში არაერთხელ შეეცადნენ მისი მამის მოკვლას.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემა: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: მიგრაცია, ლტოლვილები

1. რა არის თავშესაფარი?

თავშესაფარი - ახალი ტერმინია და ნიშნავს „საერთაშორისო დაცვას“ - იგი უზრუნველყოფს იმ ადამიანების დაცვას, რომლებსაც სერიოზული მიზეზების გამო უხდებათ მშობლიური ქვეყნის დატოვება. ქვეყნებს, რომლებიც ლტოლვილებს დაცვას სთავაზობენ, მიმღებ ქვეყნებს უწოდებენ. ლტოლვილთა უმრავლესობა მეზობელ ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. ხშირად ისინი ლტოლვილთა მიმღებ ცენტრებში (თავშესაფარის მაძიებელთათვის დროებითი განთავსების ადგილი) ცხოვრობენ და ელოდებიან საკუთარ სამშობლოში მდგომარეობის გაუმჯობესებას, რათა შეძლონ უკან უსაფრთხოდ დაბრუნება.

2. ვინ იღებს ლტოლვილის სტატუსს და რის საფუძველზე ანიჭებენ მას?

თავშესაფარის მაძიებელი პირისთვის სტატუსის მინიჭების პირობები განსხვავებულია და განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ადგილობრივი კანონმდებლობით. თავშესაფარის მოპოვების გზით მიმღებ ქვეყანაში დამკვიდრება, ძირითადად, წარმოებს ლტოლვილთა სპეციალური პროგრამის საფუძველზე გაეროს 1951 წლის კონვენციის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და 1967 წლის ოქმის თანახმად.

კონვენცია ტერმინის „ლტოლვილი“ დეფინიციას ახდენს და აცალიბებს იმ ადამიანების ძირითად უფლებებს, რომლებსაც თავისი ქვეყნის დატოვება მოუხდათ. იგი მოიცავს რელიგიის თავისუფლების, დასაქმების, განათლების უფლებას და ა.შ.

იმისათვის რომ, უცხო ქვეყანაში თავშესაფარი, ანუ ლტოლვილის სტატუსი მიიღოთ, საჭიროა დაასაბუთოთ, რომ თქვენს ქვეყანაში დაბრუნება თქვენი სიცოცხლისათვის საშიშია, რადგან სამშობლოში იდენებით პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური აღმსარებლობის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის ან რომელიმე სოციალური ჯგუფის მიკუთვნების გამო. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება,

რომ დევნა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უნდა ხორციელდებოდეს. მაგალითად, თუ თქვენი მეზობლები ან ახლობლები ცუდი თვალთვლით გიყურებენ, ან გავიწროებენ რომელიმე ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, გამოსავალი, პირველ რიგში, სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვაა.

შენიშვნა: მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები და უმუშევრობა არ არის საკმარისი საფუძველი უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მოსათხოვნად.

ხშირად ადამიანები სწორედ ამ უკანასკნელის გამო ტოვებენ საკუთარ ქვეყანას და დასაქმების მიზნით უცხო ქვეყანაში მიდიან. რთულია შრომითი მიგრანტის და ლტოლვილის ერთმანეთისგან განსხვავება, განსაკუთრებით, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ხშირად შრომითი მიგრანტები უსაფრთხოებისთვის ლტოლვილის სტატუსს ითხოვენ. თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ თითოეული განაცხადი ინდივიდუალურად განიხილება. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ადამიანთა ჯგუფის უეცარი, მასობრივი გადასახლება, რომელიც მაგალითად, უკავშირდება ეთნიკურ კონფლიქტს, შეუძლებელია განაცხადების ინდივიდუალური განხილვა. ასეთ დროს, ქვეყანაში თავშესაფარი ადამიანთა მთელ ჯგუფს უნდა მიეცეს.

3. რა ბედი ეწევთ იმ ადამიანებს ვისაც ლტოლვილის სტატუსს არ ანიჭებენ?

თავშესაფრის მაძიებლებს უფლება აქვთ დარჩნენ მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე იქამდე, ვიდრე არ წარადგენენ საჭირო დოკუმენტაციას, რომელიც მათი დარჩენის ლეგალიზაციას მოახდენს. სინამდვილეში, ხშირად ადამიანები რჩებიან უცხო ქვეყანაში საჭირო საბუთების გარეშე, არალეგალურად. ამ შემთხვევაში ადამიანი იქცევა ე.წ. არალეგალ მიგრანტად, რომელსაც თუ დააკავებენ, ქვეყნიდან გაძევების საფრთხე ემუქრება.

4. არიან თუ არა არალეგალი მიგრანტები დასაქმებული? რა სფეროებში არიან დასაქმებული ისინი?

არალეგალი მიგრანტები უმეტესად დასაქმებული არიან ისეთ სამუშაოზე, სადაც კვალიფიკაცია არაა საჭირო. მაგალითად, მშენებლობა, ფაბრიკა-ქარხნები, პლანტაციები ან დალაგება-დასუფთავება.

დამსაქმებლები ქირობენ არალეგალ, იაფ მუშახელს თავისი ხარჯების შემცირების მიზნით. ამ გზით, ისინი ცდილობენ, თავი აარიდონ სავალდებულო სოციალურ გადასახადებს და შედარებით დაბალ ანაზღაურებას სთავაზობენ დაქირავებულ მუშახელს.

5. აქვთ თუ არალეგალ შრომით მიგრანტებს იგივე უფლებები, რაც ლეგალურად დასაქმებულ ადამიანებს?

უცხო ქვეყანაში არალეგალურად დასაქმებულ მიგრანტებს საკუთარი უფლებების დაცვის ძალიან მცირე შესაძლებლობები აქვთ. მაგალითად, როდესაც დამსაქმებელი არ იხდის წინასწარ შეთანხმებულ ხელფასს ან არ უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სათანადო პირობებს, დაზიანებების ან ჯანმრთელობის პრობლემების დროს. არალეგალი მიგრანტები, როგორც წესი, არ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით. მეტიც, ისინი საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობენ და მუდმივად შფოთავენ იმაზე, რომ არ გაიგონ მათი სტატუსის შესახებ და ქვეყანა არ დაატოვებინონ. არალეგალი მიგრანტები საკმაოდ დაუცველნი არიან. ისინი შესაძლოა ადამიანებით მოვაჭრეების ხელშიც აღმოჩნდნენ.

საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, არალეგალი მიგრანტების შვილებს უფლება აქვთ მიიღონ დაწყებითი განათლება და სკოლის ადმინისტრაციამ არ უნდა აცნობოს მათი არალეგალური მდგომარეობის შესახებ პოლიციას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.parliament.ge/newsletter/2012/10.01.2012/kanon/5370-lls.htm>

სავარჯიშო 1: არასდროს დამავიწყდება

რეფლექსია

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, მიგრაცია, ლტოლვილები

სასწავლო მიზნები:

- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 15 წუთი

რესურსები: ფურცლები, საწერი კალმები

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს მოკლედ (1-2 წინადადებაში) დაწერონ მათთვის ყველაზე შთაბეჭდავი სცენები ფილმიდან.
- მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად და ავალეს ჯგუფებში განიხილონ თავისი მოსაზრებები მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ საკუთარი არჩევანი.

ასახვა/ მსჯელობა:

დისკუსიის დროს მოსწავლეები საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამენ. მასწავლებელი ეკითხება მათ: რა გრძნობები პოზიტიური/ნეგატიური გამოიწვია ფილმმა მათში? რატომ აირჩიეს ესა თუ ის სცენა? იყო თუ არა მათთვის ახალი ფილმში წარმოდგენილი თემა? და ა.შ.

სავარჯიშო 2: სურვილები და ოცნებები

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, მიგრაცია

სასწავლო მიზნები:

- გაიაზროთ ბავშვისთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობების არსებობის მნიშვნელობა
- ცხოვრებისეული სირთულეების გადაწყვეტისთვის შესაძლო სტრატეგიების ფორმულირება
- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 30-45 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცელი N15 ყველა მოსწავლისთვის

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეებმა განსაზღვრული დროის განმავლობაში ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ სამუშაო ფურცელში მოცემულ N3 საკითხზე. შემდეგ მასწავლებელი დაყოფს მათ ჯგუფებად, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს. ისინი მსჯელობენ ჯგუფებში, უსვამენ ერთმანეთს კითხვებს, გამოთქვამენ შენიშვნებს და საბოლოოდ ერთობლივად ჩამოაყალიბებენ N3 კითხვის პასუხებს.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის შეჯამებისას შესაძლებელია წარმოდგენილი ოცნებებისგან ერთობლივად ჩამოაყალიბონ მთელი კლასისთვის საერთო სამი ოცნება. იმსჯელონ რა ოცნებები აქვთ სხვადასხვა სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, რა განსხვავებაა ან მსგავსება მათსა და ფილმში წარმოდგენილი პერსონაჟის ოცნებებს შორის, რა არის ამის მიზეზი? როგორ შეუძლია ფილმის გმირს აისრულოს საკუთარი ოცნებები. სასურველია, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს იმ მომენტებს შეახსენებს ფილმიდან, სადაც ბავშვთა უფლებები ირღვევა.

სავარჯიშო 2: სურვილები და ოცნებები

სამუშაო ფურცელი N15

სურვილები და ოცნებები

ჰაბიბოლა, ფილმის მთავარი პერსონაჟი, 400 სხვა ადამიანთან ერთად ცხოვრობს ტყეში მდებარე ლტოლვილთა თავშესაფარში. მისი ოჯახი იძულებული იყო დაეტოვებინა ავღანეთი. ჰაბიბოლას მამას ამჯამადაც ემუქრება მოკვლის საშიშროება.

- 1) დაწერეთ ყველაზე მეტად რა ენატრებოდა და რა სურვილები ქონდა ფილმის გმირს?
- 2) თქვენ რომ იცნობდეთ მსგავს სიტუაციაში მყოფ ბავშვს რას გააკეთებდით? ვის მიმართავდით დახმარებისთვის?
- 3) ჩამოწერეთ თქვენი სურვილები და ოცნებები, შემდეგ ჯგუფებში ისაუბრეთ თქვენს ოცნებებზე
- 4) შეადარეთ ჯგუფის წევრების და თქვენი ნამუშევრები, შეაჯერეთ ისინი და მონახეთ კონსესუსი სამი საერთო ოცნების შესახებ.

ბავშვთა უფლებები

ანნა

აიფერ ერგუნ / ნიდერლანდები / 2010 / 4წთ.



„მე არ მომწონს ეს სამუშაო, იმიტომ რომ ადამიანები ხშირად მიყვირიან, ხანდახან მცემენ კიდევ“ ამბობს 9 წლის ანნა ალბანეთიდან. ყოველ დღე სკოლაში სიარულის ნაცვლად ის დროს ქუჩაში, გადატვირთულ მოძრაობაში ატარებს და მანქანების საქარე მინებს წმენდს. დროთა განმავლობაში მან შეამჩნია, რომ თუ მძღოლებს უღიმის უფრო მეტ ფულს აძლევენ; კაცები უფრო ხელგამლილები არიან, ვიდრე ქალები. ანნა კმაყოფილია, თუ დღეში 3 ევროს იშოვნის. იცის, რომ ამ თანხით მისი მშობლები შეძლებენ საკვები შეიძინონ.

საბავშვო ინფორმაცია

ძირითადი თემები: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: ბავშვთა შრომა, განათლების უფლება

1. რა უფლებები აქვთ ბავშვებს?

ბავშვთა უფლებების შესახებ მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს ბავშვის უფლებების კონვენცია. სრული სახით მისი ნახვა შესაძლებელია გაეროს ბავშვთა ფონდის ვებ-გვერდზე (http://www.unicef.org/georgia/CRC_child_friendly-resized.pdf) კონვენცია პირველი სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი ნორმაა, რომელიც ბავშვის უფლებებს ეხება და განსაზღვრავს მათ მთელს მსოფლიოში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. იგი ძალაში 1990 წლის 2 სექტემბრიდან შევიდა. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი შეეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს - ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადამიანების მოვალეობებს. 43-54 მუხლებში კი საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

კონვენციას მიერთებულია 193 ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებმა აიღეს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წლის 21 აპრილს შეუერთდა.

ბავშვის ოთხი ძირითადი უფლება:

ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულება 18 წელი, ითვლება ბავშვად.

სიცოცხლის ხელშეუხებლობის უფლება - მოიცავს სიცოცხლის, ბავშვისთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობების, კვების და ჯანმრთელობაზე ზრუნვის უფლებებს.

პიროვნული განვითარების უფლება - გულისხმობს განათლების, აზრის თავისუფლად გამოხატვის და გაზიარების, რწმენის თავისუფლების, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომის უფლებებს; ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

დაცვის უფლება - გულისხმობს ბავშვის დაცვას მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობისგან: ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა, შეურაცხყოფა, დაუდევარი მოპყრობა, უხეში მოქცევა თუ ექსპლუატაცია.

მონაწილეობის უფლება - ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და გამოხატოს თავისი პოზიცია საკითხებზე, რომელიც გავლენას ახდენენ მის ცხოვრებაზე.

2. დაშვებულია თუ არა ბავშვთა შრომა?

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის შრომა 14 წლის ასაკამდე აკრძალულია. მიუხედავად ამისა, რეალობა ხშირად განსხვავებულია და აღნიშნული კონვენციის ხელმძღვანელ სახელმწიფოებს შორის არის ისეთი ქვეყნები, სადაც ბავშვთა შრომა ჯერ კიდევ გვეხვება მოვლენად ითვლება (პაკისტანი, ნიგერია). მაგალითად, ინდოეთში ბავშვთა შრომაზე აკრძალვა ძალაშია ათწლეულების განმავლობაში, თუმცა გარკვეული მონაცემების თანახმად, ქვეყანაში დაახლოებით 100 მილიონზე მეტი ბავშვი მუშაობს სკოლაში სიარულის ნაცვლად. განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს ხელოვნება, კულტურა, სპორტი ან სარეკლამო საქმიანობა, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო კანონით გათვალისწინებულ შრომის პირობებს. საქმიანობა შესაფერისი უნდა იყოს ბავშვის ასაკისთვის; არ უნდა წარმოადგენდეს მისთვის საფრთხის შემცველს, ხელი არ უნდა შეუშალოს ბავშვს განათლების მიღებაში, სკოლაში სიარულში ან სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობაში. ამასთან, მან ზიანი არ უნდა მოაყენოს ბავშვის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

3. ბავშვთა შრომის გავრცელებული სახეები

ბავშვების დაახლოებით 70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობის დარგში. ისინი ასევე მუშაობენ მრეწველობის დარგში, ხშირად საკმაოდ მძიმე და საფრთხის შემცველ პირობებში. მომსახურების სფეროში: პატარა გოგონები და ბიჭები მუშაობენ რესტორნებში, სასტუმროებში. ბევრი ქუჩაში მუშაობს: გამყიდველად, ფეხსაცმელების მწმენდავად, დამლაგებლად. ოფიციალურად დასაქმებულია ბავშვების მხოლოდ 5%. უმეტესად ბავშვების დასქამება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ხდება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შესაბამის ანაზღაურების და ღირსეულ მოპყრობას.

სამწუხაროდ, ბავშვები ხშირად იმდენად მძიმე პირობებში მუშაობენ, რომ ბევრ ქვეყანაში არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ ქალებსაც კი ეკრძალებათ ასეთ პირობებში მუშაობა. 11 წლის ასაკზე ნაკლები, 50 მილიონზე მეტი ბავშვს მუშაობა უხდება ისეთ გარემოში, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას; მათ უწევთ მძიმე ტვირთის ზიდვა, ქვის კარიერებზე მუშაობა, ნაგავსაყრელებზე ნაგვის მოგროვება და ა.შ. ხშირად ისინი სერიოზულ და სასიკვდილო დაზიანებებს ღებულობენ. ყოველწლიურად დაახლოებით 22 000 ბავშვი კვდება სამუშაო ადგილებზე მიღებული დაზიანებების შედეგად.

4. რა არის ბავშვთა შრომის გამომწვევი მიზეზები?

მთავარი მიზეზია სიღარიბე. ბავშვთა შრომის შედეგად გამომწვევად მუშაობის ანაზღაურების გარეშე მრავალი ოჯახი ვერ გადაარჩებოდა ღარიბ ქვეყნებში. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება ბავშვთა შრომის აკრძალვით, მაგრამ მნიშვნელოვანია გარკვეული ნაბიჯები იქნეს გადადგმული სიღარიბის დასაძლევად იმ

ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია ბავშვთა შრომა.

5. რა შედეგები მოაქვს შრომას ბავშვობის ასაკში?

შრომა ხელს უშლის ბავშვს მიიღოს სრულფასოვანი განათლება და ნეგატიურ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე, ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებაზე. თუ ბავშვს არ აქვს განათლება, ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს მის სამომავლო დასაქმების პერსპექტივებს.

ამსთან, ბავშვობა ყოველი ინდივიდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპია. თამაშის და მიბაძვის გზით ბავშვი სწავლობს ურთიერთობას, თანამშრომლობას და თანდათანობით ირგებს ცხოვრებისეულ როლებს. უმნიშვნელოვანესია ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ადრეულ ასაკში უხდება შრომა, ის „ტოვებს“ განვითარების ამ ეტაპს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მისი თვით-კონცეფციის და ცხოვრებისეული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებზე. არანაკლებ გასათვალისწინებელია სამუშაო პირობებიც, სადაც ბავშვები მუშაობენ. ხშირად დამსაქმებლები სათანადოდ არ უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო პირობებს. ეს საშიშროებას უქმნის ბავშვებს მიიღონ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები, რის გამოც შესაძლებელია მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებად იქცნენ.

6. რამდენად განსხვავდება ბავშვთა შრომა საოჯახო საქმეებში მშობლების დახმარებისგან?

საოჯახო საქმეებში მშობლების რეგულარული დახმარება საყოფაცხოვრებო თანაარსებობის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. ამის საწინააღმდეგოდ, ტერმინი „ბავშვთა შრომა“ იხმარება მაშინ, როდესაც ბავშვები იძულებული არიან იმუშაონ ცუდი საცხოვრებელი პირობების და ანაზღაურების გამო, რომელიც მათთვის და მათი ოჯახებისთვის ძირითადი საარსებო წყაროა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ბავშვთა შრომას განსაზღვრავს, როგორც ბავშვების ისეთ ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, ან ხელს უშლის მიიღონ სისტემატური და რეგულარული განათლება. იგულისხმება ნებისმიერი სახის შრომა 12 წლის ასაკამდე, მძიმე შრომა 12-14 წლის ასაკის ბავშვებისთვის და შრომის უმძიმესი ფორმები ბავშვის ასაკის განურჩევლად.

სავარჯიშო 1: გორგალი

რეფლექსია

ასაკი: 10+

შესაბამისი თემა: ბავშვის უფლებები

სასწავლო მიზნები:

- გამოვხატოთ ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილებები
- გავაცნობიეროთ კლასში არსებული ურთიერთობები

დრო: 10 წუთი

რესურსები:

საქსოვი ძაფის გორგალი

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეები წრეზე სხდებიან.
- მასწავლებელი აჩვენებს კლასს საქსოვი ძაფის გორგალს და უხსნის თამაშის წესებს: ძაფის გორგალი ბურთის მსგავსად ერთმანეთს უნდა გადაუგდონ. მოსწავლემ, რომელიც გორგალს დაიჭერს, უნდა დაასახელოს ფილმის ნახვის შემდეგ რა გრძნობა დაეუფლა, ან რა იყო მისთვის მნიშვნელოვანი და გორგალი გადაუგდოს სხვას, ისე, რომ ძაფის ბოლოს ხელი არ გაუშვას.
- ასე მეორდება მანამ, სანამ თითოეული მოსწავლე არ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, შესაძლებელია, ერთიდაიგივე მოსწავლემ რამდენჯერმე უბასუხოს.

ამდენად, გორგალის გათამაშებით მოსწავლეებს შორის იქმნება ძაფის ქსელი.

შენიშვნა: აქტივობა ეხმარება მასწავლებელს კლასში არსებული ურთიერთობების გამოვლენაში. მასწავლებელი აკვირდება თუ რომელ ბავშვს უგდებენ ძაფის გორგალს განმეორებით, ვისთვის არ გადაუგდიათ საერთოდ და ცდილობს ყველა მოსწავლე თანაბრად ჩართოს თამაშში.

ასახვა/ მსჯელობა:

მსჯელობას ადგილი აქვს მთელი აქვს მთელი აქტივობის განმავლობაში. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გორგალის გათამაშებით შექმნილმა ძაფის ქსელმა, თითოეული ბავშვი ერთმანეთთან დააკავშირა.

საპარტიზო 2: ნებადართული – აკრძალული

ასაკი: 11+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა შრომა

სასწავლო მიზნები:

- გავიზოროთ რა სახის სამუშაო შეიძლება იქნეს შესრულებული ბავშვების მიერ და რა სახის არა
- გავაცნოთ მოსწავლეებს ბავშვთა უფლებები
- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 15 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N 15 - ბარათები ცხოვრებისეული სიტუაციების ამსახველი მაგალითებით; მასწავლებელი სამუშაო ფურცელს წინასწარ ყოფს ნაწილებად - თითოეული ჯგუფისთვის 1 ბარათი.

აქტივობის აღწერა:

- ასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად (4–5 მოსწავლე) და ურიგებს მათ ბარათებს.
- მოცემული სიტუაციების საფუძველზე, ჯგუფებმა 5 წუთში უნდა მოიფიქრონ მარტივი ისტორია, რომელიც იქნება ბარათზე მოცემული ამბის გაგრძელება.
- მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ ამბავს არ უნდა ქონდეს ბედნიერი დასასრული. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ყველა ჯგუფიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი გააკეთებს ჯგუფის მიერ შექმნილი ისტორიის პრეზენტაციას.
- პრეზენტაციების შემდეგ, მოსწავლეები დააფიქსირებენ თავის პოზიციას, მისცემდნენ თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში მოყვანილ ბავშვის პერსონაჟს კონკრეტული სამუშაოს შესრულების უფლებას.

ასახვა/მსჯელობა:

თითოეული მოსწავლის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას მოყვება ასახვა. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს თუ რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება. აქტივობის დასასრულს მასწავლებელი შეაჯამებს, თუ რატომ არ უნდა იმუშაონ ბავშვებმა და როგორი ცუდი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს უფროსებისთვის შესაფერისმა ამა თუ იმ სამუშაომ ბავშვებზე. მასწავლებელს შეუძლია მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები.
წყარო: Anti-slavery International: Our news, Our views. Thimas Clarkson House, 2004

საპარტიზო 2: ნებადართული – აკრძალული

სამუშაო ფურცელი N15

<p>12 წლის ბავშვს სურვილი აქვს დაეხმაროს თავის მეგობარს და მის დედას ხილ- ბოსტნეულის გაყიდვაში, შაბათობით გამართულ ფერმერების ბაზარზე. ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის ეს მიუღებელია, მეორე თვლის რომ ეს კარგი იდეაა.</p>	<p>მარტოხელა დედამ დაკარგა სამსახური. მისი 15 და 17 წლის შვილები სკოლის მოსწავლეები არიან. ორივეს აქვს კარგი აკადემიური მოსწრება, ბევრი ჰობი აქვთ და ყავთ მეგობრები. მაგრამ მათთვის აუცილებელია დაიწყონ მუშაობა, სულ მცირე ნახევარ განაკვეთზე მაინც, რომ რამენაირად დაეხმარონ საკუთარ ოჯახს.</p>
<p>მალაზიის მფლობელის ბავშვები დასვენების დღეებში მას მალაზიის საქმეებში ანაზღაურების გარეშე ეხმარებიან. მალაზიაში სულ უფრო მეტი საქმეა, რის გამოც მფლობელს უწევს საათობრივი ანაზღაურების საფუძველზე 15 წლის ბავშვის დაქირავება. მფლობელის შვილებსაც სურთ მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება.</p>	<p>მასწავლებელი სკოლაში იბარებს 14 წლის მოსწავლის მშობლებს, რათა აცნობოს, რომ მათი შვილი ყოველ დღით სკოლაში წასვლამდე, 6:30 საათზე, გაზეთებს არიგებს. გაკვეთილებზე ბავშვი დაღლილია და ხანდახან ეძინება კიდევ.</p>
<p>16 წლის ბიჭს სურს სწავლის მიტოვება და მუშაობის დაწყება, რათა მშობლებისგან დამოუკიდებელი გახდეს და გამოიმუშაოს საკუთარი ფული. მასწავლებელი და მშობლები ცდილობენ დაარწმუნონ, რომ სკოლა დაამთავროს.</p>	<p>15 წლის გოგო სკოლის შემდეგ ბარში დამლაგებლად მუშაობს, რაც მისმა მშობლებმა არ იციან. ბავშვი სამუშაოზე ცუდად ხდება, რის გამოც დამქირავებელი იძულებულია გოგო სახლში მიყვანოს და უხსნის მშობლებს რაც მოხდა.</p>
<p>3 არასრულწლოვან მეგობარს სურს პარასკევს კინოში წასვლა. ერთ-ერთ მათგანს არ აქვს საკმარისი ფული და სურს მეგობრისგან ისესხოს. მეორე შაბათ-კვირას ნახევარ განაკვეთზე მუშაობს, მესამეს კი აქვს ყოველთვიურად ჯიბის ფულს.</p>	<p>მშობლებს სურთ მათმა არასრულწლოვანმა გოგომ იზრუნოს პატარა ძმაზე; დაალაგოს სახლი და მოამზადოს სადილი ანაზღაურების გარეშე. გოგოს მიაჩნია, რომ ეს არ არის სამართლიანი მიდგომა და ფიქრობს, რომ ეს ისეთივე სამუშაოა, როგორც ყველა სხვა და უნდა იღებდეს საათობრივ ანაზღაურებას.</p>

ბავშვთა უფლებები

ალექსანდრა

მარიოლენ ბუნსტრა / ნიდერლანდები / 2010/ 3წთ.



ალექსანდრა ბოსნია-ხორვატიის საზღვართან ახლოს, პატარა სოფელში ცხოვრობს. სკოლის შემდეგ, იგი დროს უმეტეს ნაწილს შინაურ ცხოველებთან ატარებს. ალექსანდრა ადრე თავის ძმასთან - სიმონთან ერთად თამაშობდა. იმ დღემდე, როდესაც და-ძმამ მინდორში თამაშისას უცნაური, შავი საგანი არ იპოვნა. ალექსანდრამ უცნობი საგანი მიწიდან აიღო და ძმას მიაწოდა; იმავე წუთში დიდი აფეთქება მოხდა. საგანი აუფეთქებელი ხელყუმბარა აღმოჩნდა, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის შემდეგ ამ ტერიტორიაზე იყო დარჩენილი. ალექსანდრას ამ ტრაგიკული ინციდენტის შესახებ, რომელმაც მისი უმცროსი ძმის სიცოცხლე შეიწირა, დღემდე არავისთან არ სურს საუბარი.

საბავშვო ინფორმაცია

ძირითადი თემა: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: კონფლიქტები, უსაფრთხოება

1. რა არის კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზები?

კონფლიქტების წარმოქმნის მიზეზები მრავალფეროვანია. მათ შორის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. შეიარაღებული კონფლიქტების საფუძველს ხშირად უსამართლობის განცდა და მისი გამოსწორების მცდელობა წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სხვებზე უპირატესობის განცდა, მმართველობის და ძალაუფლების სურვილი.

მნიშვნელოვან ფაქტორს შიში წარმოადგენს (მომავლის შიში). ასეთ სიტუაციაში ადამიანები დიდ რისკზე მიდიან, რის გამოც შეიძლება მოხდეს ძალადობის უეცარი გამოვლენა. შესაძლებელია კონფლიქტის მიზეზი გახდეს მმართველი რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკა ან უცხო შეიარაღებული ჯარების შემოჭრა და ა.შ. კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე ყველა დროში არსებობს. უთანხმოება შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ კონფლიქტში და გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

2. როგორია შეიარაღებული კონფლიქტების სტატისტიკა?

ტერმინი „ომი“ გამოიყენება ისეთი კონფლიქტების აღსანიშნავად, რომელსაც წელიწადში 1000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ცივი ომის დასრულების შემდეგ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოში დაახლოებით 40 - მდე ომი წარმოიქმნა. ძირითადად, მეზობელ ქვეყნებს შორის. საქართველოს უახლეს ისტორიაში უკანასკნელი ომი 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის მოხდა. უკანასკნელ წლებში, ერთ-ერთ ყველაზე საზარელ ომს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში (1992-1995წწ.) 100 000-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა; 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა საკუთარი სახლები დატოვა და გაიხიზნა. კონგოს

დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებულ კონფლიქტს (1998-2003წწ.) დაახლოებით 3,8 მილიონი ადამიანი შეეწირა. თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოხდა რუანდაში (1994წ.), სადაც ადგილი ქონდა ეთნიკურ წმენდას; გენოციდის მსხვერპლი ძირითადად ტუტსის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები გახდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში, დაახლოებით 1 მილიონზე მეტი ადამიანი იქნა განადგურებული ჰუტუს ტომის ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ.

3. არის თუ არა ადამიანების ცალკეული ჯგუფების ურთიერთსიძულვილი კონფლიქტი გამომწვევი მიზეზი?

პირიქით - შუღლი და სიძულვილი კონფლიქტის შედეგია. თუმცა მას შეუძლია გაამწვავოს უთანხობა და ბიძგი მისცეს კონფლიქტის აღმოცენებას.

4. სად არის კონფლიქტის ფესვები?

შეიარაღებული კონფლიქტები მუდმივად თან სდევს ადამიანის არსებობას. არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, მიწადმოქმედების განვითარებამდე კონფლიქტები ასეთი ხშირი და მასშტაბური არ იყო. ადამიანის მიერ ცხოველების მოშინაურებასთან და მიწადმოქმედების აღმოცენებასთან ერთად, გაიზარდა კონფლიქტების რიცხვი. ამ დროს კონფლიქტები მიზნად ისახავდა ბუნებრივი რესურსების მოპოვებას და მიწების დასაკუთრებას. თანდათან დაიწყო სახელმწიფოების დაარსების და ცენტრალური ხელისუფლების დამკვიდრების პროცესი. შედეგად, განვითარებულმა და უფრო ძლიერმა საზოგადოებებმა მიითვისეს, დაიპყრეს ნაკლებად განვითარებული საზოგადოებების კუთვნილი მიწები და გააფართოვეს საკუთარი ტერიტორიები. ომები საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად არა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის, არამედ, ხშირად სახელმწიფოს შიგნითაც მიმდინარეობდა. ხშირი იყო სხვადასხვა სახის ამბოხებები, მაგალითად, გლეხები ჯანყდებოდნენ მაღალი გადასახადების გამო, მწყემსების კლანები ერთიანდებოდნენ და თავის მოთხოვნებს აყენებდნენ და ა.შ. ახალ დროში კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებამ საშუალება მისცა სახელმწიფოებს შეექმნათ და შეენახათ მუდმივმოქმედი ჯარი, რომელიც სახელმწიფოს დაიცავდა. სახელმწიფო სტრუქტურების, ეკონომიკის და შესაბამისი იდეოლოგიის შემდგომმა განვითარებამ, ხელი შეუწყო ომების უფრო ეფექტურად წარმოების მეთოდების და საშუალებების დახვეწას. თავის მხრივ ომებმა ხელი შეუწყო სახელმწიფოს მშენებლობას, ეკონომიკის განვითარებას და იდეოლოგიის გაძლიერებას. ამ პროცესმა თავისი განვითარების პიკს მიაღწია ორივე მსოფლიო ომის დროს; მათ დასაბამი დაუდეს სახელმწიფოების გაძლიერებას და ხელისუფლების ცენტრალიზებას. მოგვიანებით, საომარი ტექნოლოგიების განვითარებამ შედარებით შეაჩერა სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, რადგან ძალიან დიდი იყო მსხვერპლის რისკი. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს თანამედროვე ისტორიაში არაერთი კონფლიქტი აღმოცენდა. მათ სახელად უწოდეს „ახალი ომები“. „ახალ ომებს“ რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებს: მასმედიის საშუალებით მანიპულირება, თანამედროვე საომარი ტექნოლოგიები, ეკონომიკური სარგებლის მიღება კონფლიქტის შედეგად.

5. როგორია კონფლიქტის შედეგები?

კონფლიქტების შედეგები საკმაოდ მძიმეა. ყოველი კონფლიქტი როგორც წესი, ახალ რისკ-ფაქტორებს წარმოშობს. ბევრი „ახალი ომი“, რომელიც ძალიან სწრაფად აღმოცენდა სწორედ ამის შედეგია. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ნათელია: ეკონომიკური გაჭირვება იწვევს კონფლიქტის აღმოცენებას, კონფლიქტი თავისთავად ხელს უწყობს იარაღით უკანონო ვაჭორბას. უმეტესად „ახალი ომების“ შედეგია ცენტრალური ძალაუფლების დასუსტება ან დაშლა; მრეწველობის დაქვეითება, დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწები (რომელმაც შეიძლება შიმშილობა გამოიწვიოს) ეკონომიკის, სახელმწიფო სტრუქტურების და პოლიტიკის კრიმინალიზაცია და ა.შ. კონფლიქტებს მოაქვს მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლი, დევნილთა დიდი რაოდენობა. სამოქალაქო მსხვერპლი შერიგების (რეკონსილიაციის) პროცესს აუარესებს და ხელს უშლის სტაბილურობის დამკვიდრებას. იძულებითი მიგრაცია დევნილი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, იწვევს კრიმინალური ქსელების და ექსტრემისტული დაჯგუფებების განმტკიცებას და ა.შ.

6. შესაძლებელია თუ არა კონფლიქტების პრევენცია?

კონფლიქტოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად მუშაობენ კონფლიქტების ადრეული პრევენციის საკითხებზე. სამწუხაროდ, მთავრობები და სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მათ მცდელობას.

კონფლიქტების პრევენცია ან შეწყვეტა შესაძლებელია სხვა სახელმწიფოს მხრიდან ადრეული ინტერვენციის შედეგად. კონფლიქტის პრევენცია, ან მის ადრეულ ეტაპებზე ჩარევა ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე უკვე მიმდინარე კონფლიქტში ინტერვენცია. კონფლიქტის აღმოცენებამდე ჩარევა შეიძლება დიპლომატიური ან ეკონომიკური სახის იყოს, მაშინ როდესაც შეიარაღებული ძალების ჩარევა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს გამოიყენება. სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად სწორედ მოსაზღვრე ქვეყნებს შორის იწყება კონფლიქტი და ამაში, ისინი გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს ნახულობენ. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოები არ ერიდებიან კონფლიქტის გახანგრძლივებას და გამწვავებას. თუმცა, სწორი ინტერვენციის, ძალისხმევის და სიტუაციის დერეგულირების სურვილის არსებობის პირობებში შესაძლებელია კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის დამყარება.

7. როგორია შეიარაღებული კონფლიქტების პოტენციური გადაწყვეტის გზები?

კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა იარაღით ვაჭრობის დარეგულირება, რომელიც თუ ბოლომდე ვერ აღმოფხვრის პრობლემას, შეამცირებს მაინც შეიარაღებული დაპირისპირების წარმოშობის ალბათობას. ეს ნიშნავს, ემბარგოს დადებას იარაღის ექსპორტზე და კონფლიქტურ რეგიონებში, იარაღის, თუ საბრძოლო მასალის სავალდებულო რეგისტრაციას. ამავდროულად, აუცილებელია სახელმწიფოებმა შექმნან ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომლის საშუალებითაც ეფექტურად გააკონტროლებენ იარაღით ვაჭრობის საკითხს. პოსტ-კონფლიქტური რეკონსტრუქციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში შემცირდეს იარაღის რაოდენობა. ხშირად, დემობილიზაცია ხდება სპონტანურად, ყოფილ მებრძოლები იტოვებენ იარაღს. ამ დროს მნიშვნელოვანია იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარების ან მისი გამოსყიდვის ხელშეწყობა. კონფლიქტის პრევენციის, ისევე როგორც პოსტ-კონფლიქტური აღმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფიზიკური და სოციალური უსაფრთხოების განცდა.

კონფლიქტების მოგვარების ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაცია. დემოკრატიზაცია ქვეყანაში მდგრადი მშვიდობის და უსაფრთხოების პირობაა. დემოკრატიის განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ჭეშმარიტი დემოკრატია პოლიტიკური ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებას და მის ეფექტურ კონტროლს ნიშნავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია, რაც ძალაუფლების მონოპოლიზაციას უშლის ხელს. დეცენტრალიზაცია უზრუნველყოფს პოლიტიკური ძალაუფლების სრულფასოვან გადაცემას მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.

სავარჯიშო 1: შეტყობინება ალექსანდრასთვის

რეფლექსია

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: ბავშვთა უფლებები

სასწავლო მიზნები:

- ემპათიის განვითარება

დრო: 15 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცელი N 17 ყველა მოსწავლისთვის

აქტივობის აღწერა:


- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N17 და თხოვს 5-10 წუთის განმავლობაში ჩაწერონ საკუთარი პასუხები;

ასახვა/ მსჯელობა:

სასურველია ამ აქტივობის შესრულებისას მოსწავლეები ისხდნენ წრეზე. ისინი წარმოადგენენ საკუთარ პასუხებს, მასწავლებელი უსვამს შემდეგი სახის კითხვებს: რა რჩევებს მისცემდნენ ალექსანდრას? მათი ამრით, რას გრძნობს ალექსანდრა? რა დაეხმარებოდა მას ყველაზე მეტად? თვითონ რას იგრძნობდნენ ალექსანდრას ადგილას? რას შეცვლიდნენ? და ა.შ.

სავარჯიშო 1: შეტყობინება ალექსანდრასთვის

სამუშაო ფურცელი N17



სავარჯიშო 2: საერთო დანაკარგი

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: ბავშვთა უფლებები

სასწავლო მიზნები:

- ემპათიის განვითარება

დრო: 20 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცლები N18 ყველა მოსწავლისთვის, საწერი კალმები, დაფა ან ფლიპჩარტი.

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს N18 და უხსნის, რომ წარმოდგენილი დიაგრამიდან ერთი რგოლი ეკუთვნის ალექსანდრას, მეორე მის ოჯახს (მშობლებს). დიაგრამის გადაკვეთის ადგილი კი საერთოა ყველასთვის, როგორც ალექსანდრასთვის, ისე მისი მშობლებისთვის (მაგ. დრო, აქტივობები, პრობლემები და ა.შ.).
- შემდეგ მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს მარცხენა რგოლში ჩაწერონ ყველა ის ნიშანი, რომელიც ალექსანდრას ახასიათებს, მარჯვენაში კი ის ნიშნები, რომელიც მის ოჯახს ახასიათებს (მაგ. გრძნობები, აზრები, ქცევები). შუაში (რგოლების გადაკვეთის ადგილას) - ყველაფერი, რაც საერთოა ალექსანდრასთვის და მისი ოჯახისთვის.
- მასწავლებელი დაფაზე ან ფლიპჩარტზე ხატავს მსგავს დიაგრამას და მოსწავლეების პასუხები გადააქვს მასში.

შენიშვნა: შესაძლებელია მოსწავლეებმა საკუთარი ოჯახების მაგალითზე ისაუბრონ, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მათ, რომ ამ აქტივობის შესრულებისას მნიშვნელოვანია ალექსანდრასა და მისი ოჯახის შესახებ საუბარი.

ასახვა/მსჯელობა:


აქტივობის ბოლოს ადგილი აქვს ჯგუფურ დისკუსიას. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება დიაგრამაში წარმოდგენილი საკითხების შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დიაგრამის ურთიერთ-გადამკვეთ ნაწილში მოცემულ საკითხებზე (ალექსანდრასა და მისი ოჯახისთვის საერთო საკითხებზე).

საპარტიზო 2: საერთო დანაკარგი

სამუშაო ფურცელი N18

ალექსანდრა

ალექსანდრას ოჯახი



ბავშვთა უფლებები

მესბა

ანნეტა პაკატანასიუ / საბრეძნეთი / 2011 / 2წთ.



მესბა ბანგლადეშიდანაა. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედამ ის და მისი ექვსი და-ძმა პაკისტანში წაიყვანა. შვილისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად მან სახლი გაყიდა და ფულის უმეტესი ნაწილი მესბას მისცა საბრეძნეთში გასამგზავრებლად. დღეს 16 წლის მესბა ქუჩაში რეზინის სათამაშოებით ვაჭრობს და პარკში, ან უკეთეს შემთხვევაში მეგობრის სახლში ძინავს. მესბას სურს, ისწავლოს და ექიმი გახდეს. სამწუხაროდ, ის ბერძნულად ვერ საუბრობს და ამის გამო საჭირო საბუთებს ვერ იღებს. მესბა ყოველ კვირას ურეკავს დედას, რომელიც ძალიან ენატრება. ის იმედს არ კარგავს, რომ ერთ დღეს შეძლებს სკოლაში სწავლას.

საბავშვო ინფორმაცია:

ძირითადი თემები: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: ქუჩის ბავშვები, უსახლკაროდ ცხოვრება, განათლების უფლება

1. ვინ არიან ქუჩის ბავშვები?

„ქუჩის ბავშვები“ ეს არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმ მილიონობით მიტოვებული და გაჭირვებული ბავშვის აღსანიშნავად, რომლებიც ქალაქების ქუჩებში ცხოვრობენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ბავშვი შეიძლება არ იყოს ოჯახის მხრიდან მიტოვებული და მუდმივად არ ცხოვრობდეს ქუჩაში. UNICEF ამ ბავშვებს მათი ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე 2 ჯგუფად ყოფს. თუმცა, ყველა მათგანისთვის საერთოა ის, რომ ისინი თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებენ. ერთ შემთხვევაში ესენი არიან შეიძლება ვუწოდოთ ქუჩაში ბავშვები, რომლებიც ქმნიან საკმაოდ დიდ ჯგუფს. მათ შეიძლება რეგულარული ან არარეგულარული კავშირი ქონდეთ საკუთარ ოჯახებთან ან მზრუნველთან, აქვთ სახლი, თუმცა დროის უდიდეს ნაწილს ისინი ოჯახის გარეთ ატარებენ. მეორე შემთხვევაში, ესენი არიან ქუჩის ბავშვები, ბავშვები, რომლებიც ღამეს ქუჩაში ან ცხოვრებისთვის შეუსაბამო ადგილას ატარებენ (ძინავთ). ესენი არიან ბავშვები, რომლებიც ხშირად გარბიან ოჯახებიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობის საპასუხოდ; ასევე ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც გარბიან და ქუჩებში იწყებენ ცხოვრებას. თანდათან იზრდება იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც ტოვებენ საკუთარ ოჯახებს, სადაც მშობლები დაკავებული არიან თავისი საქმეებით და ყურადღებას არ უთმობენ შვილებს. ასეთი ბავშვები ეძებენ ოჯახთან გაწყვეტილ სიახლოვეს, სიტბოს და თანდათან მას თავისი თანატოლების გარემოცვაში პოულობენ. ქუჩა ხდება ასეთი ბავშვებისათვის სახლი - ადგილი, სადაც ძინავთ, ჭამენ, თამაშობენ და იჩენენ მეგობრებს. მათ შეიძლება ურთიერთობა ქონდეთ კიდევ ოჯახის წევრებთან, მაგრამ არასოდეს დაბრუნდებიან მშობლებთან. ზოგ შემთხვევაში ოჯახი თვითონ უშვებს ბავშვებს

ქუჩაში, ზოგჯერ კი ბავშვები თავად მიდიან სახლიდან. ასეთი ბავშვები ხდებიან საკუთარი თავის პატრონები. ორივე ჯგუფის ბავშვებს აქვთ მსგავსი მახასიათებლები: არამყარი ხასიათის ემოციური ურთიერთობები მოზრდილებთან, ნეგატიური თვითშეფასება, დაბალი თვითდაჯერებულობა, სოციალური სტიგმა, ბუნდოვანი მომავალი და ის ფაქტი, რომ ისინი ხშირად ხდებიან ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი.

2. რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც ბავშვები ქუჩებში ხვდებიან?

ღარიბ ქვეყნებში, ობოლი ბავშვები ხშირად ხვდებიან ქუჩებში (განსაკუთრებით აფრიკაში, სადაც აივ/ინფექცია შიდსის ან მასთან დაკავშირებული დაავადებების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ხშირად ბავშვების დაობლების მიზეზი სწორედ მშობლების და ნათესავების გარდაცვალება ხდება). არსებობს შემთხვევები, როდესაც მშობლები საკუთარი სურვილით ტოვებენ შვილებს. მშობლებს არ შეუძლიათ ან არ სურთ შვილებზე ზრუნვა (უმუშევარი მარტოხელა დედები, წამალ ან ალკოჰოლდამოკიდებული მშობლები, მრავალშვილიანი ღარიბი ოჯახები). თუმცა რა თქმა უნდა, ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყნებშიც გვხვდება ქუჩის ბავშვები. სამწუხაროდ, ბევრ ბავშვს არ უმართლებს ცხოვრებაში გაიზარდოს სტაბილურ, კეთილგანწყობილ ოჯახურ გარემოში. ხშირია ოჯახებში ბავშვებზე ფიზიკური, სექსუალური თუ სხვა ფორმის ძალადობის ფაქტები, წამების და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, მშობლების წამალ ან ალკოჰოლდამოკიდებულება, სიღარიბე და ა.შ.

ძირითადი მიზეზები:

- ომი
- სიღარიბე
- ბუნებრივი კატასტროფები
- ოჯახის დანგრევა
- აივ/ინფექცია შიდსი
- ძალადობა ოჯახში
- მშობლების სიკვდილი

3. რამდენი უსახლკარო ბავშვია მსოფლიოში?

UNICEF -ის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი უსახლკარო ბავშვია. უსახლკარო ბავშვთა რაოდენობის მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ლათინური ამერიკა (40 მილიონი), შემდეგ აზია (32 მილიონი), აფრიკა (10 მილიონი), ჩრდილოეთ ამერიკა (5 მილიონი), ევროპა (3 მილიონი), ავსტრალია და ოკეანეთი (1,5 მილიონი). საქართველოში ქუჩის ბავშვების სტატისტიკა არ არსებობს. ერთადერთი კვლევა ამ მიმართულებით 2008 წელს ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ ჩაატარა. კვლევის მიხედვით, 2008 წლის ნოემბერში საქართველოს 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში ქუჩაში 1600-მდე ბავშვი აღმოჩნდა, თუმცა რეალური მაჩვენებლები გაცილებით მაღალია.

უსახლკარო ბავშვების უმეტესობა ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, ბავშვების ნახევარზე მეტი კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. ბოლო 30 წლის განმავლობაში ურბანიზაციის დაჩქარებული პროცესის გამო, ლათინური ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 70% იძულებული შეიქმნა შეეცვალა ცხოვრების ჩვეული წესი. ქალაქები სწრაფად იზრდება და იკავებს ახლომდებარე სოფლების ტერიტორიებს. მაგალითისთვის, ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის, ბრაზილიაში ყველაზე მეტი, დაახლოებით 10 მილიონი ბავშვი ცხოვრობს ქუჩაში. ამ ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილს არ ყავს ოჯახი, ან არ აქვს სახლი. მათი უმეტესობა დროის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებს, მაშინ როდესაც მშობლები, ძირითადად კი, მათი მარტოხელა დედები მუშაობენ. სხვა შემთხვევაში ეს ბავშვები იზრდებიან დიდ ოჯახებში, სადაც მშობლები ვერ უზრუნველყოფენ შვილების სათანადო გამოკვებას და მათზე ზრუნვას. ასეთ სიტუაციაში ბავშვებს თავად უწევთ მოიძიონ

შემოსავლის წყაროები და ასრულებენ ისეთ სამუშაოებს, როგორცაა: ფეხსაცმელების წმენდა, ლატარიის ბილეთების ან გაზეთების გაყიდვა, წვრილმანი ხულიგნობა და ა.შ. ბავშვები ქუჩაში უამრავი რისკის წინაშე დგანან: ძალადობა, ნარკოტიკები, პროსტიტუცია, პრობლემები პოლიციასთან. ხშირად ისინი ვერ იკვებებიან ნორმალურად და მიდრეკილი არიან სხვადასხვა დაავადებებისკენ, ბავშვების მკურნალობა კი მათი ოჯახებისთვის გაუსაძლის ხარჯებთან არის დაკავშირებული. უმეტესად, ამ ბავშვების უმრავლესობისთვის დაწყებითი განათლებაც არ არის ხელმისაწვდომი.

4. როგორია ქუჩის ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება?

ქუჩის ბავშვები, როგორც წესი, იკვებებიან ნარჩენებით სანაგვე ყუთებიდან, უკეთეს შემთხვევაში კი სწრაფი კვების ობიექტებში. ზოგიერთ მათგანს, ხანდახან, უმართლებს და იღებს ღამის გასათევ ადგილს ან საკვებს უცხო ადამიანების მხრიდან, თუმცა ამას თან ახლავს გარკვეული რისკი. ხშირია ბავშვთა მიმართ ძალადობის და შეურაცყოფის შემთხვევები. ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ სავაჭრო ცენტრებში, პარკებში, სათამაშო დაწესებულებების ახლოს, სადგურებში. ხშირად ისინი კრიმინალური დაჯგუფებების წევრები ხდებიან, ქურდობენ, ეწევიან პროსტიტუციას და ა.შ.

5. შესაძლებელია თუ არა დავებმართო ქუჩის ბავშვებს?

ქუჩის ბავშვების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია დავებმართო მათ ისეთი ბაზისური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში როგორცაა: თავშესაფარი, საკვები, სამედიცინო მომსახურება, განათლება და დახმარება სამუშაოს მოძიებაში. უმნიშვნელოვანესია, ყურადღება გავამახვილოთ ადამიანის უფლებების დაცვაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები მცდელობას არ აკლებენ დავებმართო ქუჩის ბავშვებს, მაგრამ მათი ფინანსური რესურსები შეზღუდულია, შესაბამისად, შეზღუდულია დახმარების შესაძლებლობაც მათი მხრიდან. ბევრი სახელმწიფო ქუჩის ბავშვების საკითხის გადაწყვეტას ცდილობს რეპრესიული გზით (ბავშვების იძულებითი მოთავსება სპეციალურ დაწესებულებებში).

სამწუხაროდ, ეს ღონისძიებები ხანდახან უფრო მეტად ვნებს ბავშვებს, ვიდრე ეხმარება მათ. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია არსებობდეს პოლიტიკური ნება. სახელმწიფოს უდიდესი როლი აკისრია ქუჩის ბავშვების პრობლემების მოგვარებაში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფო აღიარებდეს და მტკიცედ იცავდეს ბავშვთა უფლებებს ქვეყანაში. ბავშვთა უფლებების კონვენცია არის საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების სამართლებრივ დაცვას.

6. როგორ შემიძლია დავებმართო მსგავს სიტუაციაში მყოფ ბავშვს ?

დახმარება იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ქუჩის ბავშვი ხვდება ადამიანს, რომელიც მისი ცხოვრებით და პრობლემებით ინტერესდება. მომდევნო ნაბიჯი შეიძლება იყოს იმ ორგანიზაციებთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც ქუჩის ბავშვების საკითხებზე მუშაობენ. ამასთან, მნიშვნელოვანია ვიფიქროთ საკუთარ უსაფრთხოებაზეც. იმ შემთხვევაში თუ ქუჩის ბავშვს შეხვდით და განიზრახეთ მისი დახმარება, კარგი იქნება თუ საქმეში ჩართავთ უფროს ადამიანს, მშობელს, მასწავლებელს ან ნებისმიერ პირს, ვისაც ენდობით.

სავარჯიშო 1: შენი უდიდესი შიში

რეფლექსია

ასაკი: 11+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, სიღარიბე- უსახლკაროდ ცხოვრება, ქუჩის ბავშვები

სასწავლო მიზნები:

- ავსახოთ ფილმისგან მიღებული შთაბეჭდილებები

დრო: 15 წუთი

რესურსები: პატარა ფურცლები და საწერი კალმები ყველა მოსწავლისთვის.

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ფილმის მსვლელობის დროს ჩაინიშნონ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტები/სცენები ფილმიდან.
- მოსწავლეები ფურცლის ერთ მხარეს წერენ მათთვის მნიშვნელოვან მომენტებს/სცენებს, ხოლო ფურცლის მეორე მხარეს აკეთებენ კონკრეტულ სცენებთან დაკავშირებით საკუთარ შენიშვნებს და მოსაზრებებს. მათ შეუძლიათ დაეთანხმონ ან არა ფილმს, დააბუსტონ, განავითარონ სიუჟეტი და ა.შ.
- შემდეგ მასწავლებელი თხოვს კლასიდან ერთ რომელიმე მოსწავლეს წარმოადგინოს მისთვის მნიშვნელოვანი მომენტები/სცენები, მაგრამ არ დაასახელოს ის მიზეზები, თუ რატომ აირჩია კონკრეტული სცენები.
- მასწავლებელი მიმართავს სხვა მოსწავლეებს გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, შენიშვნები და დამოკიდებულებები.
- მასწავლებელი უნდა შეეცადოს დისკუსია სწორი მიმართულებით წარმართოს და შეზღუდოს დამცინავი ან უმნიშვნელო კომენტარები.
- დისკუსიის შესაჯამებლად მასწავლებელი მიმართავს იგივე მოსწავლეს, რომელმაც თავიდან წარმოადგინა აღნიშნული სცენა/სიტუაცია, დაასაბუთოს საკუთარი არჩევანის მიზეზები. მოსწავლეს აქვს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი - აქ მთავრდება ჯგუფური დისკუსია. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს სხვა მსურველს, გაუზიაროს თანაკლასელებს მისთვის ღირსშესანიშნავი სცენები ფილმიდან და ასე პროცესი თავიდან იწყება.

ასახვა/ მსჯელობა:

მოსწავლეების მხრიდან თითოეული მნიშვნელოვანი მომენტის წარმოდგენის შემდეგ ადგილი აქვს ჯგუფურ დისკუსიას.

სამარჯიშო 2: როგორ ცხოვრობენ ქუჩაში?

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, სიღარიბე - უსახლკაროდ ცხოვრება, ქუჩის ბავშვები

სასწავლო მიზნები:

- გავიგოთ ქუჩის ბავშვების შიშები
- დავფიქრდეთ იმ შიშებზე, რაც მსოფლიოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის საერთოა
- გავიაზროთ და თანავეგრძნოთ მსგავს სიტუაციაში მყოფ ბავშვებს

დრო: 30 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცელი N19 (ქუჩაში ცხოვრების რისკები),
სამუშაო ფურცელი N20 (ქუჩის ბავშვების 10 ყველაზე დიდი შიში).

აქტივობის აღწერა:

- გონებრივი იერიშის მეთოდით მოსწავლეები ასახელებენ, თუ რა შიშები შეიძლება ქონდეთ ქუჩის ბავშვებს. შემდეგ მასწავლებელი ურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს N19 და თხოვს წყვილებში იმუშაონ შემდეგ საკითხზე: წარმოიდგინონ რომ თვითონ ცხოვრობენ ქუჩაში, რისი შეეშინდებოდათ ყველაზე მეტად? ამასთან დააღაგონ საკუთარი შიშები (ყველაზე დიდიდან პატარამდე).
- წყვილები რიგრიგობით წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.
- მასწავლებელი დაფაზე ინიშნავს მოსწავლეების მიერ დასახელებულ მსგავსი შინაარსის შიშებს.
- აქტივობის პირველი ნაწილი აქ სრულდება და მასწავლებელი ეხლა უკვე შესაძარებლად ურიგებს მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს N20 - ქუჩის ბავშვების 10 ყველაზე დიდი შიში.

ასახვა/მსჯელობა:

მსჯელობის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შემდეგი სახის კითხვებს: არის თუ არა განსხვავება ქუჩის ბავშვების და მათ შიშებს შორის? ქუჩაში რომ ეცხოვრათ თვითონ რისი შეეშინდებოდათ/არ შეეშინდებოდათ? რისი დანაკლისი ექნებოდათ? რა მოენატრებოდათ? და ა.შ.

საპარატიზმ 2: როგორ ცხოვრობენ ქუჩაში? სამუშაო ფურცელი N19

“მე რომ ქუჩის ბავშვი ვყოფილიყავი, შემეშინდებოდა, რომ...”

არ მექნებოდა საჭმელი
ცუდად მომეპყრობოდნენ პოლიციელები
არ მექნებოდა დასაძინებელი ადგილი
თავს მართოსულად ვიგრძნობდი
არ მექნებოდა სამუშაო
მექნებოდა უიმედო მომავალი
მომიწევდა იმ სამუშაოს გაძღება, რომლის შესრულებაც ქუჩაში მომიწევდა
ვერ ვისწავლიდი სკოლაში, არ მეცოდინებოდა წერა-კითხვა
ცუდად მომეპყრობოდნენ და გამქურდავდნენ უფროსები
არ მექნებოდა სუფთა დასალევი წყალი
შესრულებულ სამუშაოში გადამიხდიდნენ ძალიან ცოტა ანაზღაურებას
ვიქნებოდი ცუდად (ჩემთვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა სამედიცინო მომსახურება)
არ მექნებოდა ოჯახის შექმნის შესაძლებლობა
უფროსები მომაცენებდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას
არ მეყოფოდა ძალა თავი დამეცვა უფროსებისგან
არ მექნებოდა სუფთა ტანისამოსი
ვიცხოვრებდი ცუდ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში

საპარტიშო 2: როგორ ცხოვრობენ ქუჩაში? სამუშაო ფურცელი N20

ქუჩის ბავშვების 10 ყველაზე დიდი შიში

1. პოლიციის მხრიდან ცუდი მოპყრობის/შეურაცხყოფის შიში;
2. უფროსების მხრიდან შეურაცხყოფის და გაქურდვის შიში;
3. უფროსების მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის/შეურაცხყოფის შიში;
4. იმ საქმიანობის ზიზღი, რისი შესრულებაც ქუჩაში უწევთ;
5. სამუშაოს არ ქონის შიში;
6. ოჯახის შექმნის შესაძლებლობის არ ქონის შიში;
7. უიმედო მომავლის შიში;
8. შესრულებულ სამუშაოში ძალიან ცოტა ანაზღაურების მიღების შიში;
9. უფროსებისგან თავის დაცვის შეუძლებლობის შიში;
10. წერა-კითხვის არ ცოდნის, სკოლაში სწავლის შესაძლებლობის არ ქონის შიში.

ბავშვთა უფლებები

პამელა

ქრისტინე პავლატა / იტალია / 2011 / 3წთ.



14 წლის პამელა იძულებულია იცხოვროს მესერით შემობლულ ბოშების გეტოში, სადაც ის თავის ოჯახთან ერთად პოლიციის ძალის გამოყენებით გადაასახლეს. ის ყოველდღიურად ძალიან ადრე დგება, რათა იმ ერთადერთ ავტობუსს მიუსწროს, რომელსაც ადგილობრივი ბავშვები საკმაოდ მოშორებით მდებარე სკოლაში დაყავს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ხშირად აგვიანებს სკოლაში. პამელას ყველაზე მეტად ხატვა მოსწონს. სურს მომავალში თმის სტილისტი გახდეს. თუმცა, შეიძლება პამელას ოცნება არ შესრულდეს, შეიძლება მან ვერ მოხაერხოს სწავლის გაგრძელება...

საბაზისო ინფორმაცია:

ძირითადი თემა: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: განათლების უფლება, სიღარიბე

1. რისთვის არის კარგი განათლება

განათლებას მოაქვს ეკონომიკური კეთილდღეობა. ის სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. განათლების დონის მატებასთან ერთად იზრდება შემოსავალი, ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. განათლება ასევე ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ჯანდაცვის სფეროში. მაგალითად, სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამებს დიდი გავლენა აქვს ისეთი დაავადებების პრევენციაზე, როგორცაა აივ/ინფექცია შიდსი; ასევე დაგეგმილი ორსულობის, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების საკითხებში.

და ბოლოს, განათლება ძალიან ეფექტური პოლიტიკური ინსტრუმენტია, იგი აძლიერებს ადამიანების მონაწილეობას პოლიტიკური და დემოკრატიული განვითარების პროცესში.

2. როგორია მსოფლიოში წიგნიერების დონე?

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში 1970-2000 წლებში გაუნათლებლობის დონე 37%-დან 20%-მდე შემცირდა, საერთო ჯამში წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების რაოდენობა 15 მილიონით გაიზარდა. ძირითადად, ეს განპირობებულია განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე სწრაფი დემოგრაფიული ზრდით. თუმცა ოპტიმიზმის საფუძველი მაინც არსებობს. მაგალითად, 2000-2007 წლებში 84%-დან 88%-მდე გაიზარდა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ამთავრებენ დაწყებით სკოლას.

3. რა ფაქტორები აფერხებს განათლების ხელმისაწვდომობას?

განათლების 2 ძირითადი პრობლემა არსებობს განვითარებად ქვეყნებში: განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და განათლების დაბალი ხარისხი. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია სიღარიბე. მაგალითად, სკოლების და სათანადო აღჭურვილობის ნაკლებობა, მაღალი ფასები განათლებაზე (სწავლის მაღალი საფასური, ძვირადღირებული წიგნები, სასკოლო ფორმები, მგზავრობის ღირებულება), შეუსაბამო საგანმანათლებლო პროგრამები (რთული, ბავშვების ასაკისთვის შეუსაბამო, მოძველებული პროგრამები) ან კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა.

ცნობილია, იმ ბავშვების 80%, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ, არიან ქვეყნებიდან, სადაც მიმდინარეობს ან წარსულში ადგილი ქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს. კონფლიქტის დროს შეუძლებელია ნორმალური სასწავლო პროცესის წარმართვა. სკოლები იკეტება და ინგრევა; შეუფასებელია კონფლიქტის ნეგატიური გავლენა განათლებაზე. კონფლიქტები ასევე უკავშირდება მუდმივ სტრესს, ცუდ კვებას და ფიზიკურ ძალადობას ბავშვებზე. შესაბამისად, ამ სიტუაციაში განათლების მიღება სრულიად წარმოუდგენელია. განათლებაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ღია კონფლიქტი, არამედ ქვეყანაში არსებული ქრონიკული კრიზისი (მაგალითად, პალესტინა).

4. რა პროგრესი განიცადა განათლებამ განვითარებად ქვეყნებში?

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, განათლებამ განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ: 2000 წლიდან დღემდე 25 % შემცირდა იმ ბავშვების რაოდენობა რომლებიც სკოლაში არ დადიან. მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ დაახლოებით 72-დან 113 მილიონამდე სასკოლო ასაკის ბავშვი რჩება სკოლის გარეშე. იმ ბავშვების მხოლოდ 74% ამთავრებს 5 კლასს, რომლებმაც დაიწყეს სკოლაში სიარული. დღეისათვის დაახლოებით 850 მილიონმა მოზრდილმა, ოთხიდან ერთმა, არ იცის წერა-კითხვა. ძალიან რთულია იმ ბავშვების სასკოლო სისტემაში ჩართვა, რომლებიც დღემდე არ დადიან სკოლაში. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა უღარიბესი ან ზედმეტად ტრადიციული ოჯახებიდან არიან, ცხოვრობენ კონფლიქტურ ზონაში ან შორეულ ადგილებში.

5. როგორია განათლების ხარისხი განვითარებად ქვეყნებში?

განათლების ხარისხი განვითარებად ქვეყნებში ბოლო ათწლეულების განმავლობაში დიდად არ ამაღლებულა. კვლევები აჩვენებს, რომ სასწავლო მასალა სკოლებში მწირია; სკოლის მოსწავლეების 30-50 %-ს სწავლის ოთხი-ხუთი წლის შემდეგ, არ შეუძლიათ გამართულად კითხვა, უჭირთ ანგარიში. ამას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად: ბავშვის მხრიდან სკოლის სისტემატური გაცდენა, რომელიც ბავშვთა შრომას უკავშირდება, ავადმყოფობა, სკოლასა და სახლს შორის არსებული დიდი მანძილი, მასწავლებლების დეფიციტი, სწავლის პროცესის შეჩერება უსაფრთხოების მიზნით საგანგებო ან კონფლიქტურ სიტუაციებში და ა.შ. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ წიგნიერების დონის თვალსაზრისით, ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნები დაახლოებით 30 წლით ჩამორჩებიან საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს, ხოლო დაახლოებით 60 წლით ეკონომიკურად მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს.

6. პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები

ცხადია, მხოლოდ სკოლების აშენება, საყოველთაო სავალდებულო სწავლება ან უფასო განათლება ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. აუცილებელია ძირეული და კომპლექსური მიდგომა, საგანმანათლებლო რეფორმების გატარება, რომელშიც არა მხოლოდ განათლების სამინისტრო, არამედ სახელმწიფო იქნება ჩართული. მნიშვნელოვანია რეფორმები ფოკუსირებული იყოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დეცენტრალიზაცია, სკოლის სისტემის ეფექტურობა, ბიუჯეტის ადმინისტრირება და კორუფციასთან ბრძოლა. მაგალითად, ბავშვების სკოლაში მოსაზიდად არსებობს რამდენიმე ეფექტური და შედარებით იაფი მეთოდი. ერთ-ერთი მიდგომაა „სწავლის ფასი“-ს შემცირება; რაც ნიშნავს სახელმძღვანელოების, სკოლის ფორმების, მგზავრობის საფასურის შემცირებას. ასევე შესაძლებელია ბავშვების და მათი

ოჯახების ფინანსური დაინტერესება. ეს შეიძლება წარმოადგენდეს დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებისთვის ფინანსურ დახმარებას, სკოლაში უფასო კვების უზრუნველყოფას, საკვების (ბრინჯი, ზეთი) დარიცხვას. მაგალითად, ავღანეთში, მსოფლიო სასურსათო პროგრამა, ყოველდღიურად სკოლებში გასცემს დაახლოებით 1, 54 მილიონამდე საკვებ პაკეტს, ხოლო ყოველთვიურად 450 000 გოგოს ურიცხვს 4,5 ლიტრ ზეთს. ეს საკმაოდ მარტივი, მაგრამ ეფექტური საშუალებაა, რომელიც ხშირად ევროპის ქვეყნებშიც წარმატებით მუშაობს. რამდენიმე ქვეყნის მაგალითმა აჩვენა, რომ ასევე ეფექტურად მუშაობს სკოლის ჩართვა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში. მაგალითად, დიარეის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამაში ჩართვამ დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ბავშვების ჯანმრთელობაზე, ისე მათ დასწრებაზე და შესაბამისად, სწავლის შედეგებზეც. განათლების ხარისხის გაუსაუმჯობესებლად ასევე ეფექტური და სწრაფი საშუალებაა კლასში მოსწავლეების რაოდენობის შემცირება. ეს ნიშნავს ახალი საკლასო ოთახების მოწყობას და მასწავლებელთა რიცხვის გაზრდას. წარმატებული სტრატეგიები: მასწავლებლების კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლება; სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების დახვეწა, მათი სასწავლო გარემოსთან და მოსწავლის მოთხოვნებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. და ბოლოს, იყო განათლებული, არ ნიშნავს იყო დასაქმებული. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განათლება ითვალისწინებდეს სახელმწიფოს ეკონომიკური და შრომითი ბაზრის განვითარების მოთხოვნებს. ქვეყნებში, სადაც განათლება დამოუკიდებელ სექტორად განიხილება, როგორც წესი მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი.

7. მართალია თუ არა, რომ ბავშვები ვერ დადიან სკოლაში, რადგან ისინი იძულებულნი არიან იმუშაონ და არჩინონ ოჯახები?

ეს არგუმენტი ამართლებს მოკლევადიან პერსპექტივაში. ამის საწინააღმდეგოდ, ბავშვთა შრომა მხოლოდ აღრმავებს სიღარიბეს. განათლება ზრდის შემოსავალს და შესაბამისად, მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. თუ ბავშვები უარს იტყვიან სამუშაოზე, გამოჩნდება დასაქმების პერსპექტივა უფროსებისთვის (განსაკუთრებით ქალებისათვის). გაიზრდება ხელფასები (ბავშვთა შრომა ხელს უწყობს ხელფასების შემცირებას). პრობლემის მოსაგვარებლად საკვანძო საკითხია თვითონ ოჯახებს არ ჭირდებოდეთ ბავშვების მიერ გამომუშავებული მცირეოდენი შემოსავალი. ამისთვის, მნიშვნელოვანია უფროსების დასაქმება, მაგრამ როდესაც ეს ვერ ხერხდება, საუკეთესო გამოსავალია - ბავშვებს სკოლაში სიარულისთვის შევთავაზოთ სუბსიდიები, ფულის თუ სხვა სახის დახმარების სახით.

სავარჯიშო 1: წერილი

რეფლექსია

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, სიღარიბე

სასწავლო მიზნები:

- წერილობით ფორმაში საკუთარი მოსაზრებების ფორმულირება

დრო: 20 წუთი

რესურსები: ფურცლები, კალმები

აქტივობის აღწერა:

- მოსწავლეების დავალებაა წერილი მიწერონ ფილმის რომელიმე გმირს; აუცილებელი არაა დიდი ტექსტის დაწერა, მნიშვნელოვანია, თუნდაც ტექსტის ნაწილის შექმნა;
- შემდეგ მოსწავლეები წყვილებში, ან მცირე ჯგუფებში კითხულობენ საკუთარ წერილებს. მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია წერილის კლასში წაკითხვა, თუმცა მასწავლებელი არ აიძულებს არავის საჯაროდ წაკითხონ ნამუშევრები.

ასახვა/ მსჯელობა:

ასახვა/მსჯელობა მიმდინარეობს წერილების წაკითხვის დროს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რატომ არჩიეს კონკრეტული პერსონაჟები? რა ეტყოდნენ მას? და ა.შ.

სავარჯიშო 2: ფასეულობების სასწორი

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, სიღარიბე, უსახლკაროდ ცხოვრება

სასწავლო მიზნები:

- განვსაზღვროთ ცხოვრებისეული ფასეულობები
- გავიაზროთ განათლების მნიშვნელობა

დრო: 30 წუთი

რესურსები: ფურცლები, დაფა ან ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

- ფილმის ჩვენებამდე მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს დაფიქრდნენ საკუთარ ცხოვრებისეულ ფასეულობებზე;
- შემდეგ თხოვს მნიშვნელობის მიხედვით დაალაგონ და ჩამოწერონ ხუთი ან შვიდი ფასეულობა და იქვე მიუთითონ განმარტებები, თუ რატომ ფიქრობენ ასე (მაგალითად, 1. ჯანმრთელობა, იმიტომ რომ ჯანმრთელობა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია; 2..., 3... და ა.შ).
- მას შემდეგ რაც მოსწავლეები საკუთარი ღირებულებების სასწორს შექმნიან, მასწავლებელი ეკითხება მათ: მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების სიაში არის თუ არა განათლება? რომელ ადგილზე? რატომ? რა გავლენას ახდენს განათლება ადამიანის ცხოვრებაზე და მომავალზე? მასწავლებელი პასუხებს ფლიპჩარტზე ან დაფაზე წერს.
- აქტივობის შემდეგ აჩვენებს ფილმს;
- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი იმეორებს იგივე აქტივობას.

ასახვა/მსჯელობა:

მასწავლებელი შეაჯამებს სახსრებს უსვამს ადამიანისთვის განათლების მნიშვნელობას და ასევე იმ ფაქტს, რომ განათლების მიღების უფლება მსოფლიოში ყველა ადამიანის/ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა.

ბავშვთა უფლებები

რომი

ვილბერ ჯეიკობსი / ნიდერლანდები / 2009 / 4წთ.



12 წლის გოგო - რომი ჭარბწონიანია. წლების განმავლობაში ის დამცირებას /ბულინგს განიცდის თანატოლების მხრიდან, ითმენს მისი მისამართით ნათქვამ შეურაცხმყოფელ სახელებს. რომი უბედურია, ხშირად ტირის და შურს სხვა ბავშვების, რომლებიც ერთად თამაშობენ. მას რომ შეეძლოს გადალახავდა თავის პრობლემებს, მაგრამ პირიქით, ხშირად მწუხარების დასაძლევად ტკბილეულს ჭამს; ამის შემდეგ რომი კიდევ უფრო უარესად გრძობს თავს. სხვა უამრავი ბავშვის მსგავსად, რომლებიც სკოლებში ყოველდღიურად განიცდიან ბულინგს, რომიც ცდილობს მშობლებს არ აჩვენოს თავისი ტკივილი...

საბავშვო ინფორმაცია:

ძირითადი თემები: ბავშვთა უფლებები

დამატებითი თემები: ბულინგი, ძალადობა, დისკრიმინაცია

1. რა არის ბულინგი? ბულინგის რა ფორმები არსებობს?

ბულინგი - ტერმინი, რომელიც აღნიშნავს შეურაცხყოფის მიყენებას, გარიყვას, შეშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას, იმ მიზნით რომ გამოიწვიოს სხვა ადამიანში შიში და მორჩილება. ბულინგი ურღვევს ადამიანს ღირსების შეგრძნებას, უქმნის მტრულ, დამამცირებელ და აგრესიულ გარემოს.

ბულინგი არის აგრესიული, ნეგატიური ქცევა, რომელიც რეგულარული, მიზანმიმართული და განზრახულია. ეს ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობაა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში.

არსებობს ბულინგის რამდენიმე სახეობა: ფიზიკური, სიტყვიერი, კიბერ ბულინგი და არაპირდაპირი ბულინგი. ფიზიკური ბულინგი გულისხმობს ფიზიკურ თავდასხმას ან შეურაცხყოფას, რაიმე ქონების განადგურებას ან მოპარვას.

სიტყვიერი ბულინგი გულისხმობს სიტყვიერ შეურაცხყოფას, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან, გენდერთან, უმცირესობის სტატუსთან, რასასთან სექსუალურ ორიენტაციასთან და ა.შ.

არაპირდაპირი ბულინგი - არის ყველაზე გავრცელებული ბულინგის სახე. ამ დროს შეიძლება ადამიანმა ვერც გაანალიზოს და ისე მოახდინოს ბულინგი. არაპირდაპირი ბულინგი მოიცავს ინფორმაციის, ჭორის გავრცელებას ინდივიდის ზურგს უკან.

კიბერ ბულინგი - ბულინგის დღეისათვის უაღრესად გავრცელებული ფორმაა. ის გულისხმობს ტექსტური გზავნილების, სურათების, ელექტრონული ფოსტის, ბლოგების საშუალებით ბულინგს.

ბულინგში ჩართულია მოძალადე, მსხვერპლი და დამკვირვებელი. ამ სისტემის ყოველ მონაწილეს აქვს საკუთარი შეხედულება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. კელი (1990) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს

ბულინგის მოწმის პოზიციას, დადგენლია, რომ მათი თვითშეფასება მნიშვნელოვნად ქვეითდება, უჩნდებათ საკუთარი უსუსურობის განცდა. მათი პოზიციია – “კარგია, რომ მე არ დავზარალდი” (ფსიქოლოგია ბავშვთა სისასტიკე-ძალადობა).

ბულინგის აღმოცენებაში პირობითად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი:

1. გააქვეება – როდესაც ჯგუფში ხდება რაიმე ნიშნით ადამიანის გამორჩევა და მისი დაცინვა, აბუჩად აგდება და ა.შ. 2. ფიზიკური აგრესია, ამ ეტაპზე მსხვერპლის მიმართ უკვე აშკარად ხორციელდება ფიზიკური აგრესია 3. ბირთვის შექმნა – რაც გულისხმობს მოძალადეთა ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც სისტემატურად ახორციელებს მსხვერპლთა მიმართ ბულინგს. მესამე ეტაპი გარდამტეხია, ყალიბდება მოძალადეთა ერთგვარი ბირთვი, რომელიც უბიძგებს ჯგუფს დააკანონოს თავისი წესები; 4 ეტაპზე ხდება – წესების მიღება უმრავლესობის მიერ; 5 ეტაპზე – ძალადობა და ბულინგი ჯგუფის ნორმა ხდება. ჯგუფი 2 ნაწილად იყოფა: ერთ ჯგუფს აქვს ყველაფრის უფლება, მეორეს კი არაფრის.

2. კიბერ ბულინგი, რითი განსხვავდება იგი ბულინგის სხვა სახეებისგან?

კიბერ ბულინგი თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობის სახეა. იგი თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებებს უკავშირდება (ინტერნეტი, სოციალური, ქსელები, მობილური ტელეფონი). კიბერ ბულინგის რამდენიმე სახეს განასხვავებენ: კიბერ შეტევა – ვირტუალური დევნა, შეწუხება; კიბერ შერჩევა – ვირტუალურ სივრცეში ძალადობის პოტენციური მსხვერპლის მოძებნა და მასზე თავდასხმები; მოულოდნელი ფიზიკური აგრესია მსხვერპლზე, მაშინ როდესაც აგრესორი ვიდეოკამერით, ან მობილური ტელეფონით იღებს ძალადობის სცენას და შემდეგ ვიდეოს ათავსებს ინტერნეტში.

კიბერ ბულინგს ფსიქოლოგიური ძალადობის მსგავსი მახასიათებლები აქვს: რეგულარული, მიზანმიმართული დაგანზრახულია. იგი მოიცავს სიმბოლურ აგრესიას, არიწვევს აშკარად აზიანებებს, დალურჯებებს, მაგრამ იწვევს ფსიქოლოგიურ ტრავმას. რაც შესაძლოა ადამიანის ფსიქიკის პათოლოგიური დარღვევების მიზეზი გახდეს. კიბერ ბულინგის განსხვავება არაპირდაპირი სახის ბულინგისგან:

- არაპირდაპირი ძალადობა ძირითადად ადამიანების რეალურ ურთიერთობებში ხდება, მაშინ როდესაც კიბერ ბულინგი პერსონალური კონტაქტის გარეშე, ვირტუალურ სივრცეში;
- მსხვერპლზე ძალადობა ყველგან და ყოველთვის შეიძლება, იგი არ მათავრდება მოძალადესთან განშორებით, ან გაქცევით;
- კიბერ ბულინგი უფრო ეფექტურ იარაღს მიმართავს „მასობრივი განადგურების იარაღს“ – ინტერნეტს, მობილურ ტელეფონს;
- უზრუნველყოფს მაცურებელთა ფართო აუდიტორიას;
- კიბერ ბულინგი საშუალებას აძლევს მოძალადეს ანონიმურად დარჩეს, რაც მსხვერპლს კიდევ უფრო უძლიერებს უსუსურობის განცდას; ვერ ხვდება ვისგან უნდა დაიცვას თავი;
- ინტერნეტ სივრცეში განთავსებული მასალა ყველასთვის ხელმისაწვდომია, რაც საშუალებას აძლევს სხვებს გამოიყენონ იგი თავისი სურვილებისამებრ.

3. როგორ დავადგინოთ, ბავშვი პოტენციური მსხვერპლია თუ აგრესორი?

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ბულინგის მსხვერპლი, ისე მისი ინიციატორი. ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ ბანაკში აღმოჩნდება კონკრეტული ბავშვი. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგები გამოყოფენ მსხვერპლისა და აგრესორის ხასიათის ზოგიერთ ტიპურ თვისებას და ქცევის სტილს. **ბავშვი – მსხვერპლი** ცდილობს იყოს თანატოლებთან შედარებით უფრო შეუმჩნეველი, პატარა და სუსტი საფრთხის გაჩენის შემთხვევაში ის მაშინვე ფრთხილდება, ტირის, საცოდავად და უბედურად გამოიყურება. ბავშვი-მსხვერპლი უმეტეს დროს კლასში ატარებს, მათ შორის შესვენებებსაც, გაურბის ბავშვების ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი.

ბავშვი-მსხვერპლი შეიძლება იყოს სხვებისაგან მკვეთრად გამორჩეული თვისებების მქონე, მაგალითად, სხვებზე ბევრად დაბალი ან მაღალი; მსუქანი ან გამხდარი; ღარიბი ან მდიდარი; წყნარი, ჭკვიანი.

ბავშვი - აგრესორი მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. პიროვნებათმორის ურთიერთობებში, თამაშებში აღიარებს მხოლოდ ძალას, სისასტიკეს და ამის დემონსტრირებასაც ახდენს. ნებისმიერი კონფლიქტის გადასაჭრელად უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. როგორც წესი, ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. ზოგჯერ ისინი ჩაკეტილები და ნაკლებკონტაქტურები ხდებიან, მაგრამ ამასთან პერიოდულად ავლენენ არამოტივირებულ რისხვას. ეს მახასიათებლები ერთი მხრივ ბულინგის შედეგებია, ხოლო მეორე მხრივ, ბულინგის საბაბი ხდება. (ფსიქოლოგია ბავშვთა სისასტიკე-ბულინგი)

რატომ ავლენს ბავშვი თანატოლის მიმართ აგრესიას:

- სურს მიიქციოს ყურადღება;
- საკუთარ თავზე ან გადაჭარბებულად კარგი, ან გადაჭარბებულად ცუდი წამოდგენა აქვს;
- არ შეუძლია მეგობრობა;
- არა აქვს დანაშაულის გრძნობა და სხვისი განცდების გაგების უნარი;
- ის, უბრალოდ, მოწყენილია.

4. რა მდგომარეობაა ბულინგის მხრივ საქართველოს სკოლებში?

სკოლებში ბავშვები არცთუ იშვიათად განიცდიან ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ტერორს სხვა ბავშვების მხრიდან ეს მოვლენა გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში. ბულინგი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა. მას გეოგრაფიული ან ეროვნული ჩარჩოები არ გაჩნია. რაც შეეხება საქართველოს სკოლებში არსებულ მდგომარეობას ბულინგის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კვლევა ჩატარდა ბულინგის თემაზე; 2007 წლიდან საქართველოში მოქმედებს რეფორმა სახელწოდებით “უსაფრთხო სკოლა”, რომელიც გულისხმობს უსაფრთხო სასკოლო კლიმატის შექმნას, ძალადობის ადრეულ იდენტიფიკაციას, სასკოლო კოდექსის შემუშავებას, დანაშაულის პრევენციას. სამწუხაროდ, საქართველოს სკოლებში ბულინგის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ რეალობა აჩვენებს რომ ძალადობის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. მოსწავლეების ძალადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია პედაგოგების ერთგვარი სისუსტეც აღმოფხვრან არსებული პრობლემა. ამ ფაქტორის არსებობას განაპირობებს სკოლის დამოკიდებულება, პრობლემის რეალურად არ აღქმა, ხშირად კი სკოლა საერთოდ უყურადღებოდ რჩება ბავშვთა უფლებები.

5. სკოლებში ბულინგის პრობლემის გადაჭრის გზები

არსებობს რამდენიმე ეტაპი, რომელიც სკოლამ უნდა შეიმუშაოს, რათა პრობლემა აღმოიფხვრას. ყველაზე მნიშვნელოვანია პრობლემის არსებობის აღიარება დამისი მასშტაბის დადგენა, უნდა განისაზღვროს ძალადობის სიხშირე, სერიოზულობა და ხანგრძლივობა და შემდეგ უნდა შემუშავდეს სამუშაო გეგმა, რომელიც გულისხმობს დაკვირვებას (დერეფნებში, ეზოში, სასადილოში), სკოლის ეთიკური კოდექსის შემუშავებას, ფსიქოლოგის მუშაობას, როგორც მოძალადესთან, ისე მსხვერპლთან. სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც ნებისმიერი დაშინება და დისკრიმინაცია, არ იქნება უგულებელყოფილი და მიიღება მკაცრი ზომები. მასწავლებელი სერიოზული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას და თითოეულ ბავშვს, რომელიც შემჩნეულია აგრესიულ ქცევაში თანატოლების ან უმცროსი ასაკის ბავშვების მიმართ. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ. დადანაშაულების გარეშე გაესაუბრეთ, შეეცადეთ გაარკვიოთ რა არის მისი აგრესიული ქცევის მიზეზი და ასწავლეთ კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ფსიქოლოგის დახმარებას. გახსოვდეთ, ბულინგის პრობლემას სკოლის გამოცვლა არ უშველის. ბულინგი არა მხოლოდ მოძალადე -

მსხვერპლს პრობლემაა, არამედ მთელი ჯგუფის. ძალადობა გავრცელდება მაშინაც კი, თუ კონკრეტული მსხვერპლი გაეცლება ძალადობრივ გარემოს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ბულინგის მსხვერპლი დაუყონებლივ გაერიდოს პათოლოგიურ სიტუაციას. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინტენსიური და სისტემატური მუშაობა როგორც მთელ ჯგუფთან, ასევე მსხვერპლთან რადგან ახალ გარემოში მაღალია მის მიმართ ბულინგის განმეორებითი გამოვლენის რისკები.

წყარო:

www. Phmdf.ge, “ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელება საქართველოში”, ბავშვთა მიმართ ძალადობა-პარაგრ. 6, http://phmdf.ge/?page_id=121; “ფსიქოლოგია ბავშვთა სისასტიკე-ბულინგი“

სამართლი 1: განსაზღვრებები – გრძნობები – კითხვები

რეფლექსია

ასაკი: 11+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, ბულინგი

სასწავლო მიზნები:

- საკუთარი გრძნობების, აზრების ფორმულირება

დრო: 20 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N21, ფურცლები, კალმები ყველა მოსწავლისთვის, დაფა ან ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს შეავსონ სამუშაო ფურცლები.

ასახვა/ მსჯელობა:

დისკუსიის მსვლელობისას მოსწავლეები მსჯელობენ თემასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებზე, დამოკიდებულებებზე. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა მოახდინონ საკუთარი გრძნობების და აზრების ფორმულირება. შესაძლებელია პასუხები დაიწეროს დაფაზე ან ფლიპჩარტზე.

სავარჯიშო 1: განსაზღვრებები – გრძნობები – კითხვები სამუშაო ფურცელი N21

დაახასიათეთ გრძნობა/გრძნობები რაც ფილმმა თქვენში გამოიწვია?

რა ისწავლეთ ფილმიდან ?

რა იყო თქვენთვის ყველაზე საოცარი?

დაწერეთ კითხვები, რომელიც ფილმის ნახვის შედეგად გაგიჩნდათ?

სამართალი 2: კედლის წარწერები

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: ბავშვთა უფლებები, ბუღინგი

სასწავლო მიზნები:

- ბუღინგთან დაკავშირებული დამოკიდებულებების გარკვევა
- არგუმენტირებული მსჯელობის წარმართვის და დასაბუთების უნარის განვითარება

დრო: 45 წუთი

რესურსები:

დიდი ზომის ფურცელი, ფერადი ფურცლები/სტიკერები, მარკერები, წებო

აქტივობა აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს ინდივიდუალურად მოიფიქრონ და დაწერონ 3 განსაზღვრება, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით „ბუღინგი არის...“.
- შემდეგ მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად (5 - 6 მოსწავლე);
- მოსწავლეებს ევალებათ ჯგუფებში წარმოადგინონ თავისი განსაზღვრებები, დააჯგუფონ მსგავსი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, მოახდინონ მათი კლასიფიკაცია;
- ჯგუფები ერთობლივად შექმნილ განსაზღვრებებს ფერად სტიკერებზე წერენ და დიდ ქაღალდზე აწებებენ. ასე იქმნება „კედლის წარწერები“.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის დასრულების შემდეგ მსჯელობა მიმდინარეობს წარმოდგენილ განსაზღვრებებთან დაკავშირებით.

4. სოციალური რეკლამები

100



100 ადამიანი რომ ავიღოთ მსოფლიოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი შერჩევის ნიმუშად აღმოჩნდება, მაშინ როდესაც 20 ადამიანს ექნება ერთზე მეტი ტელევიზორი სახლში, 17 ადამიანს სახლი საერთოდ არ ექნება. რადგან მსოფლიოში 40-ჯერ მეტი ფული იხარჯება კოსმეტიკურ საშუალებებზე, ვიდრე სასურსათო დახმარებაზე, 100-დან 15 ადამიანი იმიმშილებს. სოციალური რეკლამა აჩვენებს ქონების არათანაბარ განაწილებას მსოფლიოში.

საპარტიზო 1: გლობალური კლასი

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: გლობალიზაცია, სიღარიბე, ადამიანის უფლებები

სასწავლო მიზნები:

- გავაცნობიეროთ ადამიანების ცხოვრებაში არსებული განსხვავებები
- გავიაზროთ გარემო პირობების გავლენა
- ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 30 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი „ასი“ N22 ნაწილებად დაყოფილი;

სამუშაო ფურცელი „ჩემი ახალი იდენტობა“ N23 თითოეული მოსწავლისთვის;

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის (იხილეთ აქტივობის ბოლოს)

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ნაწილებად ყოფს სამუშაო ფურცელს N22 „ასი“, რომელზეც წარმოდგენილია სხვადასხვა მახასიათებელი. ცალკეულ ნაწილებს იმდენ ეგზემპლარად ბეჭდავს, რომ მისი პროცენტი შეესაბამებოდეს მსოფლიო პოპულაციის მონაცემებს (იხ. დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის). მაგალითად, თუ კლასში 30 მოსწავლეა, ამზადებს 9 ბარათს წარწერით „ბავშვი“, 19 ცალს - „ზრდასრული“, 2 ცალს „ხანდაზმული“ და ა.შ.
- აქტივობის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს გლობალიზაციის საკითხის შესახებ. ეკითხება მათ: რას წარმოადგენს გლობალიზაცია? როგორ ხდება თანამედროვე მსოფლიო უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული? მნიშვნელოვანია, აღნიშნონ ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკა, მთელს მსოფლიოში თანამედროვე არქიტექტურის მსგავსება, ადამიანების და პროდუქტის მობილურობა და ა.შ.
- შემდეგ თხოვს წარმოიდგინონ, თითქოს მათი კლასი კაცობრიობის მინიატურულ მოდელს წარმოადგენს; როგორი იქნება კლასის შემადგენლობა? მოსწავლეებს ევალებათ აირჩიონ 13 განსხვავებული მახასია-

თელი/ბარათი (მაგალითად, სქესი, რელიგია, განათლება და ა.შ.).

- მასწავლებელი აფრთხილებს მათ, რომ ერთიდაიგივე კატეგორიისთვის დამახასიათებელი განსაზღვრებების 2-ჯერ არჩევა არ შეიძლება, მაგალითად, ასაკის შემთხვევაში „ბავშვი“ და „ზრდასრული“, სქესის შემთხვევაში „მდედრობითი“ და „მამრობითი“
- ეს ბარათები განსაზღვრავს მოსწავლეების ახალ იდენტობას.

შენიშვნა: ყველა მოსწავლემ უნდა შეეცადოს შეარჩიოს საუკეთესო მახასიათებლები, ამდენად ყველა ერთად ცდილობს ბარათების აღებას.

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეაგროვებენ 13 ბარათს (მახასიათებელს), მასწავლებელი სათითაოდ ურიგებს მათ სამუშაო ფურცელს N23 „ჩემი ახალი იდენტობა“ და თხოვს შეავსონ არჩეული მახასიათებლების მიხედვით. იგებს ის, ვინც პირველი შეავსებს სამუშაო ფურცელს N23.
- მოსწავლეები წარმოდგენენ თავის „ახალ იდენტობას“, რაც „გლობალურ კლასში“ მსოფლიო პოპულაციის მონაცემებს ასახავს.
- აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს სოციალურ რეკლამას „100“.

შენიშვნა: სოციალურ რეკლამაში წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგად ხასიათს ატარებს. ინფორმაცია სხვადასხვა წყაროს მიხედვით, შეიძლება განსხვავებულად იყოს მოცემული. აღსანიშნავია, ისიც რომ ზოგიერთი მაჩვენებელი სწრაფად იცვლება.

ასახვა/მსჯელობა

აქტივობის დასასრულს გაიმართება დისკუსია. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: მათი აზრით, როგორია „საუკეთესო“ იდენტობის მაგალითები? რატომ? არიან თუ კმაყოფილი/უკმაყოფილო საკუთარი იდენტობით? რატომ? რას გრძნობთ თუ თქვენთვის არასასურველი ბარათი შეგხვდათ ან პირიქით?

საპარტიზო 1: გლობალური კლასი სამუშაო ფურცელი N22

ასი

ასაკი	ბავშვი	ზრდასრული (15-64 წლის)	ხანდაზმული (65 წლის და მეტი)			
სქესი	მამრობითი	მდედრობითი				
კონტინენტი	აფრიკა	აზია	ავსტრალია	ჩრ. ამერიკა	სხ. ამერიკა	ევროპა
რელიგია	ქრისტიანი	მუსულმანი	ინდუისტი	ბუდისტი	სხვა	
განათლება	გაუნათლებელი	დაწყებითი ან საშუალო განათლება	უმაღლესი განათლება			
საკვებზე ხელმისაწვდომობა	გადაჭარბებული საკვები	საკმარისი საკვები	შიმშილი და კვების ნაკლებობა			
სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა	დიახ	არა				
ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები	დიახ	არა				
ელექტროენერჯიაზე ხელმისაწვდომობა	დიახ	არა				
პერსონალური ტელევიზორი	დიახ	არა				
პერსონალური კომპიუტერი	დიახ	არა				
ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა	დიახ	არა				
საკუთარი მანქანა	დიახ	არა				

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის

თითოეული მახასიათებლის პროცენტული მაჩვენებელი ასახავს მსოფლიოს პოპულაციის მონაცემებს. ფრჩხილებში მოცემულია მოსწავლეების მიახლოებითი რაოდენობა, იმ შემთხვევაში, თუ კლასში 30 მოსწავლე სწავლობს. მახასიათებლების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კლასში მოსწავლეების რაოდენობას.

ასაკი: ბავშვი - 30% (9); ზრდასრული (15-64 წლის) — 63% (19); ხანდაზმული (65 წლის და მეტი) - 7% (2).

სქესი: მამრობითი — 48% (14); მდედრობითი - 52% (16).

კონტინენტი: აფრიკა - 13% (4); აზია — 62% (18); ავსტრალია — 1% (0); ჩრ. ამერიკა — 5% (1); სხ. ამერიკა — 8% (3); ევროპა — 12% (4).

რელიგია: ქრისტიანი — 34% (10); მუსულმანი — 22% (6); ინდუისტი — 15% (5); ბუდისტი — 6% (2); სხვა — 23% (7)

განათლება: გაუნათლებელი — 14% (4); დაწყებითი ან საშუალო განათლება — 85% (26); უმაღლესი განათლება - 1% (0)

საკვებზე

ხელმისაწვდომობა: გადაჭარბებული საკვები — 18% (5); საკმარისი საკვები — 66% (20); შიმშილი და საკვების ნაკლებობა — 16% (5).

სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა: დიახ — 83% (25); არა — 17% (5).

ცხივრებისთვის შესაფერისი პირობები: დიახ — 20% (6); არა — 80% (24).

ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა: დიახ — 73% (22); არა — 17% (8).

პერსონალური ტელევიზორი: დიახ — 25% (7); არა — 75% (23).

პერსონალური კომპიუტერი: დიახ — 8% (2); არა — 92% (28).

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა: დიახ — 11% (3); არა — 89% (27).

საკუთარი მანქანა: დიახ — 9% (3); არა — 91% (27)

წყარო: Brian Skinner's web-site with links to other resources; the cited dates are from 2000; <http://gumption.org/2002/village/village.htm>

საპარტიზო 1: გლობალური კლასი

სამუშაო ფურცელი N23

ჩემი ახალი იდენტობა

შექმენით თქვენი ახალი იდენტობა არჩეული მახასიათებლების საფუძველზე.
შემოხაზეთ მახასიათებლები.

ასაკი:	ბავშვი (15-64 წლის)	ზრდასრული (65 წლის და მეტი)	ხანდამძული
სქესი:	მამრობითი	მდედრობითი	
კონტინენტი:	აფრიკა ჩრ. ამერიკა	აზია სხ. ამერიკა	ავსტრალია ევროპა
რელიგია:	ქრისტიანი ბუდისტი	მუსულმანი სხვა	ინდუისტი
განათლება:	გაუნათლებელი განათლება	დაწყებითი ან საშუალო განათლება	უმაღლესი
საკვებზე ხელმისაწვდომობა:	გადაჭარბებული საკვები	საკმარისი საკვები ნაკლებობა	შიშშილი ან საკვების
სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა:	დიახ	არა	
ცხივრებისთვის შესაფერისი პირობები:	დიახ	არა	
ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა:	დიახ	არა	
პერსონალური ტელეფონი:	დიახ	არა	
პერსონალური კომპიუტერი:	დიახ	არა	
ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა:	დიახ	არა	
საკუთარი მანქანა:	დიახ	არა	

იდეალური ქმარი



ქმარი, რომელიც ზრუნავს ბავშვებზე, ალაგებს სახლს, ამზადებს სადილს და ამასთან, აქტიურად არის ჩართული თავის პროფესიულ საქმიანობაში - ეს შესაძლებელია?

ბევრი ქალისთვის ეს ყოველდღიური რეალობაა. არავისთვის არაა საოცარი ქალის ორმაგი სამუშაო დღე. თუ ქალს შეუძლია ამის გაკეთება, რატომ არ შეუძლია ეს მამაკაცს?

სამარჯიშო 1: საოჯახო საქმეები

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: გენდერი

სასწავლო მიზნები:

- დაფიქრდეთ საოჯახო საქმეებში ქალის და მამაკაცის როლების სამართლიან განაწილებაზე

დრო:

2 გაკვეთილი (პროექტის გაცნობა - 15 წთ. ინდივიდუალური სამუშაო - 1 კვირა; შედეგების პრეზენტაცია - 30 წთ.)

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N24 „საოჯახო საქმეები“, დაფა ან ფლიპჩარტი.

აქტივობის აღწერა:

- სოციალური რეკლამის ჩვენებამდე მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ჩამოწერონ საოჯახო საქმეების სია. ამისთვის აძლევს მათ 5 წუთს.
- მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს.
- მასწავლებელი აჩვენებს სოციალურ რეკლამას „იდეალური ქმარი“.
- შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს თემაზე. ეკითხება: რა საქმეებს აკეთებს მათ ოჯახში დედა? მამა? და-ძმა? რა საქმეებს აკეთებენ ყველა ერთად?
- ურიგებს სამუშაო ფურცელს N24 „საოჯახო საქმეები“ და ავალებს 1 კვირის განმავლობაში დააკვირდნენ და ჩაიწერონ ვინ და რა სახის საოჯახო საქმეს ასრულებს მათ ოჯახებში.
- მოსწავლეებმა 1 კვირის შემდეგ უნდა წარმოადგინონ ინდივიდუალური სამუშაოს შედეგები.
- დროის გასვლის შემდეგ, მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და თხოვს ერთმანეთს შეადარონ სამუშაო ფურცლები N24.
- მოსწავლეებს შეუძლიათ კლასში წარმოადგინონ საკუთარი მუშაობის შედეგები (მხოლოდ მოსწავლის სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელი არავის აიძულებს პრეზენტაციის გაკეთებას).

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის ბოლოს გაიმართება ჯგუფური დისკუსია. მასწავლებელი ეკითხება მათ: როგორ ფიქრობენ არსებობს თუ არა ქალისთვის და მამაკაცისთვის დამახასიათებელი საქმიანობები? როგორ წარმოუდგენიათ ოჯახის იდეალური მოდელი? და ა.შ.

კედლის უკან



ვერ ვხედავ, არ არსებობს – ეს გამონათქვამი არ ეხება ოჯახურ ძალადობას. ერთი შეხედვით გარეგნულად წყნარ, მოსიყვარულე ოჯახშიც კი, შეიძლება ადგილი ქონდეს ოჯახურ ძალადობას. სამწუხაროდ, ოჯახური ძალადობა ხშირად დაფარულია სახლის კედლებს მიღმა.

სამბარჯიშო 1: აგრესია

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: ოჯახური ძალადობა, ქალთა უფლებები

სასწავლო მიზნები:

- განვსაზღვროთ ოჯახური ძალადობის არსი
- გავიგოთ, თუ რატომ არის ოჯახური ძალადობა ქალთა უფლებების დარღვევა
- მოვხდინოთ ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმის იდენტიფიცირება
- ემპათიის განვითარება

დრო: 30 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N25 „აგრესორის და მსხვერპლის პიროვნება“ დაყოფილი ნაწილებად, მარკერები, დაფა ან ფლიპჩარტი.

წინასიტყვაობა:

ოჯახური ძალადობა არის სერიოზული პრობლემა, რომელიც შეინიშნება ყველა კულტურასა და სოციალურ ჯგუფში. მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით დამანგრეველი ფიზიკური, ემოციური, ფინანსური და სოციალური გავლენა გააჩნია ქალებზე, ბავშვებზე, ოჯახებზე და თემებზე. კვლევებმა გვიჩვენა, რომ მთელს მსოფლიოში ქალების 25-40% განიცდის პარტნიორის მხრიდან ძალადობას. ყურადღების ღირსია ოჯახური ძალადობის სხვადასხვა ფორმები.

აქტივობის აღწერა:

- სოციალური რეკლამის ჩვენებამდე მასწავლებელი წარმართავს ბრენშტორმინგს რას ნიშნავს ტერმინი “ოჯახური ძალადობა”?
- ყველა პასუხს წერს დაფაზე ან ფლიპჩარზე ყოველგვარი კომენტარების ან კითხვების გარეშე და აჯამებს ბრენშტორმინგის შედეგებს;
- სოციალური რეკლამის ჩვენება;
- შემდეგ მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და ურიგებს სამუშაო ფურცლებს N25; თხოვს გაცნონ წარმოდგენილ პიროვნულ თვისებებს და მიაკუთვნონ ისინი აგრესორის ან მსხვერპლის პიროვნებას. ამდენად, წყვილები ჩამოაყალიბებენ აგრესორის და მსხვერპლის ფსიქოლოგიურ პროფილს;

- მოსწავლეები თანმიმდევრობით წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

ასახვა/მსჯელობა

მასწავლებელი აჯამებს საუბარში შესული შედეგებს და აკეთებს დასკვნებს მინი-ლექციის სახით.

ოჯახური ძალადობა არის შეურაცხმყოფელი და მუქარის მომცველი ქცევა, რომელიც შეიძლება თავის თავში მოიცავდეს ფიზიკურ, ემოციურ, ეკონომიურ სექსუალურ ძალადობას, ისევე როგორც იზოლაციას, იძულებას და დაშინებას. ოჯახური ძალადობა შეიძლება მოიცავდეს ძალადობის მუქარას, ფიზიკურ ზიანის მიყენებას, სხვის საკუთრებაზე ან შინაურ ცხოველებზე შეტევას, ისევე როგორც სხვა სახის დაშინების საშუალებებს მაგ: ემოციურ ძალადობას, იზოლაციას და ბავშვების საკონტროლო საშუალებად გამოყენებას.

ოჯახური ძალადობა არის განზრახ ქმედება, რისი მიზანიც არის ძალადობის გზით სხვა ადამიანზე კონტროლის დამყარება. მამაკაცები ხშირად იყენებენ მას თავიანთ ინტიმური პარტნიორების წინააღმდეგ (ყოფილი მეუღლეები, მეგობარი გოგონები, პარტნიორები).

მოძალადე თავისი მსხვერპლის მიმართ იყენებს შეურაცხმყოფელ ქმედებათა ფართო სპექტრს. მოძალადეების მიერ გამოყენებული ძალადობის ესა თუ ის ქმედებები შეიძლება მსხვერპლისათვის გახდეს ფიზიკური თუ ემოციური ზიანის მომტანი. ძალადობის ზოგი ფორმა შეიძლება არ იყოს მსხვერპლისათვის ფიზიკური ზიანის მომტანი, მიუხედავად ამისა ის აზიანებს ადამიანის ფსიქიკას.

საპარტიზო 1: აგრესია სამუშაო ფურცელი N25

აგრესორის და მსხვერპლის პიროვნება

აგრესორის თვისებები

დაბალი თვითშეფასება

არაკომპეტენტურობის და უსარგებლობის გრძნობა

ქალის და მამაკაცის როლების სტერეოტიპული აღქმა

საკუთარ ქმედებებზე სხვების დადანაშაულების ტენდენცია

ეჭვიანობა

სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უუნარობა

საკუთარი ძალადობრივი ქმედებების შედეგებზე უგრძნობლობა

მსხვერპლის თვისებები

სოციალური იზოლაციის, სიმარტოვის, ინდივიდუალობის არქონის განცდა, შფოთვა

თვით-დადანაშაულება და პასუხისმგებლობის აღება ძალადობაზე, გამომწვევი მიზეზების საკუთარ თავში ძიება

უსუსურობის განცდა და მოცემულ სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვა

შიში და ძალადობრივი ურთიერთობის მოთმენა/დანებება

დაბალი თვით-შეფასება, გამოსავალის შეუძლებლობის გრძნობა

ოჯახური ძალადობის შესახებ არსებული მითების და ქალისა და მამაკაცის ტრადიციული, სტერეოტიპული როლების არსებობის რწმენა

შეურაცხყოფისგან გამომწვეული ბრავის უარყოფა, მაგრამ ამასთან შედარებით უმნიშვნელო საკითხებზე წონასწორობიდან გამოსვლა და აღელვება

დებრესია, შიში

ოჯახის სხვა წევრების მოთხოვნილებებისადმი პრიორიტეტის მინიჭება საკუთარი მოთხოვნილებების საწინააღმდეგოდ

დაქანცულობა, გამოფიტვა, ზურგის, თავის ტკივილი, უძილობა

უარი თქვი პლასტმასზე



ყოველწლიურად 1,5 მილიონზე მეტი ზღვის ცხოველი კვდება პლასტმასის ნარჩენების შედეგად, რომელიც ოკეანეებში ადამიანის საქმიანობის შედეგად ხვდება. ანიმაციური სოციალური რეკლამა გვახსენებს, რომ თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია გავლენა მოახდინოს პლასტმასის ნარჩენების შემცირებაზე.

საპარტიზო 1: რა დრო ჭირდება ამას?

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: გარემოს დაცვა

სასწავლო მიზნები:

- გავცნოთ რა მასალა იშლება/არ იშლება ბუნებაში
- გავიგოთ რა დროს ჭირდება მასალის დაშლას
- ვისწავლოთ ჯგუფში მუშაობა

დრო: 15 წთ. + გასვლითი სამუშაო

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N26 „მასალის დაშლისთვის საჭირო დრო“ დაყოფილი ნაწილებად, სამუშაო ფურცელი N27 „რა დრო ჭირდება ამას?“ თითოეული ჯგუფისთვის;

მასალის შეფუთვის ნიმუშები (პოლიეთილენის პარკი, ხელსახოცი, პლასტმასის ბოთლი, შუშის ბოთლი, თუნუქის ქილა).

აქტივობის აღწერა:

- სოციალური რეკლამის „უარი თქვი პლასტმასზე“ ჩვენება.
- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს პლასტმასის გადაჭარბებული მოხმარების ნეგატიურ შედეგებზე.
- მოსწავლეებს ყოფს 4 კაციან ჯგუფებად; თითოეულ ჯგუფს ურიგებს სამუშაო ფურცელს N26 „მასალის დაშლისთვის საჭირო დრო“; თხოვს მათ მოცემულ მასალას შეუსაბამონ მისი დაშლის დრო და შექმნან გრაფიკი.
- მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ამოწმებენ ნამუშევრებს.
- სავარჯიშოს მეორე ეტაპზე - მასწავლებელი და მოსწავლეები ირჩევენ შესაბამის ადგილს, მაგალითად,

სკოლის ეზო და მიწაში ფლავენ სავადახვა სახის მასალას (ქაღალდი, ფორთოხლის ქერქი, პლასტმასის ბოთლი, პოლიეთილენის პარკი, შუშის ბოთლი და ა.შ).

- ერთი თვის შემდეგ მოსწავლეები ამოწმებენ დამარხულ ნარჩენებს და მონიტორინგის შედეგებს წერენ სამუშაო ფურცელში N27 „რა დრო ჭირდება ამას?“
- აქტივობა მონიტორინგის შედეგების შეჯამებით და განხილვით სრულდება.

ასახვა/მსჯელობა:

აღნიშნული აქტივობის დროს მსჯელობა ორჯერ გაიმართება. პირველად, როდესაც მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა მასალის დაშლისთვის საჭირო დროს, მასწავლებელი ეკითხება: რა იყო მათთვის უცნობი? რამ გააოცათ? რომელი მათგანი გამოიყენეს სწორედ?

მეორეჯერ დისკუსია გაიმართება 1 თვის შემდეგ, როდესაც მოსწავლეები წარმოადგენენ მონიტორინგის შედეგებს. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ყურადღებას ამახვილებს მასალის ბუნებაში დაშლისთვის საჭირო დროზე და თითოეული ადამიანის მოქალაქეობრივ მიდგომაზე დაიცვას და გაუფრთხილდეს გარემოს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ აქტივობის მთლიანად ჩასატარებლად დრო შეზღუდულია, მასწავლებელს შეუძლია სავარჯიშოს მხოლოდ პირველი ნაწილი გააკეთოს (დროის გრაფიკის შექმნა).

საპარტიზო 1: რა დრო ჭირდება ამას?
სამუშაო ფურცელი N26

მასალის დაშლისთვის საჭირო დრო

ქალაქის ფურცელი	3 თვე
ფორთოხლის ქერქი	12 თვე
პოლისტიროლი	არასდროს
შუშა	არასდროს
პოლიეთილენის პარკი	300 თვე
ვაშლი	1 თვე
შალის წინდა	18 თვე
პოლიეთილენის ბოთლი	900 თვე
პოლიეთილენის ჭიქა	300 თვე
სიგარეტის ფილტრი	18 თვე

საპარტიზო 1: რა დრო ჭირდება ამას?
სამუშაო ფურცელი N27

რა დრო ჭირდება ამას?

მასალა	მდგომარეობის აღწერა და დრო

5. დამატებითი ინფორმაცია

სიძნელეები და გადაჭრის გზები

ტექნიკური პრობლემები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიძნელე ტექნიკური პრობლემებია: პროექტორი, კომპიუტერი, ხმის სისტემა ან კომპიუტერული ოთახის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

რეკომენდაცია: ფილმის ჩვენებამდე წინასწარ მოამზადეთ და შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობა. შეგიძლიათ დახმარებისთვის თქვენს მოსწავლეებს მიმართოთ. ახალგაზრდები საკმაოდ კარგად ერკვევიან, როგორც კომპიუტერულ პროგრამებში, ისე თანამედროვე აპარატურაში. ამასთან, აუცილებელი არაა უახლესი, ან ძვირადღირებული ტექნიკის გამოყენება. ჩვენს საპილოტე სკოლებში შესანიშნავი გაკვეთილები ტარდება მხოლოდ ერთი ლეპტოპის გამოყენებით (პროექტორის და ხმის სისტემის გარეშე).

მე ჩემს პროგრამას უნდა მივყვე და დრო არ მაქვს ფილმებისთვის

დოკუმენტური ფილმები ნამდვილად არ წარმოადგენს ყველა საგნისთვის შესაფერის სასწავლო რესურსს. ფილმები და მათში წარმოდგენილი თემატიკა ძირითადად უფრო საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებთან არის ახლოს.

საპილოტე სკოლებში გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის პედაგოგები წარმატებით იყენებენ ჩვენს ფილმებს და წიგნებს. სახელმძღვანელოები შესატყვისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შესაბამისად, წარმოდგენილი მასალა ხშირ შემთხვევაში ამრავალფეროვნებს და უფრო საინტერესოს ხდის პროგრამას.

არ მაქვს დრო და ენერჯია მოვემზადო გაკვეთილებისთვის ფილმების გამოყენებით

მართალია, სასწავლო პროცესში ახალი მეთოდების გამოყენება ენერჯიას მოითხოვს, მაგრამ ჩვენი მასწავლებლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ეს მეთოდი ნამდვილად არაა რთული და არც თუ ისე დიდ დროს მოითხოვს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ქონედეს მოტივაცია ცადოს რაღაც ახალი. შემდეგ გამოცდილებასთან ერთად, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით გაკვეთილების დაგეგმვა ნამდვილად არ მოითხოვს უფრო მეტ დროს და ენერჯიას, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერაქტიული მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილები უფრო საინტერესო და სახალისოა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის.

მასწავლებლის კომენტარი



მე გახლავართ ს.ს.ი.პ ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქ. ქუთაისის N32 საჯარო სკოლის პედაგოგი სოფიო მურუსიძე. მსურს ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების მეთოდთან დაკავშირებით.

ყველა პრაქტიკოსი მასწავლებელი ახლის ძიებაშია და ცდილობს სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური და წარმატებული გახადოს. ფილმები კი ამის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი სწავლა-სწავლებაში.

რატომ მომწონს ფილმები, რაში ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს? გარდა იმისა, რომ მათში მრავლადაა ადამინის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა თემები, მოსწავლეები ეცნობიან აქტუალურ საკითხებს, რომლებიც რეალურ ამბებზეა აგებული; ფილმები ხელს უწყობს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვას და ჩატარებას, რაც ზრდის მოსწავლეების სწავლის მოტივაციას.

ფილმის ჩვენება შესაძლებელია ერთ აკადემიურ საათში, ან მასწავლებელს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია დაანაწილოს იგი თემიდან გამომდინარე კონკრეტული გაკვეთილისთვის.

ფილმების გამოყენებით ვზრდი მოსწავლეების ინტერესს, ვუღვივებ მათ ცნობისმოყვარეობას. ამასთან, საკითხს უფრო ღრმად და საფუძვლიანად ითვისებენ. ფილმის ჩვენების შემდგომი დისკუსიები, ხელს უწყობს ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები ხალისით არიან ჩართული, ისინი თავისფლად და არგუმენტირებულად მსჯელობენ თემის ირგვლივ. რაც მთავარია, იძენენ და იღრმავებენ ცოდნას. მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ფილმებით სწავლებაზე აგებული გაკვეთილები.



სწავლა-სწავლების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასწავ-ლებელს, რომელიც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ყოველთვის საინტერესოდ უნდა გვეგმავდეს გაკვეთილს, ეძიებდეს და იყენებდეს თანამედროვე სასწავლო რესურსებს, იყოს შემოქმედებითი და მუდმივად ისწრაფვოდეს საკუთარი მოსწავლეების პიროვნული და ზნეობრივი სრულყოფისაკენ. სწორედ ამის შესაძლებლობებს იძლევა დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების მეთოდი, რადგან იგი ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: მსჯელობის, ანალიზის, საკუთარი აზრის გამოხატვის, თანამშრომლობის, პრეზენტაციისა და სხვა.

სასწავლო პროცესში აღნიშნული ფილმების, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება შეუძლიათ არა მარტო საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს, არამედ მისი გამოყენება მეტად ეფექტურია სადამრიგებლო კუთხითაც. ამ მიმართულებით პირადად მე და ჩემს კოლეგებს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა.

აღნიშნული ფილმები მოსწავლეებში აჩენს მოტივაციას უფრო ღრმად ჩაწვდნენ განსახილველ საკითხებს, წარმოდგენილი ისტორიები დაუკავშირონ რეალობას, იწყებენ ფიქრს და ცდილობენ მონახონ იმ სამოქალაქო პრობლემების მოგვარების გზები, რომელიც დღევანდელ საზოგადოებას აწუხებს, ეს კი გარკვეულწილად ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას აქტიურ მოქალაქეებად, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

შენიშვნებისთვის



შენიშვნების თვის

შენიშვნებისთვის



CAUCA DOG

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

DVD PAL



ეს პუბლიკაცია დაიბეჭდა ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ და იგი არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ევროკავშირის ან ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პოზიციის გამომხატველი.



EURO EAST
CULTURE



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION